



საპროტექტორო საქმიანობა და დანაშაულის პრევენცია

N1(2)

სამეცნიერო პრაქტიკული
ჟურნალი
2024



საპროკურორო საქმიანობა და დანაშაულის პრევენცია

#1(2)

(2024)

საქართველოს გენერალური პროკურატურისა და
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული

ელექტრონული ჟურნალი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი, 2024

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე – მორის შალიკაშვილი, სამართლის დოქტორი (პა-
მბურგი, გერმანია), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კრი-
მინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ნათია მერებაშვილი – გენერალური პროკურორის მოადგილე

მირიან მეგრელიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული გა-
ნვითარების ცენტრის (სამმართველო) უფროსი

ლონდა ბიჭიკაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქ-
მიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

ია ჩხეიძე – საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზე-
დამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული
განვითარების სამმართველოს უფროსი პროკურორი

ირაკლი მინაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრ-
თხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამ-
სახურში, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო
საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების
საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედა-
მხედველობის დეპარტამენტის პროკურორი

ირინა აქუბარდია – სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებუ-
ლი პროფესორი

გიორგი თუმანიშვილი – სამართლის დოქტორი (ბერლინი, გერმანია), თსუ-ს იურიდიული
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

უმანგი (უჩა) ბახტაძე – სამართლის დოქტორი (თსუ), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსი-
ტეტის პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების მაგისტრი

შალვა საღირაშვილი – გრაიფსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჟურნალის ელ. ფოსტა – scientific.journal@pog.gov.ge ელექტრონული ფოსტის მისამართი
სტატიების ავტორებთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისთვის

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის ასისტენტები – ქრისტინა ქისტაშვილი,
მაიკო მარკოიძე

ISSN 2960-995X

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

სავტორო უფლებები დაცულია.

თუ ავტორის ან გამომცემლობის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, არ შეიძლება ჟურნალის რომელიმე
მონაკვეთი გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების,
ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

სარჩევი

ნანიკო ზაზუნაშვილი

საექსტრადიციო კატიმრობის შეფარდების ევროპული სტანდარტი და მისი გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ	5
--	---

ანი კვეზერელი

სასჯელის სახით დანიშნული უკადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა	17
--	----

დავით კვინიკაძე

მტკიცების ტვირთის გადატანა, როგორც უდანაშაულობის კრეზუმფციის ხელყოფის საფრთხე	25
---	----

მარიამ ლელაშვილი

ოკერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ეფექტურობა დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით	34
---	----

მარიამ სიხარულიძე

ინფლაციის სამართლებრივი პრობლემები: სისხლისსამართლებრივ მაკვალიფიცირებაზე მდგენელთა და სასჯელთა მისადაგების საჭიროება ინფლაციის მაჩვენებელთან	55
--	----

ანზორ უსტიაძე

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ზრუნვის მოვალეობანი და საგადასახადო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის პრობლემები	71
--	----

ნიკა უსუფაშვილი

ოჯახში ძალადობის პრევენცია ტორა ბიორგოს ყოვლისმომცველი მოდელის მიხედვით	91
--	----

თამარ ჩინჩალაძე

განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის
დანიშვნის სპეციფიკა 114

თემურ ცინდელიანი

თვითინაპრიმინაციისგან დაცვის კრივილეგიის
მოქმედების ფარგლები ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს პერსპექტივიდან 126

დავით ხურციძე

ნაშვების რეგულირება საქართველოს
სისხლის სამართლისა და
საერთაშორისო სამართლის ფარგლებში 134

საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების ევროპული სტანდარტი და მისი გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ

ნანიკო ბაზუნაშვილი*

შესავალი

ზოგადი განმარტების თანახმად, ექსტრადიცია ეს არის სახელმწიფოთა შორის მოქმედი შეთანხმების საფუძველზე, განაჩენის აღსრულების ან სისხლისსამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობის მიღების მიზნით, ძებნილი პირის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესთვის გადაცემა.¹ ამასთან, ექსტრადიცია მიიჩნევა სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი თანამშრომლობის უძველეს ფორმად.² აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში დინამიურად იცვლება დანაშაულთა ხასიათი, კერძოდ, ხდება მეტად კომპლექსური, ტრანსნაციონალური და ორგანიზებული. ამასთან, გლობალიზაციის პროცესთან ერთად, მართვდება პირთა გადაადგილება ერთი სახელმწიფოდან მეორეში. აღნიშნული გამოწვევა საჭიროებს სახელმწიფოთა მხრიდან შესაბამის ეფექტურ რეაგირებას, ვინაიდან ორგანიზებული და ექსტრატერიტორიული ხასიათის დანაშაულის დამარცხება, მხოლოდ სახელმწიფოთა ძალების გაერთიანებითა და ორგანიზებით არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ დასახელებული მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საექსტრადიციო პროცედურების ეფექტური წარმოება, ვინაიდან ექსტრადიცია რჩება სისხლისსამართლებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით ძებნილ პირთა სახელმწიფოთა შორის გადაცემის ერთადერთ ფორმალურ და ორგანიზებულ საშუალებად.³

*საქართველოს
გენერალური
პროკურატურის
საერთაშორისო
ურთიერთობებისა
და
სამართლებრივი
უზრუნველყოფის
დეპარტამენტის
პროკურორი*

¹ Teuber L, Extradition and Human Rights: A look at the EU – US and Germany – US extradition agreements and their consistency with each other and with Human Rights. p. 7;

² Extradition, European Standards, Explanatory notes on the Council of Europe convention and minimum standards protecting persons subject to transnational criminal proceedings. Council of Europe, 2006, p. 8;

³ International Law: The Importance of Extradition. Hearing before the Subcommittee on Criminal Justice, drug policy and human resources of the Committee on government reform, House of Representatives, one hundred sixth congress, first session, From the U.S. Government Printing Office, 1999. <https://www.govinfo.gov/content/pkg/CHRG-106hhrg63238/html/CHRG-106hhrg63238.htm>

თავის მხრივ, საექსტრადიციო პროცედურების ეფექტური წარმოებისათვის, მნიშვნელოვანია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური ბერკეტების გამოყენება, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მხრიდან საექსტრადიციო პროცედურებისათვის თავის არიდების რისკების შესამცირებლად. უმთავრესი ბერკეტი, რომელსაც შეუძლია აღკვეთოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მხრიდან მიმალვის რისკი არის აღკვეთის ღონისძიება - საექსტრადიციო პატიმრობის სახით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საქართველოში ექსტრადიციის განხორციელების და შესაბამისად, ძებნილი პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მრავალწლიანი და მრავალფეროვანი პრაქტიკისა, დასახელებულ თემასთან დაკავშირებული კვლევები თუ სამეცნიერო ნაშრომები ძალზედ მწირია. მეტიც, პრაქტიკულად არ არის იდენტიფიცირებული და გამოვლენილი ის ძირითადი ტენდენციები თუ პრობლემები, რომლებიც გვხვდება ქართული სასამართლოების პრაქტიკაში ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია, ექსტრადიციის სფეროში მოქმედი ეროვნული და ევროპული კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის, ასევე, ქართული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დეტალური მიმოხილვის და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის გზით, საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების განსხვავებული სტანდარტის იდენტიფიცირება და ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს შორის არსებული ურთიერთმიმართების განსაზღვრა.

1. საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ევროპული სტანდარტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებული და დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.⁴ მითითებული უფლების შინაარსის შესაბამისად, ყველას აქვს თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კონვენციით განსაზღვრული ამომწურავი საფუძვლების და შესაბამისი, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების არსებობისას. აღსანიშნავია, რომ პირის თავისუფლების განმარტება ფართოა, თუმცა ცხადია, რომ კონვენციის მიზნებისათვის, საუბარია პირის ფიზიკურ თავისუფლებაზე, რომელიც შესაძლოა შეიზღუდოს მისი დაკავებით ან/და დაპატიმრებით.⁵ ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებით, განსაზღვრულია ის ცალკეული ექვსი შემთხვევა, რომლის დროსაც დასაშვებია პირის დაპატიმრება. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის ყველაზე მეტად გამოყენებადი და რელევანტური მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „c“ ქვეპუნქტია. აღნიშნული რეგულაცია თავისი არსით

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5;

⁵ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 425;

ეხება „წინასწარი, დროებითი პატიმრობის“ საკითხს,⁶ რომლის კანონიერების შემოწმება სავალდებულოა ეროვნული სასამართლო ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, დასაშვებია პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება მისი უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან უკვე ჩაიდინა დანაშაული, არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის ან მიმალვის საფრთხე.

ყოველივე ზემოაღნიშნული და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ დაუშვებელია უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს კონტროლის გარეშე პირის „ავტომატური“ დაკავება ან/და დაპატიმრება.⁷

აღნიშნული სტანდარტისგან განსხვავებით, სპეციფიკურ რეგულაციას ექვემდებარება იმ პირის დაკავების ან/და პატიმრობის საკითხი, რომლის დეპორტაციის ან ექსტრადიციის საკითხსაც განიხილავს სახელმწიფო. კერძოდ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასაშვებია დეპორტაციას ან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება. აგრეთვე, პირის დაკავება მისი სახელმწიფოში უნებართვოდ შესვლის აღკვეთის მიზნით. აღნიშნული რეგულაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მითითებული საფუძვლის არსებობისას, არ არის აუცილებელი პატიმრობა დასაბუთებული იყოს ახალი დანაშაულის ან მიმალვის საფრთხის არსებობით. შესაბამისად, მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტისაგან განსხვავებით, იმავე პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტში მოცემულია თავისუფლების ლეგიტიმური შეზღუდვის განსხვავებული სტანდარტი.⁸

განსხვავებული სტანდარტის მიუხედავად, ევროპული სასამართლო არ გამოირიცხავს შიდა კანონმდებლობით დამატებითი დასაბუთების აუცილებლობის შესაძლებლობას.⁹ დამატებით, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ შემთხვევებში პირის მოწყვლადი მდგომარეობის (მაგ. ასაკი, ჯანმრთელობა) გათვალისწინების აუცილებლობაზე, რის გამოც პირის დაპატიმრება შესაძლოა არ იყოს მიზანშეწონილი.¹⁰

ასევე, აღსანიშნავია, რომ ექსტრადიციის მიზნით დაკავებისა თუ დაპატიმრების შემთხვევაში, მიუხედავად დამატებითი საფრთხეების არსებობის თაობაზე დასაბუთების არასავალდებულო ხასიათისა, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საექსტრადიციო პროცედურების ბუნებაზე და დაუშვებლად მიიჩნევს პატიმრობის აღნიშნული საფუძვლის ბოროტად გამოყენებას. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, მითითებული ქვეპუნქტის საფუძველზე პირის დაკავება/დაპატიმრება იმ შემთხვევაში იქნება მართლზომიერი, როდესაც საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეა. ამასთან, თუ პროცედურები არ მიმდინარეობს სათანადო გულისხმიერებ-

⁶ იქვე, გვ. 440.

⁷ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017, გვ. 90;

⁸ Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security. Council of Europe/European Court of Human Rights, 2022, p. 30, §146;

⁹ J.R. and Others v. Greece, ECHR, 2018, § 111;

¹⁰ Thimotheas v. Belgium, ECHR, 2017, §§ 73, 79-80.

ით, პატიმრობა არ ჩაითვლება დასაშვებად კონვენციის მიზნებისათვის.¹¹ აგრეთვე, იმისათვის, რომ დაკავება/პატიმრობა არ ჩაითვალოს უკანონოდ, აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად. კერძოდ, თავისუფლების შეზღუდვა მკაფიოდ უნდა უკავშირდებოდეს ექსტრადიციის/დეპორტაციის განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში უნდა იყოს სათანადო პირობები და პატიმრობის ვადა არ უნდა სცილდებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის საკმარის დროს.¹² თუმცა, ევროპული სასამართლო, ასევე, განმარტავს, რომ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ ექსტრადიციის/დეპორტაციის მიზნით პატიმრობის მაქსიმალური ვადის ან გადასინჯვის ინტერვალების განსაზღვრა.¹³

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენცია არ შეიცავს რეგულაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობისას არის დასაშვები პირის დაკავება/დაპატიმრება. მნიშვნელოვანია, რომ ექსტრადიციის მომთხოვნ და განმხილველ სახელმწიფოებს შორის არსებობდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და ამასთან, ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში გამოცემული იყოს ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის დაკავების ბრძანება.¹⁴ ევროპული სასამართლო, აგრეთვე, მოუწოდებს სახელმწიფოებს გამოიჩინონ მეტი ყურადღება იმ საქმეების ფარგლებში პატიმრობის გამოყენებისას, როდესაც პირის ექსტრადიცია მოითხოვება არა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულების, არამედ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.¹⁵ რაც შეეხება საექსტრადიციო პროცედურების ფარგლებში, ექსტრადიციის განმხილველი სახელმწიფოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენებას, ანუ პირის ფაქტობრივი გადაცემის დროებით შეჩერებას, სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს პატიმრობის უკანონოდ ცნობის საფუძველს¹⁶, თუმცა ზოგადი პრინციპის თანახმად, პატიმრობა არ უნდა იყოს თვითნებური და უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას.¹⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსტრადიციის მიზნით პირის დაკავების/დაპატიმრების ევროპული სტანდარტი ეფუძნება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „f ქვეპუნქტით განსაზღვრულ რეგულაციას, არ მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან, დამატებით, იმავე ნაწილის „c“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საფრთხეებზე აპელირებას და საჭიროებს კანონის შესაბამისად, გონივრულ ვადაში მიმდინარე საექსტრადიციო პროცედურების არსებობას. ამასთან, ევროპული სასამართლო არ გამორიცხავს სახელმწიფოების მიერ უფრო მაღალი სტანდარტის დანესების შესაძლებლობას.

¹¹ A. and Others v. the United Kingdom ECHR [GC], 2009, § 164; Amie and Others v. Bulgaria, ECHR, 2013, § 72;

¹² oh-Ekale Mwanje v. Belgium, ECHR, 2011, §§ 117-119;

¹³ J.N. v. the United Kingdom, ECHR, 2016, §§ 83-96;

¹⁴ Öcalan v. Turkey ECHR [GC], 2005, § 86;

¹⁵ Gallardo Sanchez v. Italy, ECHR, 2015, § 42;

¹⁶ Gebremedhin [Gaberamadhien] v. France, ECHR, 2007, § 74;

¹⁷ Azimov v. Russia, ECHR, 2013, § 169.

2. საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების ეროვნული სტანდარტი და საექსტრადიციო პატიმრობის ევროპული სტანდარტის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ

ევროპული კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა და მოქმედია 1999 წლის 20 მაისიდან. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. მეტიც, იმავე რეგულაციის თანახმად, თუ აღნიშნული ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, მას გააჩნია უპირატესი ძალა სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით. რაც შეეხება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, მისი შინაარსიდან და ფუნქციიდან გამომდინარე მას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა ევროპული კონვენციის ნორმის განმარტებისათვის. კერძოდ, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს შესაბამისი უფლების თუ თავისუფლების პრაქტიკული აღსრულების სტანდარტს.¹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა იმ სახელმწიფოსათვის, რომლის მიმართაც იქნა გამოტანილი, მისი შინაარსი, ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა სახელმწიფოების მიერ, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს უფლების პოტენციური დარღვევის საფრთხე.¹⁹

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ სამართლებრივი ვალდებულება მხედველობაში მიიღონ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დებულებები და ასევე, მკაცრად მიზანშეწონილია გაითვალისწინონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი შესაბამისი სტანდარტები.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული დებულებების პრაქტიკაში იმპლემენტაციას, აღნიშნული საკითხის შესწავლამდე, მნიშვნელოვანია ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების ცალკეული სახეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. კერძოდ, საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობისას შესაძლოა პირობითად გამოიყოს - პირველადი საექსტრადიციო პატიმრობა, განგრძობადი საექსტრადიციო პატიმრობა და მეორეული საექსტრადიციო პატიმრობა.²⁰

მოცემული სტატიის ფარგლებში პირველადი საექსტრადიციო პატიმრობა მიემართება შემთხვევას, როდესაც პირის მიმართ, მისი ექსტრადიციის მიზნით, კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა და

¹⁸ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი, 2004, გვ. 165-166;

¹⁹ იქვე, გვ. 168-169.

²⁰ ვინაიდან მეორადი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ეროვნული სტანდარტი არსებითად განსხვავდება პირველადი და განგრძობადი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ეროვნული სტანდარტისაგან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროებს დამატებით მიმოხილვას, წინამდებარე სტატია შეეხება საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების მხოლოდ პირველ ორ „სტანდარტულ“ ფორმას;

აღკვეთის ღონისძიების სახით საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ხორციელდება პირველად. რაც შეეხება განგრძობად საექსტრადიციო პატიმრობას, აღნიშნული გულისხმობს პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელებას, ხოლო მეორეული საექსტრადიციო პატიმრობა - პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ხელახალ გამოყენებას ან პირველად შეფარდებას, მაშინ როდესაც პირის მიმართ უკვე გამოყენებული იყო სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

აღნიშნული პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონით სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ და ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ექსტრადიციის სფეროში არსებული თავისებურებების გათვალისწინებით. მითითებული დებულება გამომდინარეობს როგორც უშუალოდ კანონში არსებული ჩანაწერებისაგან ცალკეულ საკითხებთან მიმართებით²¹, ასევე, კანონის ანალოგიით გამოყენების ზოგადი პრინციპის მხედველობაში მიღებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის ფარგლებში არსებული ცალკეული საპროცესო მოქმედებების და პროცედურების განმარტება საერთოა, როგორც შიდა სისხლის სამართლის საქმესთან, ისე საექსტრადიციო პროცედურებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, საექსტრადიციო პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების საკითხს, არეგულირებს ცალკეული საერთაშორისო ხელშეკრულებები თუ ინდივიდუალური შეთანხმებები, რომელთა ხელმოწერაცაა საქართველო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საექსტრადიციო პროცედურების ის შემადგენელი ცალკეული პროცესები, რომლებიც არ არის მითითებული ეროვნულ კანონმდებლობაში, რეგულირდება სწორედ რელევანტური კონვენციის ან/და შეთანხმების ტექსტის დებულებების თანახმად.

3. პირველადი საექსტრადიციო პატიმრობა

საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონი არ შეიცავს რეგულაციებს, რომლებიც ეხება პირის მიმართ პირველადი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების სამართლებრივ სტანდარტს. ამასთან, როგორც აღინიშნა, ეროვნული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „f“ ქვეპუნქტი ადგენს ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის შეფარდების ცალკეულ საფუძველს, რაც საკმარისად მიიჩნევა საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობას, თუმცა, ასევე არ გამოირიცხავს, რომ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა აწესებდეს დამატებით პირობებს ანუ უფრო მაღალ სტანდარტს პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისათვის.²²

²¹ საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ (სსმ, 48, 09/08/2010), მუხლები 30; 34.

²² Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security. Council of Europe/European Court of Human Rights, 2022, p. 31 § 146;

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შედეგად ჩამოყალიბებული განმარტების და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის 30-ე მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, რომელიც არ შეიცავს პირდაპირ რეგულაციას პირველადი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების სტანდარტთან დაკავშირებით, როგორც წესი, ექსტრადიციის მიზნით პირველადი საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდებისას, სასამართლოები ხელმძღვანელობენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს შიდა სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ პატიმრობის შეფარდების საფუძვლებით.

კერძოდ, სსსკ 198-ე და 205-ე მუხლების თანახმად, პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენება, რათა ბრალდებული არ მიიმალოს და ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას, ხელი არ შეუშალოს მტკიცებულებების მოპოვებას და თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საექსტრადიციო საქმეთა უმრავლესობაში²³ პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების საფუძვლად მითითებულია მიმალვის საფრთხე, რაც სრულად ასახავს საექსტრადიციო პროცედურებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას. კერძოდ, როგორც წესი, პირის მიმართ გამოცხადებულია საერთაშორისო ძებნა, სწორედ მის მიერ მომთხოვნ სახელმწიფოში უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევისათვის. ამასთან, რიგ შემთხვევებში ძებნილ პირებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთილი აქვთ უკანონოდ და მათ მიმართ კანონიერ ძალაშია შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რაც წარმოადგენს პირის მხრიდან მიმალვის რისკის დამაფუძნებელ ერთ-ერთ რელევანტურ გარემოებას.²⁴ აღსანიშნავია, რომ მიმალვის საფრთხესთან მიმართებით შიდა სისხლის სამართლის საქმეებზე, ქართული სასამართლოები, როგორც წესი, ტენდენციურად იყენებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტს, რომლის შესაბამისად, მკაცრი სასჯელი წარმოადგენს პირის მიმალვის საფრთხის დამაფუძნებელ ერთ-ერთ, თუმცა არა ერთადერთ, საფუძველს.²⁵ მსგავსი მიდგომა სასამართლოების მიერ გამოიყენება ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის შეფარდების შემთხვევაშიც.²⁶ მიმალვის საფრთხესთან მიმართებით, საექსტრადიციო წარმოების ფარგლებში, ქართული სასამართლოების მიერ, ასევე, მხედველობაში მიიღება²⁷ სსსკ 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსი და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტი, რომლის შესაბამისად პირის მიმალვის რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა

²³ იხ. მაგ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 ივნისის განჩინება # 10^ა /2964-2019 საქმეზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 1 სექტემბრის განჩინება # 10^ა /3862 საქმეზე; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინება # 10-ა/131-21 საქმეზე;

²⁴ იხ. მარნეული მაგისტრატი სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინება # 10/ა-196-21 საქმეზე.

²⁵ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება პატიმრობის შეფარდებისას. სამართლის ჟურნალი, 2020, 2, გვ. 263;

²⁶ იხ. მაგ.: მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინება # 10-ა/131-21 საქმეზე;

²⁷ იხ. მაგ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 ივნისის განჩინება # 010802221004755030 საქმეზე;

იქნას მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა პირისათვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებები, დასაქმების სფერო, ოჯახური კავშირები, მუდმივი საცხოვრებლის ქონა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ადგენს პირის კავშირს შესაბამის სახელმწიფოსთან.²⁸

კიდევ ერთი საფუძველი, რომელსაც ქართული სასამართლოები იყენებენ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდებისას არის პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. მაგალითად, საქმეში ჯ. შ. - ს ექსტრადიცია გაერთიანებულ სამეფოში, სასამართლომ მიმალვის საფრთხესთან ერთად, ხაზი გაუსვა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშანს, რომელიც სასამართლოს მოსაზრებით წარმოადგენდა მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის განმაპირობებელ ერთ-ერთ გარემოებას.²⁹ მსგავსი მსჯელობა არის გამოყენებული სასამართლოს მიერ თურქეთის რესპუბლიკის მიერ ძებნილი პირის ბ. ა. - ს მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდებისას. მითითებული საქმის ფარგლებში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირის მიერ მომთხოვნ სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაულების სიმრავლეზე და მიუთითა, რომ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, არსებობს ძებნილი პირის მხრიდან ახალი დანაშაულების ჩადენის საფრთხე.³⁰

აღსანიშნავია, რომ პირველადი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისას ქართული სასამართლოები პრაქტიკულად არ იყენებენ პატიმრობის მესამე საფუძველს, რაც გულისხმობს პირის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლას. მიუხედავად საექსტრადიციო პროცედურების თავისებურებებისა და სახელეუბლო პატიმრობის საფუძველი შესაძლებელია რელევანტური იყოს კონკრეტულ საექსტრადიციო საქმესთან მიმართებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობის განმხილველი სახელმწიფო, ანუ მოცემულ შემთხვევაში საქართველო, არ აწარმოებს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას, დანაშაულის ტრანსნაციონალური ბუნებიდან და მისი ჩადენის ხერხებიდან გამომდინარე, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, შესაძლებელია პირმა დისტანციურად მოახდინოს გავლენა მოწმეებზე ან გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ელექტრონული მტკიცებულებები. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენების დასახელებული საფუძველი, ასევე, უნდა შეფასდეს ყოველი ცალკეული საქმისათვის, შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული სასამართლოები პირის მიმართ პირველადი საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების პროცესში პრაქტიკულად არ იყენებენ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „f“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტს, არამედ გადაწყვეტილებას ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, იღებენ უფრო მაღალი, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის საფუძველზე.

²⁸ Becciev v. Moldova, ECHR, 2006, § 58;

²⁹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის განჩინება # 10 /317-2019 საქმეზე;

³⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის განჩინება # 15-22-22 საქმეზე.

4. განგრძობადი საექსტრადიციო პატიმრობა

საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების პროცედურა და სტანდარტი, ასევე, რეგულირდება საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის 30-ე მუხლით. საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების მსგავსად, ქართული სასამართლოები რიგ შემთხვევებში იყენებენ ეროვნული კანონმდებლობით, კერძოდ, კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ რეგულაციებს პირის პატიმრობაში დატოვებისათვის. საქმეთა პრაქტიკულ უმრავლესობაში სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება სსსკ 206-ე მუხლით, მათ შორის დასახელებული მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული დებულებები და ფასდება არის თუ არა გამოკვეთილი რაიმე ახალი გარემოებები, რაც აღმოფხვრიდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით - პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას.³¹ თუმცა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ევროპული სასამართლოს მიერ განგრძობადი პატიმრობისათვის დადგენილი სტანდარტი. კერძოდ, სასამართლოს მიერ სათანადოდ უნდა იქნეს შესწავლილი იმ რისკების არსებობა, რაც თავდაპირველად საფუძვლად დაედო პატიმრობის გამოყენებას. ამასთან, გადაწყვეტილება პირის პატიმრობაში დატოვების თაობაზე არ უნდა შეიცავდეს ზოგად, სტერეოტიპულ და აბსტრაქტულ მსჯელობას შესაბამისი საფრთხეების არსებობის თაობაზე.³²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „f“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან ერთად სსსკ 205-ე მუხლით განსაზღვრული პატიმრობის გამოყენების საფუძვლების მხედველობაში მიღებისა, საექსტრადიციო პროცედურების სპეციფიკის გათვალისწინებით, რიგი დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია პატიმრობის განგრძობადობის შეფასებასთან, არ არის რელევანტური საექსტრადიციო პატიმრობის ჩრილში. კერძოდ, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პირის განგრძობადი პატიმრობის საფუძვლად შესაძლოა განხილულ იქნეს ოთხი ძირითადი საფრთხე. ესენია: ბრალდებულის მიმალვის საფრთხე; გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხე; ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე და საჯარო წესრიგისათვის საფრთხის შექმნის რისკი.³³ ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიმალვის საფრთხე იკლებს პატიმრობაში გატარებული პერიოდის მატებასთან ერთად.³⁴ ამასთან, იმ შემთხვევაში როდესაც პატიმრობის საფუძველს წარმოადგენდა გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხე, აღნიშნული გარემოება შეიძლება აღარ იყოს რელევანტური შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელების შემდგომ.³⁵ დასახელებული კანონზომიერება, დროის მსვლელო-

³¹ იხ. მაგ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმეზე # 10ა/750-22;

³² Merabishvili v. Georgia, ECHR, [GC], 2017, § 222.

³³ Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security. Council of Europe/European Court of Human Rights, 2022, p. 40 § 211;

³⁴ იქვე § 215;

³⁵ იქვე § 221;

ბასთან ერთად პატიმრობის საფუძვლად მითითებული საფრთხეების შემცირებასთან დაკავშირებით, არ არის დამახასიათებელი საექსტრადიციო პროცედურებისათვის, სწორედ აღნიშნული პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ, საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობის პერიოდში, როგორც წესი, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეჩერებულია ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემამდე. რაც შეეხება, მიმალვის საფრთხეს, საექსტრადიციო პროცედურების მსვლელობასთან ერთად იგი პირიქით მატულობს, ვინაიდან როდესაც პირს არ სურს ექსტრადიცია და მისთვის ცნობილია, რომ საექსტრადიციო პროცედურები გადასულია დასკვნით ეტაპზე, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მაღალია რისკი, რომ იგი თავს აარიდებს საექსტრადიციო პროცედურებში მონაწილეობას. მითითებული მოსაზრება, აგრეთვე, გაზიარებულია ქართული სასამართლოების შესაბამისი გადაწყვეტილებებით.³⁶ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საექსტრადიციო პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით, საექსტრადიციო პატიმრობის განგრძობადობის საკითხის შეფასებისას, ვერ იქნება მხედველობაში მიღებული ის სტანდარტები, რომლებიც მოქმედებს სახელმწიფოს შიდა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში პატიმრობის გამოყენებისას. არამედ, საექსტრადიციო წარმოების შემთხვევაში, დეტალურად უნდა შეფასდეს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებები და წარმოების ის ასპექტები, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების საჭიროებაზე.

რაც შეეხება, ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სტანდარტის გამოყენებას საექსტრადიციო პატიმრობის გაგრძელების ეტაპზე, საწყისი ფაზისაგან განსხვავებით, სასამართლოების მიერ გამოყენებულია შედარებით განსხვავებული მიდგომა. კერძოდ, სასამართლოების მიერ მიღებულ განჩინებათა ნაწილი,³⁷ პირველადი საექსტრადიციო პატიმრობის მსგავსად, საერთოდ არ შეიცავს მითითებას ევროპული კონვენციის ზემოაღნიშნულ რეგულაციაზე, ხოლო განჩინებათა ნაწილი³⁸ ევროპულ სტანდარტს იყენებს დამხმარე არგუმენტად.

აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების სტანდარტი ირიბად თუ პირდაპირ, ასევე, გამოიყენება სააპელაციო სასამართლოს მიერ, საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე საჩივრის განხილვის პროცესში. მაგალითად საქმეზე ა. კ. - ს ექსტრადიცია სომხეთის რესპუბლიკაში, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საექსტრადიციო პატიმრობასა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას გამოყენებას შორის არსებობს შინაარსობრივი განსხვავება. ასეთივე განსხვავება არსებობს მათი გამოყენების დასაბუთებულობის შეფასებებში. საექსტრადიციო პატიმრობის მიზანი პირველ რიგში არის მომთხოვნი სახელმწიფოსათვის პირის გადაცემის უზრუნველყოფა და არა ახალი დანაშაულის ჩადენის ან მიმალვის

³⁶ იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 მაისის განჩინება საქმეზე # 10ა/2622.

³⁷ იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 მაისის განჩინება # 10ა/2622 საქმეზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის განჩინება # 10ა/2589 საქმეზე;

³⁸ იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 ივნისის განჩინება # 10ა/2938 საქმეზე;

საფრთხის თავიდან აცილება. აღნიშნული საფრთხეების აღკვეთა მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ატარებს.³⁹ იმავე განჩინებაში ვკითხულობთ, რომ ევროპული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, „ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „f“ ქვეპუნქტი (გადაცემა) არ მოითხოვს, რომ პირის დაპატიმრება განიხილებოდეს, როგორც აუცილებელი ღონისძიება, მაგალითად, ახალი სამართალდარღვევის აღსაკვეთად ან მიმალვის აღსაკვეთად. ამ მიმართებაში კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „f“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დაცვის სხვა დონეს, განსხვავებით კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტისა. ყველაფერი რაც მოითხოვება „f“ ქვეპუნქტის ფარგლებში - ესაა მიღებული იქნას ზომები პირის გადაცემისათვის.“⁴⁰ აღნიშნული განჩინების ფარგლებში სასამართლო პირდაპირ უთითებს საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ევროპულ სტანდარტზე და ამასთან, აღნიშნულ არგუმენტს აფუძნებს საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების არსებით ნაწილს.

დასახელებულ საკითხთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის საკითხი, დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული მოთხოვნიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შემუშავებული აქვს ერთგვაროვანი და მკაფიო განმარტება ევროპული სტანდარტის ქართული სასამართლოების მიერ გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმეზე ს. ჰ. - ს ექსტრადიცია თურქეთის რესპუბლიკაში სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ საექსტრადიციო პროცედურების ფარგლებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის განსხვავებული სტანდარტის არსებობა დადგენილია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „f“ ქვეპუნქტით, რომელიც აწესრიგებს ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების საფუძველს. ექსტრადიციის მიზნით დაპატიმრებისას სახელმწიფოს არ მოეთხოვება, დაასაბუთოს ბრალდებულის მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. ამავდროულად, ექსტრადიციის მიზნით პირის დაპატიმრებისათვის აუცილებელია, არსებობდეს მიმდინარე საექსტრადიციო პროცესი.“⁴¹

დასკვნა

ნაშრომში განხილული გადაწყვეტილებების და სასამართლო პრაქტიკის ტენდენციების შეჯამებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების განმარტებებისა, ამჟამად, სასამართლო პრაქტიკა საქე-

³⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განჩინება # 18/1155-2020 საქმეზე;

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 24 ივნისის განჩინება # 381¹-21 საქმეზე.

სტრადიციო პატიმრობის გამოყენების ევროპული სტანდარტის ეროვნულ დონეზე ინტეგრირებასთან მიმართებით ჩამოყალიბების ეტაპზეა და არ გააჩნია ერთგვაროვანი ბუნება. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას/გაგრძელებისას ქართული სასამართლოები ძირითადად იყენებენ შიდა სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობის შეფარდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ეროვნულ სტანდარტს, თუმცა რიგ შემთხვევებში იკვეთება ევროპული სტანდარტის სულ მცირე მითითების ან ნაწილობრივ გამოყენების ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ ორივე მიდგომა სრულად შეესაბამება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, ვინაიდან ევროპული სასამართლოს განმარტებით, საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების პროცესში, ეროვნული სასამართლოების მიერ დასაშვებია, როგორც უშუალოდ კონვენციით დადგენილი მინიმალური სტანდარტის, ისე უფრო მაღალი ეროვნული სტანდარტის დაწესება და გამოყენება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მითითებულ საკითხთან მიმართებით, მიზანშეწონილია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას, რომელიც უთითებს საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ევროპული სტანდარტის, ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენების აუცილებლობაზე და განხორციელდეს ექსტრადიციის სფეროში სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი და სინქრონიზაცია.

სასჯელის სახით დანიშნული უკადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა

ანი კვებერელი*

შესავალი

აღნიშნული თემა უკავშირდება 2021 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებებს სასჯელის სახით დანიშნული უკადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვასთან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №682 ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული უკადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის განხორციელების წესი და პროცედურები. მოცემული ბრძანება უკავშირდება მულტიდისციპლინურ მიდგომას და მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მიმართოს სასამართლოს სასჯელის გადასინჯვისთვის იმ შემთხვევაში, თუ ის გაივლის გათვალისწინებული 2 წლიანი პროგრამის ყველა ეტაპს.

ჩვენს პრაქტიკაში უკადო მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე და სწორედ ამიტომ არის ეს საკითხი საინტერესო; მოცემული ბრძანება შესაძლებლობას მოგვცემს, ჩამოვაყალიბოთ ახალი პრაქტიკა, სადაც უკადო მსჯავრდებული შეძლებს გათავისუფლდეს პირობით გამოსაცდელი ვადით, შინაპატიმრობით ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით და იმ დროს, როდესაც ის დატოვებს პენიტენციურ დაწესებულებას, სრულად იყოს მომზადებული ყველა იმ გამოწვევისთვის, რაც მას დახვდება თავისუფლების პირობებში.

* თბილისის
პრობაციის
ბიუროს
ოფიცერი, თსუ-ს
სამართლის
პროგრამის
დოქტორანტი.

1. უკადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, „უკადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. უკადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც განაჩენის

გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი“. უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული არცერთ მსჯავრდებულთან მიმართებით, რადგან აღნიშნული უფლების არარსებობამ შეიძლება მოგვცეს არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. აღნიშნული დაადგინა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. კერძოდ, ის, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია. სასამართლოს განმარტებით მნიშვნელოვანია არსებობდეს მოლოდინი განთავისუფლების.¹ „გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისუფლების უვადოდ აღკვეთა, შეწყალების პრაქტიკის გათვალისწინებით, არ ლახავს ადამიანის ღირსებას, ვინაიდან, პირს, რომელსაც მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, აქვს შანსი, რომ ოდესმე გახდება თავისუფალი. თუმცა, საკმარისი არ არის მხოლოდ შეწყალების შესაძლებლობა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეწყვეტის წინაპირობები და პროცედურები კანონით იყოს განსაზღვრული“.²

ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა სსკ-ის 72¹ მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, „თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით“. გარდა ამისა, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, „მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი, წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, ხო-

¹ გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები“, კ. კორკელია (რედ.), 2012, 135.

² თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, 2016, 566.

ლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით – იმავე ვადით, ამ კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად“ (პატიმრობის ერთი დღე- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი).

2. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში

აღნიშნული ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა 2021 წლის 11 იანვარს და პირობით ვადამდე გათავისუფლების ერთ-ერთი წინაპირობა გახდა იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის გავლა. აღნიშნული პროგრამა განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის N682 ბრძანებით, რომელიც 2021 წლის 9 თებერვალს ამოქმედდა. მითითებული ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, პროგრამის მიზანია „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას.“ მოცემული პროგრამის ამოცანაა „მსჯავრდებულთა შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების უზრუნველყოფა და სასამართლოსთვის წარსადგენად შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება“.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც უკვე მოიხადეს დანიშნული სასჯელის 12 წელი. ის შედგება რვა ეტაპისგან და მისი ხანგრძლივობაა ორი წელი. აღნიშნული ბრძანების მე-7 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „პროგრამის ეტაპებია: ეტაპი I – მსჯავრდებულის შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა და დაზარალებულთან ან მის უფლებამონაცვლესთან მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიშის მომზადება; ეტაპი II – კონსტრუქციული ურთიერთობების აგება; ეტაპი III – ჯანსაღი ცხოვრება და პროფესია; ეტაპი IV – ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა; ეტაპი V – სამოქალაქო განათლება (საგანმანათლებლო მოდული); ეტაპი VI – მაკრო სისტემები (საგანმანათლებლო მოდული); ეტაპი VII – ადაპტაციის უნარების გაუმჯობესება (საგანმანათლებლო/უნარების განვითარების მოდული); ეტაპი VIII – მომავლის კონსტრუქციული დაგეგმვა“. ყოველი ეტაპი ეხმარება მსჯავრდებულს რეაბილიტაციაში და ორიენტირებულია იმაზე, რომ მოხდეს მისი ხელახალი სოციალიზაცია საზოგადოებაში, რადგან „პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დახმარებას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში კანონმორჩილ ცხოვრებად გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.

კვლევები აჩვენებს, რომ სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, პრევენცია და რესოციალიზაცია უფრო მიიღწევა, ვიდრე სასჯელის მოხდისას.³ სწორედ ამიტომ, პროგრამა ხორციელდება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანებით (შემდგომში N502 ბრძანება) განსაზღვრული მულტიდისციპლინური გუნდის⁴ მეშვეობით.

სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის მიზანია „სამინისტროს სისტემაში სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა მრავალმხრივი რისკების მართვა, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებითა და მსჯავრდებულის/ყოფილი პატიმრის ჩართულობით, აგრეთვე, რისკისა და საჭიროებების შეფასების, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის (შემთხვევის მართვის) პროცესში ჩართულ სპეციალისტთა ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფა“.

თითოეული ზემოაღნიშნული ეტაპი და მულტიდისციპლინური გუნდი ეხმარება მსჯავრდებულს ჰქონდეს სწორი ინფორმაცია, ჩამოიყალიბოს სწორი ღირებულებები, გაიაზროს მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგები, დაგეგმოს მომავალი, ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა იქნება მისი თავისუფალ გარემოში ყოფნის შემთხვევაში. მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ოფიცერი მას განუმარტავს ასევე მის უფლება-მოვალეობებს და ამზადებს იმ პირობების შესაგუებლად, რომლებიც მას დახვდება პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემთხვევაში.

იუსტიციის მინისტრის N682 ბრძანების მე-7 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების მიხედვით, „მსჯავრდებულის მიერ პროგრამის ყველა ეტაპის გავლის შემთხვევაში გუნდი აკეთებს საბოლოო შეფასებას და ადგენს დამტკიცებულ „გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშს“, რომელიც იწახება მსჯავრდებულის პირად საქმეში, ხოლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის შესახებ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, ეგზავნება სასამართლოს. „სასამართლოს მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის გადასინჯვის თაობაზე შემდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში გუნდის მიერ ხდება მსჯავრდებულის

³ ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, 2016, 112.

⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანების მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მულტიდისციპლინური გუნდი არის სხვადასხვა სპეციალისტისგან (პრობაციის ოფიცერი (კომპეტენციის ფარგლებში), სოციალური მუშაკი ან/და ფსიქოლოგი)) შემდგარი გუნდი, რომლის წევრთა შემადგენლობა, საჭიროებისამებრ, განისაზღვრება მსჯავრდებულის შეფასების საფუძველზე“.

გადაფასება და მის საჭიროებებზე მორგებული განახლებული 6-თვიანი ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ამ პროგრამის გარკვეულ მოდულებს/სესიებს.“

3. უკადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლა გამოსაცდელი ვადით ან სასჯელის სხვა სახით

სსკ-ის 72¹ მუხლის 1-ლი და 73-ე მუხლის მე-7 ნაწილები მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას გათავისუფლდეს პირობით, გამოსაცდელი ვადით, შინაპატიმრობით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. გამოსაცდელი ვადის შემთხვევაში, მსჯავრდებულს ეძლევა შესაძლებლობა რეგისტრაცია გაიაროს შესაბამის პრობაციის ბიუროში და შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

სსკ-ის 47¹ მუხლის მიხედვით, შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 44⁸ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის შესახებ კი გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო. ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება ელექტრონული სამაჯურის მეშვეობით, რომელიც არის წყალგაუმტარი, მაჯის საათის მსგავსი მოწყობილობა, აღნიშნულს პირს უმაგრებენ ქვედა კიდურზე, მაგრამ შესაძლებელია მისი ხელზე დამაგრებაც. მისი გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მსჯავრდებულის ბინაში მიმღები მოწყობილობის დამონტაჟება. აღნიშნული მოწყობილობა ყოველ 20 წამში გამოსცემს სიგნალს და მონიტორინგის ცენტრს აწვდის ინფორმაციას პირის ადგილმდებარეობის შესახებ. მიმღების სიძლიერე სხვადასხვანაირია, 10 მეტრიდან 50 მეტრამდე. თუ პირმა მასზე დაკისრებული ვალდებულება დაარღვია და განსაზღვრულ დროს სახლიდან გავიდა ან გვიან დაბრუნდა, ხელსაწყო მონიტორინგის ცენტრს აწვდის ინფორმაციას. ამასთან, ამ მოწყობილობას აქვს სენსორი, რომელიც სხეულის ტემპერატურას ზომავს, რაც მსჯავრდებულს არ აძლევს სამაჯურის მოხსნის შესაძლებლობას, რადგან სხეულის სითბოს მაკონტროლებელი სენსორი ტემპერატურის დაცემას აღიქვამს და მონიტორინგის ცენტრს აწვდის ინფორმაციას.⁵ შინაპატიმრობის შეფარდების დროს პირი სასჯელს იხდის სახლში, მისთვის ნაცნობ გარემოში, რაც ხელს უწყობს მის რესოციალიზაციას. არასაპატიმრო სასჯელის ამ სახის გამოყენების დროს, განსხვავებით თავისუფლების აღკვეთისა, არ ხდება პირის მოწყვეტა გარე სამყაროსგან. შინაპატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, რისკები დაბალია, რადგან მსჯავრდებული სასჯელს იხდის ოჯახში, მისთვის ნაცნობ გარემოში, აქვს განათლების მიღებისა და მუშაობის უფლება.

⁵ ქ. მჭედლიშვილი-კედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, 697.

რაც შეეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, სსკ-ის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოირჩევა მარეაბილიტირებელი ეფექტით, რადგან მსჯავრდებული რჩება საზოგადოებაში და ეძლევა შანსი საკუთარი შრომით გამოისყიდოს საზოგადოებისთვის მისი ქმედებით მიყენებული ზიანი. ამასთანავე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ეხმარება მსჯავრდებულს შეიძინოს და გამოიმუშაოს დამატებითი უნარები. სასჯელის ძირითადი დანიშნულება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მსჯავრდებულის გამოყენებით მოხდეს საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁶

სსკ-ის 66-67-ე მუხლების საფუძველზე, სასამართლო განუსაზღვრავს მსჯავრდებულს, რომ მისი ყოფაცემის კონტროლს და დახმარებას ახორციელებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო. მოცემული არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებას უზრუნველყოფს შესაბამისი პრობაციის ბიურო ფაქტობრივი მისამართის მიხედვით⁷. აღნიშნული ორგანო აკონტროლებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასამართლოს. ასევე, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში სისტემატურად ან ჯიუტად არ ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, სასამართლოს შეუძლია პრობაციის ბიუროს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს შეცვლილი სასჯელი და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი. პრობაციის სამსახური მიზნად ისახავს, მიაღწიოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას მათთან მუშაობით, რათა მათ იცხოვრონ კანონმორჩილი ცხოვრების წესით. სწორედ მსჯავრდებულის ხელახალი სოციალიზაცია, რეაბილიტაცია განაპირობებს ძირითადად დანაშაულის პრევენციას, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემთხვევაში უფრო მარტივად მიიღწევა, ვიდრე საპატიმრო სასჯელის აღსრულებით.⁸

4. რესოციალიზაციის მნიშვნელობა სასჯელის აღსრულების პროცესში

„სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების მარეგულირებელი ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2000)²² რეკომენდაციით, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა მეთოდს. აღნიშნული პროგრამების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ

⁶ მ. დავითაძე, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვა, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, 80.

⁷ საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 15.12.2023, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸ შ. გვილავა, პრობაციის სამსახურის ამოცანები და მიზნები საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესში, „სისხლის სამართლის ჟურნალი“, N1, 2018, 116.

შესაძლო გავლენას მსჯავრდებულზე, განსაკუთრებით კი საყურადღებოა ძირითადი უნარ-ჩვევების, განათლების მდგომარეობის, დასაქმების თვალსაზრისით სწორი პროგრამების შერჩევა, ასევე, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე დამოკიდებულებასთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელი დაიგეგმოს და აღსრულდეს ინდივიდუალურად, განისაზღვროს ყოველი კონკრეტული მსჯავრდებულის საჭიროებები, ძლიერი მხარეები, ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, შეფასდეს ზიანის რისკი ინდივიდუალურად და აღნიშნულის საფუძველზე დაიგეგმოს, შედგეს ინდივიდუალური გეგმა სასჯელის მოხდის ფარგლებში. როგორც უკვე აღინიშნა, მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რაც გულისხმობს მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასებას, შემდეგ კი შესაბამისი რეაგირების განხორციელებას.⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებით, აუცილებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება სასჯელის აღსრულების პროცესში; გამოკვლეული უნდა იყოს მსჯავრდებულის ყველა თვისება და შეფასება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.¹⁰ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა გვაძლევს საშუალებას, რომ მსჯავრდებული საზოგადოებას სრულუფლებიან წევრად დაუბრუნდეს.¹¹

გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“) განსაზღვრავს ციხის მართვის ასპექტებს, მოიცავს და ადგენს პატიმართა მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებს. აღნიშნული დოკუმენტის 1-ლი წესის თანახმად ყველა პატიმრის მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობის პატივისცემას. დაუშვებელია რომელიმე პატიმარი დაექვემდებაროს და ნებისმიერი პატიმარი უნდა იყოს დაცული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯისაგან, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს გამართლება არცერთ შემთხვევაში. გარდა ამისა, მე-4 წესის თანახმად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე, რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოცემული დოკუმენტის 90-ე წესი ადგენს, რომ საზოგადოების მოვალეობა არ სრულდება პატიმრის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. არსებობს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც გააჩნიათ შესაძლებლობა, რომ დაეხმარონ პატიმრობიდან გათავისუფლებულ პირს იმ მიზნით, რომ მის მიმართ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება შემცირდეს და მისი რეაბილიტაცია განხორციელდეს.

⁹ გ. არსოშვილი, გ. მიქაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, 2015, 251.

¹⁰ მ. შალიკაშვილი, გ. მიქაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, 2024, 51-53.

¹¹ გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, 2009, 130.

დასკვნა

სახელმწიფოს აქვს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები, კერძოდ, პოზიტიური ვალდებულება იმისა, რომ დაიცვას მსჯავრდებულის უფლებები და ნეგატიური ვალდებულება, რომ არ დაარღვიოს ისინი. დაცვის ვალდებულება გულისხმობს, რომ კანონი უნდა ითვალისწინებდეს ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედების აკრძალვას და უფლებამოსილი ორგანოების მიერ „გონივრული და ქმედითი“ ზომების განხორციელებას. დაცვის პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მე-3 მუხლის მატერიალურ სამართლებრივ ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პირთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების პირველი დღიდან დაიწყოს მათთან მუშაობა მათ რესოციალიზაციაზე და ყველა ქმედითი ნაბიჯი გადადგმული იყოს იმისკენ, რომ გათავისუფლების შემთხვევაში ეს ადამიანები საზოგადოებას დაუბრუნდნენ სწორი ღირებულებებით და არ მოექცნენ კრიმინალური სუბკულტურის ქვეშ. არ აქვს მნიშვნელობა სახეზე გვექნება ვადიანი თუ უვადო თავისუფლების აღკვეთა. 2021 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილება უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არის აღნიშნულისკენ გადადგმული ნაბიჯი, რადგან კანონში შესული ცვლილების საფუძველზე, მსჯავრდებულს ექნება შესაძლებლობა პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემთხვევაში სრულად იყოს მომზადებული ყველა იმ გამოწვევისთვის, რაც მას დახვდება თავისუფლების პირობებში. გარდა ამისა, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება ამ საკითხთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ არასაპატიმრო სასჯელებისა და პირობითი მსჯავრის აღსრულებისას, პირი არ იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში, ცხოვრობს თავისუფალ საზოგადოებაში, რა დროსაც ცხადდება პრობაციის ბიუროში დადგენილი რეჟიმით და ინდივიდუალურად შეფასებული რისკებისა და საჭიროებების საფუძველზე ეკისრება სპეციალური სარეაბილიტაციო კურსების გავლა, რაც გამოსაცდელი ვადის სავალდებულო კომპონენტია. მის გარეშე შეუძლებელია სასჯელის მიზნების მიღწევა და მსჯავრდებული პირი ვალდებულია ჩაერთოს მასში, რათა მოხდეს მისი სრულყოფილი რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია. აღნიშნულის გარეშე, შეუძლებელი იქნება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა და შესაბამისი გარანტიების შექმნა. სწორედ ამიტომ არის არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთან მიმართებითაც რესოციალიზაციის საუკეთესო საშუალება, რადგან ამ დროს მსჯავრდებული არის საზოგადოებაში, მის რეაბილიტაციაში ერთვება რამდენიმე სპეციალისტი და მუშაობა ხდება ინდივიდუალური მიდგომით.

მთავრობის მხრიდან, როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის ხელყოფის საფრთხე

დავით კვინიკაძე

მსოფლიო ცივილიზაციისთვის ბრიტანეთის უდიდესი მიღწევებია უილიამ შექსპირის სონეტები, სრულფასოვანი საუზმე, ყვავილოვანი საზღვრები და უდანაშაულობის პრეზუმფცია.¹

ჯონ მორტიმერი

შესავალი

სასამართლო პროცესის მიზანია მოახდინოს წარსულის ამ-სახველი ფაქტების იმგვარი რეკონსტრუქცია, რომ ნაფიც მსაჯუ-ლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა კანონი შეუსაბამონ სხენებულ ფაქტებს.² სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მტკიცებასთან და მტკიცებულებასთან დაკავშირებული ძირითა-დი საკითხები სხვადასხვა სახელწოდებითაა მოხსენიებული, თუმცა ყველა მათგანის ფუძე „მტკიცებულებასთანაა“ დაკავში-რებული და მისგან გამომდინარეობს. კერძოდ, იგი ძირითადად მოხსენიებულია „მტკიცებულებათა სამართლის“, მტკიცებუ-ლებათა თეორიის“, „მტკიცებითი სამართლის“ და „მტკიცებულებე-ბის“ სახელწოდებით.³

მტკიცებულება არის მხარეთა მიერ კანონით დადგენილი წე-სით მოპოვებული და სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებუ-ლებად მიჩნეული ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომ-ლითაც დგინდება დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის არსებო-ბა ან არარსებობა და ბრალდებულად ცნობილი პირის უდანაშა-ულობა ან ბრალეულობა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლო-ბის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად.⁴

* საქართველოს
გენერალური
პროკურატურის
გენერალური
ინსპექციის
განსაკუთრებით
მნიშვნელოვან
საქმეთა უფროსი
გამომძიებელი

¹ <https://readersupportednews.org/pm-section/155-155/48961-the-presumption-of-innocence-and-amnesia-in-the-uk>; 31.08.2023;

² Williams, C R 'Burdens and Standards in Civil Litigation' 25 Sydney L. Rev. 165 (2003);

³ Ю. К Орлов. Основы теории доказательств в уголовном процессе, м. 2000 стр.135;

⁴ კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი. 2007, გვ. 275;

პრაქტიკაში მტკიცების ტვირთის არასათანადო რეალიზება პროცესის სუბიექტების მიმართ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი და არასასურველი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს.⁵

სამოქალაქო სასამართლოში მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) მხარეთა შორის ნაწილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს) დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის ნორმებით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში განსაკუთრებული წესით. მატერიალური სამართლის ნორმები ითვალისწინებს გამონაკლისის ზოგადი წესიდან იმ მხრივ, რომ ამ ნორმებით ფაქტის დამტკიცების ან ფაქტის უარყოფის ვალდებულება არა იმ მხარეს დაეკისრება, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს (ამტკიცებს), არამედ მოწინააღმდეგე მხარეს (პრეზუმფცია). მტკიცების ზოგადი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა მატერიალური სამართლის (ან სსსკ-ის) ნორმებში არ არის სპეციალური მითითება მტკიცების ვალდებულების ანუ ტვირთის განაწილების შესახებ.⁶

განსხვავებით სამოქალაქო სამართლისაგან, სისხლის სამართალში მტკიცება არის მტკიცების სუბიექტების (გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული, მისი ადვოკატი) მოქმედება მიმართული სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო და საკმარისი მტკიცებულებათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვების, ე.ი. აღმოჩენის, დაფიქსირება-დამაგრების, ამოღების, დაგროვების, შემოწმების, შენახვის, სისტემატიზირების, შესწავლა-გაანალიზების, შეფასებისა და გამოყენებისკენ.⁷

საქმეში Barbera, Messegue and Jabardo v. Spain⁸ ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ: უდანაშაულობის პრეზუმფცია *inter alia* მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლოს წევრები საქმის განხილვას არ შეუდგენენ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი განმარტებულ უნდა იქნეს განსასჯელის სასარგებლოდ.⁹

მტკიცების ტვირთი და უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია.¹⁰ უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია, საქართველოს

⁵ მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი, თბ, 2018, გვ.12;

⁶ მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი, თბ, 2018, გვ.11;

⁷ ა. კვაშილავა, მტკიცება და მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2011, გვ.132-133;

⁸ CASE OF BARBERA, MESSEGUÉ AND JABARDO v. SPAIN; (Application no. 10590/83); 06.12.1988;

⁹ ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ.246;

¹⁰ Burdens of Proof, Presumptions and Standards of Proof in Criminal Cases; Worku Yaze Wodage; 09.2014; pg.261;

სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია,¹¹ რომლის ძირითადი შემადგენელი ელემენტი მტკიცების ტვირთი, თავის მხრივ განსაზღვრავს, თუ რომელი მხარეა პასუხისმგებელი მოთხოვნის ან ბრალდების დამტკიცებაზე. სისხლის სამართალში მტკიცების ტვირთი წარმოადგენს სახელმწიფოს/ბრალდების მხარეს დაკისრებულ ვალდებულებას, წარმოადგინოს საკმარისი მტკიცებულება მის მიერ წარდგენილი ბრალის დასადასტურებლად. მტკიცების ტვირთი არა მხოლოდ იცავს ლოგიკური მსჯელობის მთლიანობას, არამედ გავლენას ახდენს გადაწყვეტილებაზე. მთელს მსოფლიოში იურიდიული სისტემები დაფუძნებულია კარდინალურ პრინციპზე, რომ ინდივიდი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება¹², რაც ბრალდებულის ბრალეულობის დადგენის პასუხისმგებლობას პირდაპირ აკისრებს პროკურატურას. მიუხედავად ამისა, გარკვეულ გარემოებებში და იურისდიქციებში, ეს ფუნდამენტური აქსიომა ირღვევა, რადგან მტკიცების ტვირთი შეიძლება გადატანილ იქნეს ბრალმდებლიდან ბრალდებულზე. ამ იურიდიულ მანევრს, რომელიც წარმოიშვა კომპლექსური კრიმინალური აქტივობების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობიდან, როგორცაა ფულის გათეთრება, აქვს „გრძელვადიანი შედეგები.“

სისხლის სამართლის საქმეებში მტკიცების ტვირთის გადატანა საკამათო სამართლებრივი კონცეფციაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს კანონიერებისა და სამართლიანობის ტრადიციულ პრინციპებს. მოსაზრება, რომ ბრალდებულმა უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ეწინააღმდეგება “უდანაშაულობის პრეზუმფციის” ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც არის მრავალი სამართლებრივი სისტემის ქვაკუთხედი. მტკიცების ტვირთის გადატანა კი, არღვევს რა უდანაშაულობის პრეზუმფციას, იწვევს დებატებს და ეჭვქვეშ აყენებს სამართლიანობის ჩვეულ ცნებებს.

1. მტკიცების ტვირთის გადატანა ევროპის საბჭოს კონვენციაში - „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარეს არ გააჩნია მტკიცების ვალდებულება, ხშირ შემთხვევაში მას „უნევს“ ამტკიცოს ბრალდების მხარის მიერ გაჟღერებული პოზიციის საწინააღმდეგო, რათა თავიდან აირიდოს მოსალოდნელი პასუხისმგებლობა. როდესაც პროკურატურა/ბრალდების მხარე ადგენს ფაქტს, რომელიც მიმართულია დანაშაულის შემადგენელი ელემენტის დასადასტურებლად, მტკიცების ტვირთი არსებითად გადადის ბრალდებულზე - არა აუცილებლად ფაქტის გასაქარწყლებლად, არამედ მის შესახებ ეჭვის გასაჩენად.¹³ ბრალდებულს არ სჭირდება ეჭვის დასაბუთება ყველა ფაქტზე, რომლის დამტკიცებასაც ცდილობს პროკურატურა - საკმარისი იქნება ეჭვის შექმნა ნებისმიერ საკითხზე, რომელიც გადამწყვეტია გამამტყუნებელი განაჩენისთვის. მაგალითად, და-

¹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; 09.10.2009წ; მუხლი 5;

¹² https://www.law.cornell.edu/wex/presumption_of_innocence/; 31.08.2023;

¹³ <https://www.nolo.com/legal-encyclopedia/burdens-proof-criminal-cases.html>; 31.08.2023;

ვუშვათ, რომ ბრალდების მხარემ გააჟღერა მის მიერ მოპოვებულ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომ ბრალდებულის ჩხრეკისას პოლიციამ იპოვა საათი, რომელიც საიუველირო მაღაზიის ცნობით, მოპარული იყო. ქურდობის ბრალდების გასაქარწყლებლად, ბრალდებულს სავარაუდოდ მოუწევს (თუმცა ვალდებული არ არის) სარწმუნო ახსნა-განმარტების მიცემა საათის კანონიერად ფლობის დასადასტურებლად. ქვითრის ან ჩვენების წარმოდგენა, რომ საათს კანონიერად ფლობდა.¹⁴

სისხლის სამართლის საქმეში მტკიცების ტვირთი შედარებულია ქანქარას¹⁵, რომელიც განუწყვეტლივ ტრიალებს ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის. თუმცა, როდესაც დანაშაული უკავშირდება ფინანსური ტრანზაქციების რთულ ქსელს, ქანქარის რიტმი ირღვევა. ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთის გადატანის საფუძველი ემყარება იმის აღიარებას, რომ ბრალდებულის აქტივებსა და კრიმინალურ მოქმედებებს შორის კავშირის დამტკიცება შეიძლება იყოს რთული ამოცანა. სწორედ ფულის გათეთრება, ეს ყოვლისმომცველი ტრანსნაციონალური საფრთხე, იყო ამ სამართლებრივი ინოვაციის კატალიზატორი. ვინაიდან კრიმინალური სინდიკატები და ინდივიდები ოსტატურად იყენებენ ფინანსურ სისტემებს უკანონოდ მიღწეული შემოსავლების გასათეთრებლად, მტკიცების ტვირთი იხრება ტრადიციული გზიდან.

მტკიცების ტვირთის გადანაცვლება ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს წინასწარგანწყობას და ბადებს კითხვებს კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პროგრესირებადი კრიმინალის პროპორციული დევნის უზრუნველსაყოფად, კანონმდებელმა, საერთაშორისო კონვენციაში ასახვით, გარკვეულ შემთხვევებში დასაშვები გახადა მტკიცების ტვირთის გადატანა ბრალმდებელიდან ბრალდებულზე. კერძოდ, ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ”, ასევე ცნობილი როგორც “ვარშავის კონვენცია”, არის საეტაპო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას. ევროპის საბჭოს მიერ 2005 წელს მიღებული კონვენცია რატიფიცირებულია მრავალი ქვეყნის მიერ (მათ შორის საქართველოს მიერ 2014 წელს) და მისმა დებულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაზე. კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მტკიცების ტვირთის გადატანა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გადახვევას ტრადიციული სამართლებრივი პრინციპებიდან.

მტკიცების ტვირთის გადატანა ეხება სამართლებრივ პრინციპს, რომელიც მოითხოვს ბრალდებულის უდანაშაულობის დამტკიცებას და არა ბრალდების მხარის მიერ ბრალის დამტკიცებას. ტრადიციულ სამართლებრივ ჩარჩოში, მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურატურას და ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, სანამ ბრა-

¹⁴ <https://www.nolo.com/legal-encyclopedia/burdens-proof-criminal-cases.html>; 31.08.2023;

¹⁵ https://www.bindmans.com/uploads/files/documents/Michael_Biggs_-_TOEIC_4_years_on_-_some_during_questions.pdf; 31.08.2023;

¹⁶ PRESUMPTION OF INNOCENCE AND RELATED RIGHTS; European Union Agency for Fundamental Rights, 2021; pg. 26;

ლეულობა არ დამტკიცდება.¹⁶ თუმცა, ვარშავის კონვენციას შემოაქვს სხვა მიდგომა, განსაკუთრებით ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების წინააღმდეგ არსებული საქმეების კონტექსტში. კონვენციის მე-3 მუხლი კონკრეტულად ეხება მტკიცების ტვირთის საკითხს, სადაც ნათქვამია, რომ „თითოეულმა მონაწილემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რომლებიც შესაძლებელია აუცილებელი გახდეს იმისათვის, რომ მძიმე დანაშაულთან ან დანაშაულებთან დაკავშირებით მოთხოვნილი იქნეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დამნაშავემ დაამტკიცოს საეჭვო შემოსავლის ან სხვა ქონების წარმოშობა, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას იმ მოცულობით, რომ ეს მოთხოვნა შეესაბამება მის შიდა სამართლის პრინციპებს.“¹⁷ ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევებში, თუკი ბრალდებულს აღმოაჩნდება, აქტივები, რომლებიც არაპროპორციულია მისი კანონიერი შემოსავლის მიმართ, მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდებულზე, რათა დაამტკიცოს ამ აქტივების წარმოშობა - ლეგიტიმაცია.

ვარშავის კონვენციაში მტკიცების ტვირთის გადატანის საფუძველი ემყარება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის აუცილებლობას. ფულის გათეთრება რთული და მეტად დაფარული პროცესია, რომელიც გულისხმობს უკანონო სახსრების წარმოშობის შენიღბვას და მათ ლეგიტიმურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირებას. იმ შემთხვევებში, როდესაც აღმოჩნდება, რომ ბრალდებული ფლობს მისი კანონიერი შემოსავლის არაპროპორციულ აქტივებს, კონვენცია, ბრალდებულზე პასუხისმგებლობის დაკისრების გზით, მიზნად ისახავს შექმნას ძლიერი შემაკავებელი მექანიზმი ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვარშავის კონვენციაში მტკიცების ტვირთის გადატანას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონვენციის მხარეთა სამართლებრივ სისტემებზე. უპირველეს ყოვლისა, ის წარმოადგენს გადახვევას უდანაშაულობის პრეზუმფციის ტრადიციული სამართლებრივი პრინციპიდან, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და რომელიც დაცულია მრავალი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობით. უდანაშაულობის პრეზუმფცია ეფუძნება პრინციპს, რომ ბრალდებულის ბრალეულობის დამტკიცება ბრალდების მხარის მოვალეობაა და ბრალდებულს არ უნდა მოეთხოვოს უდანაშაულობის დამტკიცება. მაშასადამე, კონვენციაში მტკიცების ტვირთის გადატანა აჩენს რისკს ამ ფუნდამენტური უფლების პოტენციური ეროვნული შესახებ, რადგან ის აკისრებს ტვირთს მოპასუხეს.

გარდა ამისა, ვარშავის კონვენციაში მტკიცების ტვირთის გადატანამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების სამართლიანობის პრინციპზე. იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე, მას შეიძლება შეექმნას მნიშვნელოვანი გამოწვევები თავისი აქტივების ლეგიტიმურობის დასადასტურებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აქტივების შეძენის ამსახველი ოპერაციები რთულად მისაგნებია. ამან შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევა, რო-

¹⁷ ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, მუხლის 3, პუნქტი 4; ვარშავა; 2005 წლის 16 მაისი;

დესაც ბრალდებული ფაქტობრივად ითვლება დამნაშავედ მანამ, სანამ თავადვე არ დაადასტურებს საკუთარ უდანაშაულობას. როდესაც ერთი მხარე მეორის წინააღმდეგ ამტკიცებს ბრალდებას, იზრდება მტკიცებულების წარმდგენი მხარის მიერ საქმის მოგებისა და შესაბამისად ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის რისკი, თუკი მოპასუხე საწინააღმდეგო მტკიცებულებებს ვერ წარადგენს.¹⁸

2. მტკიცების ტვირთის გადანაწილის პრინციპის რეალიზება ქართულ კანონმდებლობაში და არსებული პრობლემები

საქართველოს კონსტიტუცია იმპერატიულად იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. კერძოდ, 31-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.“¹⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №236 დადგენილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი თავი (თავი XLIV¹) ადგენს - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის და დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის სამოქალაქოსამართლებრივ მექანიზმს. აღნიშნული მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამ დროს, ქონების ჩამორთმევის სისხლისსამართლებრივი მექანიზმისგან განსხვავებით, ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან მიმართებაში ხდება მტკიცების ტვირთის ცვლილება და უშუალოდ მოპასუხე მხარეს ეკისრება ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების ვალდებულება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356³ მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ.“²⁰

ვარშავის კონვენციას საქართველო შეუერთდა 2014 წლის მაისში და მოახდინა ხსენებული კონვენციის რატიფიცირება, თუმცა გამოიყენა ამავე კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმა და განაცხადა, რომ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენება მხოლოდ კონფისკაციის სამოქალაქო პროცედურებთან მიმართებაში. აღნიშნული დათქმა მიუთითებს, რომ საქართველო, მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, გამორიცხავს მტკიცების ტვირთის შეცვლას და მის დაკისრებას მოპასუხე მხარისთვის. მიმაჩნია, რომ ამდაგვარი დათქმის გაკეთება მართებულია, რადგან ხსენებული კონვენციის მესამე მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს და ასევე, მართებულია, რადგან მტკიცების ტვირთის გადანაწილ პრობლემურად განიხილება რამდენიმე მიზეზის გამო:

¹⁸ Burdens of Proof, Presumptions and Standards of Proof in Criminal Cases; Worku Yaze Wodage; 09.2014; pg.259;

¹⁹ საქართველოს კონსტიტუცია; 25.08.1995; მუხლი 31, ნაწილი 6;

²⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; 14.11.1997; მუხლი 356³, ნაწილი მე-6;

- **უდანაშაულობის პრეზუმფცია:** მტკიცების ტვირთის გადატანა ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპია. აღნიშნული პრინციპი ითვლება ფუნდამენტურად, რადგან სჯობს დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე უდანაშაულო დაისაჯოს.²¹ ხოლო მტკიცების ტვირთის გადატანა, ბრალდებულს აკისრებს პასუხისმგებლობას, დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა, არსებითად განიხილავს მას როგორც დამნაშავეს, სანამ საწინააღმდეგო არ დაამტკიცდება. ამან შეიძლება მიგვიყვანოს ისეთ ვითარებამდე, როდესაც ინდივიდებს უსამართლოდ ეკისრებათ მტკიცების ტვირთი დანაშაულის არარსებობის მტკიცებით, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს.
- **უთანასწორობა და უსამართლობა:** ბევრი ავტორი მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთის გადატანა უსამართლოა. იგი შეიცავს ბრალდებულისათვის გაცილებით დიდ რისკს, ვიდრე კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთეა, მიუხედავად ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა.²² ბრალდებულის უდანაშაულობის დამტკიცების მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს უსამართლო სამართალწარმოება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს არ გააჩნია რესურსი ამტკიცოს უდანაშაულობა. მტკიცების ტვირთის შეცვლას შეუძლია არაპროპორციულად იმოქმედოს მარგინალიზებულ და დაუცველ პირებზე, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ წვდომა იურიდიულ წარმომადგენლობაზე ან მტკიცებულებების ეფექტურად შეგროვების საშუალებებზე. ამ უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს უსამართლო შედეგები და გააგრძელოს სისტემური უსამართლობა სამართლებრივ სისტემაში.
- **იძულების და თვითინკრიმინირების რისკი:** მტკიცების ტვირთის გადატანამ შეიძლება უნებლიედ გამოიწვიოს შემთხვევები, როდესაც ბრალდებული პირები იძულებულნი იქნებიან წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლებიც პოტენციურად ადანაშაულებენ მათ, თუნდაც ისინი უდანაშაულონი იყვნენ. იურიდიული შედეგების შიშით, ინდივიდებმა შეიძლება მოიპოვონ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება არასწორად იქნას განმარტებული, როგორც დანაშაულის მტკიცებულება. თვითინკრიმინირებისგან დაცვა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კაცობრიობისთვის, რომ გახდეს ცივილიზირებული.²³
- **პრინციპის “In Dubio Pro Reo” შეცვლა:** “In dubio pro reo” არის ლათინური სამართლებრივი მაქსიმა, რომელიც ითარგმნება როგორც „ექვი ბრალდებულის სასარ-

²¹ Victor Tadros & Stephen Tierney, The Presumption of Innocence and the Human Rights Act, 67(3) Mod. L. Rev. 402 (2004);

²² INTERPRETATION OF REVERSE ONUS CLAUSES; Juhi Gupta; pg.10;

²³ Yale Journal of Law & the Humanities; Rubashov ‘s Question: Self-Incrimination and the Problem of Coerced Preferences; January 1990; pg. 159;

გებლოდ“. ხსენებული პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში არსებული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მტკიცების ტვირთის გადატანა ასუსტებს ამ პრინციპს, რაც პოტენციურად იწვევს მსჯავრდებებს, რომლებიც დაფუძნებულია უდანაშაულობის დამტკიცების შეუძლებლობაზე და არა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დანაშაულის დამტკიცებაზე.

- **პროკურატურის როლის შეცვლა/პასუხისმგებლობის არიდება:** მტკიცების ტვირთის გადატანამ შესაძლოა შეამციროს ბრალდების მხარის როლი და პასუხისმგებლობა, სასამართლოში ძლიერი და დამაჯერებელი მტკიცებულებებით გაზიარებული საქმის წარმოდგენის კუთხით. ამან შეიძლება წახალისოს პროკურორები, დაეყრდნონ ბრალდებულის „უმწეო“ მდგომარეობას, რომ იგი ვერ შეძლებს წარმოადგინოს საკუთარი თავის უდანაშაულობის ამსახველი მტკიცებულებები, ნაცვლად იმისა, რომ თავად წარადგინონ სასამართლოში ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტით დაარწმუნებდა ობიექტურ პირს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. პროკურორმა ნაფიც მსაჯულები უნდა დაარწმუნოს ორივე ელემენტის - „mens rea“ და „actus reus“ არსებობაში.²⁴
- **გავლენა სამართლებრივი სისტემის მთლიანობაზე:** სისტემის დანერგვა, რომელიც ცვლის მტკიცების ტვირთს, იწვევს შეშფოთებას სამართლებრივი სისტემის მთლიანობის შესახებ. ამან შესაძლოა დაარღვიოს საზოგადოების ნდობა სასამართლო პროცესების სამართლიანობისა და მართლმსაჯულების განხორციელებასთან მიმართებაში.
- **ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები:** ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. მტკიცების ტვირთის გადატანა შეიძლება ჩაითვალოს ამ სტანდარტების დარღვევად.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცების ტვირთის გადატანა შეიძლება გამართლებული იყოს კონკრეტულ კონტექსტში, როგორიცაა სამოქალაქო საქმეები ან საქმეები, რომლებიც ეხება ფინანსურ დანაშაულს, ის კვლავ სადავო საკითხად რჩება სისხლის სამართალში, რადგან ეჭვქვეშ აყენებს კანონიერებისა და სამართლიანობის ფუნდა-

²⁴ Burdens of Proof, Presumptions and Standards of Proof in Criminal Cases; Worku Yaze Wodage; pg.16;

მენტურ პრინციპებს, რაც პოტენციურად იწვევს უსამართლო შედეგებს და ძირს უთხრის სამართლებრივი სისტემების მთლიანობას.²⁵ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან ნებისმიერი გადახვევა გულდასმით უნდა იქნას განხილული, ინდივიდუალური უფლებების პოტენციური რისკების და სამართლებრივი სისტემის საერთო სანდოობის გათვალისწინებით. აღნიშნული პრინციპის დაცვა აუცილებელია ყველა საზოგადოებაში, რომელსაც სჯერა თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის.²⁶ მტკიცების ტვირთის ნებისმიერ უნებლიე გადატანით იზრდება სახელმწიფო აპარატის მხრიდან თვითნებობისა და გაუმართლებელი ტვირთის ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ განსასჯელზე დაკისრება.²⁷ როდესაც ბრალდების მხარე - სახელმწიფო გამოძიების დაწყების დღიდან იპოვებს მტკიცებულებებს (რომელთა მოპოვებას შესაძლოა წლები დასჭირდეს) და ბრალდებული, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ იგებს მის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების შესახებ, როდესაც მის მიმართ უკვე გამოტანილია ბრალდების შესახებ დადგენილება და აღნიშნულიდან ეძლევა ორთვიანი ვადა თავადაც მოიპოვოს და საქმეზე კანონის შესაბამისად დაამაგროს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რთულია ამ ყველაფერს ვუწოდოთ მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენება და შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც იმთავითვე ბრალდების მხარის უპირატესობით მიმდინარეობს. ხოლო, ამ ყველაფრის ფონზე, მტკიცების ტვირთის გადატანა ბრალდებულზე, უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს ამ უკანსკნელს და არღვევს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპს.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება ყოველთვის უნდა იყოს ფხიზლად და მუდამ მხედველობაში ჰქონდეს, რომ ბრალდებულს ზოგჯერ „უწევს“ ატაროს მტკიცების ტვირთი, რაც არ უნდა იყოს გამოყენებული მის წინააღმდეგ და შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა დაეყრდნოს ბრალდებულის მიერ მტკიცების შეუძლებლობას.

²⁵ Presumed Guilty until Presumed Guilty until Proven Innocent: The Burden of Proof in Wrongful Conviction Claims under State Compensation Statutes; Daniel S. Kahn; pg.14;

²⁶ Byron M. Sheldrick, Shifting Burdens and Required Inferences: The Constitutionality of Reverse Onus Clauses, 44(2) U. Toronto Fac. L. Rev. 179, 180 (1986);

²⁷ Shifting of Burden in Criminal Cases; Apurba Khatriwada; 18.05.2007; pg. 11 / https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=987439;

ოკერატიულ-სამეხბრო ღონისძიებების ეფექტურობა დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით

მარიამ ლელაშვილი

*** ივანე
კავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
იურიდიული
ფაკულტეტის
დოქტორანტი**

შესავალი

უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება, მით უფრო, მისი დემოკრატიული და სამართლებრივი პროგრესი. მოქალაქეებს აქვთ განსაკუთრებული მოლოდინი, რომ სახელმწიფო დაიცავს მათ უსაფრთხოებას, იგი იქნება მათი საკუთრების დაცვის გარანტი, ასევე სხვა პოლიტიკური თუ სოციალური და ეკონომიკური უფლებების უზრუნველმყოფი. უსაფრთხოების გარეშე თითოეულ მოქალაქეს ეკარგება თავისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა და პირველ რიგში, ღირსებადაცული არსებობის საფუძველი.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეთა უმრავლესობას სურს იცხოვროს უსაფრთხო სახელმწიფოში, რომელშიც ხელისუფლება ფლობს ყველა საჭირო ინფორმაციას, თუნდაც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და შეუძლია საფრთხე, ეფექტიანი საქმიანობის წყალობით, თავიდან აიცილოს.²

თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში პრევენციას საზოგადოების განვითარებისა და სიმშვიდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.³ საზოგადოების უპირველესი დაკვეთა სწორედ დანაშაულის თავიდან აცილებაა, ვინაიდან, დარღვეული უფლების აღსადგენად ბრძოლა როგორც თავად ადამიანისთვის, აგრეთვე სახელმწიფოსთვის, დამატებით რესურსს მოითხოვს, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ შეუძლებელია. დანაშაულის ეფექტური და გონივრული პრევენცია ზრდის თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხს. მას აქვს ხანგრძლივი სარგებელიც, რაც

¹ ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, 2009, 216-217.

² მ. ხოდელი, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), 2019, 153.

³ ავტორთა კოლექტივი, საპოლიციო სამართალი, ლ. იზორია (რედ.), 2015, 19-20.

გამოიხატება სისხლის სამართალწარმოების ხარჯებისა და დანაშაულთან დაკავშირებული სხვა სოციალური ხარჯების შემცირებაში.⁴

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოხდეს დანაშაულის თავიდან აცილება ან სამართალდამცველთათვის ცნობილ დანაშაულებთან დაკავშირებით აღსრულდეს მართლმსაჯულება, არამედ სახელმწიფომ თავადაც გადადგას ქმედითი ნაბიჯები, ეძებოს და გამოავლინოს ლატენტური დანაშაულები. ქვეყნების უმეტესობაში დანაშაულის გამოვლენა პოლიციის პასუხისმგებლობაა და გარკვეული კატეგორიის დანაშაულების გამოვლენაც ხშირად მხოლოდ მათი აქტიური ქმედებების შედეგია.⁵ მაგ., კორუფციულ ქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად და გამოძიების დასაწყებად საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის განცხადების/საჩივრის ლოდინი. მსგავსად კორუფციისა, ორგანიზებულ დანაშაულთა უმეტეს ნაწილშიც, როგორებიცაა ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ტრანზიტი, ფულის გათეთრება და სხვ. ფაქტობრივად არ არსებობს პირი (მომჩივანი), რომელიც დანაშაულის შესახებ განაცხადებს პოლიციაში. ტრადიციულ და მძიმე დანაშაულებშიც კი, მაშინ როდესაც სახეზეა მსხვერპლი, ადამიანები, მოსალოდნელი შურისძიების შიშით, არ არიან მოწადინებული დანაშაულის შესახებ შეატყობინონ სამართალდამცავ უწყებებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებშიც სამართალდამცავ უწყებებს დანაშაულის შესახებ ხშირად არ მიეწოდებათ ინფორმაცია.⁶

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზებულ დანაშაულთა რაოდენობის შემცირების მნიშვნელობა ხაზგასმულია გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზნითაც⁷. ამ ტიპის დანაშაულების წარმატებულად გამოძიება კი მოითხოვს პროაქტიულ მიდგომებს, რომლებიც ძირითადად ეფუძნება ანალიზზე დაფუძნებულ (intelligence analysis) საპოლიციო საქმიანობას.⁸ ანალიტიკური პროცესის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს კრიმინალური საქმიანობა მათ განხორციელებამდე და მოამზადოს სამართალდამცავი უწყებები, რათა სპეციფიკურ დანაშაულებრივ საკითხებთან, მანამ, სანამ ისინი მცირე ზომისაა, მინიმალური რესურსებით გამკლავება შეძლონ.⁹ ასეთი დანაშაულების გამოსავლენად ხშირად საჭიროა ფინანსური ჩანაწერების ძიება, ინფორმატორებთან და მოქალაქეებთან გასაუბრება თუ სათვალთვალო საქმიანობა.¹⁰

⁴ United Nations Guidelines for the Prevention of Crime, Economic and Social Council resolution 2002/13, Annex, <https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/UN_standards_and_norms_in_crime_prevention_at_your_fingertips.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 10.01.2023).

⁵ <<https://www.britannica.com/topic/crime-law/Detection-of-crime>> (უკანასკნელად ნანახია: 10.01.2023).

⁶ UNAFEI, Current Situation of Detection and Investigation, 1999, 251-252.

⁷ <https://www.undp.org/sustainable-development-goals/peace-justice-and-strong-institutions?gclid=CjwKCAjw3oqoBhAJEiwA_UaLtk4INDdem3yvHjceSiWoz2Qwwh-kkaXDb5cWJXmft_JOoDoI4KN-LxoCSK8QAvD_BwE> (უკანასკნელად ნანახია: 14.09.2024).

⁸ ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებით ვრცლად იხ: OSCE Guidebook, Intelligence-Led Policing, 2017.

⁹ UNODC, Criminal Intelligence, Manual for Managers, 2011, 51.

¹⁰ UNODC, E4J University Module Series: Organized Crime, Module 8: Law Enforcement Tools and Cooperation, Special investigative techniques and intelligence gathering, <<https://www.unodc.org/e4j/en/organized-crime/module-8/key-issues/special-investigative-techniques/intro.html>> (უკანასკნელად ნანახია: 10.01.2023).

შესაძლებელია ითქვას, რომ დანაშაულის გამოვლენაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია დანაშაულის პრევენციასთან, ვინაიდან დამნაშავის იდენტიფიცირება და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ემსახურება დანაშაულის როგორც სპეციალურ, აგრეთვე გენერალურ პრევენციას.¹¹

დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენის მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი ყოველთვის აქტუალურია. საზოგადოების განვითარებასთან და ტექნოლოგიურ მიღწევებთან ერთად, იცვლება სახელმწიფო სტრატეგიები და მიდგომები, მათ შორის, საპოლიციო მოდელები - რეპრესიულიდან პროაქტიულამდე. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან პოლიცია დღემდე ხელმძღვანელობს 1999 წელს მიღებული „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მისი კონცეპტუალური გადახედვა და განახლება არ განხორციელებულა. პირიქით, პერიოდულად ხდებოდა მისი „გამოშიგვანა“ უმეტესწილად სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა არ ხდებოდა საკითხის განსხვავებული რაკურსით გაანალიზება - პოლიციას რა ბერკეტი რჩება (ან საერთოდ უნდა რჩებოდეს თუ არა) იმისთვის, რომ განხორციელოს პროაქტიული საქმიანობა, მოახდინოს დანაშაულის პრევენცია და გამოვლენა. როგორც წესი, დღევანდელ სამართლებრივ დისკუსიებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არ განიხილება როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის გარანტი, მაშინ როდესაც იგი მიზნად სწორედ ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას ისახავს, რაც, უდავოდ, კონსტიტუციურ ლეგიტიმურ მიზნებს განეკუთვნება.¹² სტატიის მიზანს არ წარმოადგენს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ადამიანის უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შეფასება. შესაბამისად, მასში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სახეები და მათი გამოყენების საფუძვლები მიმოიხილება მხოლოდ დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენის ფუნქციის ეფექტურობასთან მიმართებით.

1. პოლიციის ფუნქცია დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი, რომელიც საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ აცხადებს, ადგენს, რომ ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. აღნიშ-

¹¹ სპეციალური და გენერალური პრევენციის თეორიებთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება, ი. დვალაძე (რედ.), 2019, 23-32.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 10; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ლეგიტიმურ მიზნებთან დაკავშირებით აგრეთვე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407, საქმეზე „უკატერინე ლომთათიძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 8; MALONE v. THE UNITED KINGDOM, Application no. 8691/79, ECHR, 1984, 81.

ნული სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებებს, არამედ პოზიტიურსაც - განახორციელოს ყველა შესაბამისი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების რეალიზებას. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია ერთი მხრივ, ყოველმხრივ, სრულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად¹³ გამოიძიოს მომხდარი დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, მოახდინოს მისი პრევენცია.¹⁴ აღნიშნული ვალდებულება ნათლად აისახა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის თანახმადაც, საქართველოს პოლიცია, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს წარმომადგენელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ახორციელებს **პრევენციულ** და სამართალდარღვევაზე **რეაგირების** ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიციის უმთავრესი ამოცანაა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან დაიცვას ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები. ამასთან, პოლიციას ევალება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა. აქედან გამომდინარე, პოლიცია ვალდებულია, იმოქმედოს სხენებული სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, ანუ სამართლებრივი სიკეთეების არსებულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად (პოლიციის პრევენციული ფუნქცია).¹⁵

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს პრევენციული ხასიათის საპოლიციო ღონისძიებას, რომლის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილება ან მათი დარღვევის აღკვეთა. თავის მხრივ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტიც მიუთითებს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან**. გარდა აღნიშნულისა, ამავე კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება. შესაბამისად, კანონმდებელი ნათლად აცხადებს, რომ იგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს განიხილავს პოლიციის პრევენციული საქმიანობის ქრილშიც.

¹³ International Committee of the Red Cross, International Rules and Standards for Policing, 2015, 20.

¹⁴ აღნიშნული მოსაზრება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკითაც. მაგ. საქმეზე - OSMAN v. THE UNITED KINGDOM, Application no. 23452/94, ECHR, 1998 - სასამართლომ საზგასმით მიუთია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით; ვრცლად ასევე იხ. ჯ. მერდოკი, რ. როშე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება, სახელმძღვანელო პოლიციის ოფიცრებისა და სხვა სამართალდამცველი პირებისათვის, ევროპის საბჭო, 2013, 79-81.

¹⁵ ავტორთა კოლექტივი, საპოლიციო სამართალი, ლ. იზორია (რედ.), 2015, 43.

გარდა პრევენციული დანიშნულებისა, აღსანიშნავია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მნიშვნელობა დანაშაულის გამოვლენის მიმართულებითაც, ვინაიდან სწორედ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული პირველადი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე შეიძლება დაიწყოს გამოძიება, მოხდეს საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების გეგმის შედგენა.“¹⁶ დანაშაულის გამოვლენის მიმართულებით საქართველოს სსსკ ვერ იქნება ეფექტური, ვინაიდან იგი მიემართება უკვე დაწყებული გამოძიების ფარგლებში მტკიცებულებების მოპოვებას და მასში დეკლარირებული ე.წ. ფარული საგამოძიებო მოქმედებებიც მხოლოდ დანაშაულებრივი ფაქტის მოხდენის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს.¹⁷

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების პრევენციულ ფუნქციასთან დაკავშირებით.¹⁸ ნაწილი მას მიიჩნევს პრევენციული ბუნების მატარებლად, ნაწილი კი პირიქით, გამორიცხავს მას. მართლაც, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენება ფაქტობრივად ყოველთვის მიმართული ხდება კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების დადგენა-გამოვლენისკენ. მიუხედავად აღნიშნულისა, ცალკე აღებულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, აქვს პრევენციული ხასიათიც. მაგ. კონფიდენტისგან სამართალდამცავ ორგანოს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია დასახლებაში არსებულ დაძაბულ სიტუაციაზე, რამაც შესაძლოა უფრო მძიმე ფორმები მიიღოს და გადაიზარდოს დანაშაულებრივ ქმედებებში. მოცემულ შემთხვევაში, პოლიცია, ბუნებრივია, ვერ დაიწყებს გამოძიებას, ვინაიდან მას უშუალოდ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია არ მიუღია, თუმცა შეუძლია გააძლიეროს ვიზუალური კონტროლი, სხვა კონფიდენტისგან მოითხოვოს მეტი ინფორმაცია არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ან აირჩიოს პრევენციის სხვა ღონისძიება.

სავარაუდოდ, აზრთა სხვადასხვაობის მთავარი მიზეზი არის არა ის, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას საერთოდ არ გააჩნია პრევენციული ხასიათი, არამედ ბუნდოვანებას იწვევს ერთ საკანონმდებლო აქტში, ფუნქციების, მიზნების, საფუძვლების ნათელი გამიჯვნის გარეშე ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსაზღვრა, რომელსაც ერთდროულად რეპრესიული და პრევენციული ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს.

¹⁶ ი. აქუბარდია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ევროპული სტანდარტი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2020, 221.

¹⁷ დ. ლეკიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ურთიერთკავშირის პრობლემები, საიუბილეო კრებული „რევაზ გოგშელიძე 65“, 2022, 281.

¹⁸ შედარებისთვის იხ. ი. აქუბარდია, პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამიჯვნის პრობლემები, „ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისის საიუბილეო კრებული - 60“, რედ. მ. ივანიძე, (რედ.), 2021, 76; მ. ხოდელი, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), 2019, 166; კ. ბუაძე, კანონზომიერება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სახელმწიფო საიდუმლოების უზრუნველყოფის დროს, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(54), 2017, 132.

დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენის მიმართულებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ეფექტურობის გასაზრებლად მნიშვნელოვანია შეფასდეს როგორც თავად ხსენებული ღონისძიებები, აგრეთვე მათი გამოყენების საფუძვლები.

2. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი დეტალურად ჩამოთვლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტით იმპერატიულად მიუთითებს, რომ დადგენილი ღონისძიებების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს მხოლოდ ამ კანონით. ხსენებული კანონი განსაზღვრავს 11 სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, რომელთა მიმოხილვაც აუცილებელია დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წარმოდგენილი განმარტებები მოცემულია ნორმის ფორმულირების გათვალისწინებით და არ განიხილება მისი პრაქტიკაში გამოყენების რეალური შემთხვევები, არც საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში გამოთქმული მოსაზრებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საგულისხმოა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც, ცალკეულ შემთხვევაში, კანონი იმგვარად უნდა იქნეს გაგებული და აღქმული, როგორც ის არის დაწერილი. სამართალშემფარდებელს ევალება ნორმის დისპოზიციით, მასში პრაქტიკულად ასახული, გათვალისწინებული და არა გასათვალისწინებელი სინამდვილით ხელმძღვანელობა.¹⁹

2.1. პირის გამოკითხვა

პირის გამოკითხვის განმარტებას გვთავაზობს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის პირად გასაუბრებას ფიზიკურ პირთან, რომელმაც რაიმე იცის **გამოსაკვლევი შემთხვევის ან მასთან დაკავშირებულ პირთა შესახებ**. გამოკითხვა ნებაყოფლობითია და გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირის გამოკითხვას განმარტავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლიც, თუმცა, მიუხედავად ტერმინოლოგიური და ნებაყოფლობითი ხასიათის მსგავსებისა, ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ პირის ვინაობის დადგენის მიზნით.

¹⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 17.

ტერმინს „გამოსაკვლევ მიმდინარე“ სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს და გვხვდება მხოლოდ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში დეფინიციის გარეშე. შესაბამისად, სამართალშემფარდებელს არაფერი ზღუდავს იგი ფართოდ ინტერპრეტირებად ტერმინად მიიჩნიოს და არ დაუკავშიროს მხოლოდ დანაშაულს ან/და მის შესახებ არსებულ ინფორმაციას. მაგ., ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემოსავლების მოულოდნელი ზრდის გათვალისწინებით წარმოშობილი ეჭვი კონკრეტული პირის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, მსგავსი განმარტება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირს აძლევს საშუალებას განსახილველი ღონისძიება გამოიყენოს დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებითაც, თუმცა გასათვალისწინებელია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომელიც დეტალურად ჩამოთვლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების საფუძვლებს. აღნიშნულ საკითხი განხილულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების საფუძვლების ქვეთავში.

2.2. საკონტროლო შესყიდვა

საკონტროლო შესყიდვა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით განიმარტება, როგორც ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ **ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე** საგნის ან ნივთიერების შეძენა ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე), მომსახურების შეძენა ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა, საქართველოს სსკ-ის 143¹ ან 143² მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოსავლენად ადამიანის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება ანდა განხორციელების სიტუაციის შექმნა. საკონტროლო შესყიდვის განხორციელებაც მოითხოვს გარკვეულ ოპერატიულ ინფორმაციას, თუმცა კანონი არ აკონკრეტებს რის შესახებ არსებულს. ოპერატიული ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ ან მხოლოდ ეჭვს იმის შესახებ, რომ კონკრეტული პირი შესაძლოა ეწეოდეს დანაშაულებრივ საქმიანობას ან კონკრეტულ პირზე ასეთი ეჭვის გარეშე, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს დანაშაულებრივ საქმიანობას. ამ უკანასკნელ შემთხვევებში შესაძლებელია საუბარი იმაზე, რომ საკონტროლო შესყიდვას შეუძლია დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის ფუნქციის შესრულება, თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხსენებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენებას სჭირდება შესაბამისი საფუძველი და იგი დამოუკიდებლად ვერ აღსრულდება.

2.3. ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის განმარტებას, კერძოდ, ცნობების შეგროვება ესაა ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის მიერ კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვება, რომლებსაც

არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კანონით გათვალისწინებულ ამოცანათა შესასრულებლად, ხოლო ვიზუალური კონტროლი ესაა **ოპერატიული თვალთვალი**, რომელიც **კონსპირაციულად** ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ **უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით**.

ცნობების შეგროვებასთან მიმართებით კანონმდებლობა აწესებს „არსებითი მნიშვნელობის“ სტანდარტს, თუმცა ვინაიდან არ განმარტავს კონკრეტულად რა შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ ცნობების მოპოვება არსებითი მნიშვნელობის მქონედ, სტანდარტი ექცევა ნორმის გამოყენებლის მიხედულების ფარგლებში. კანონმდებლობით ბუნდოვანია რამდენად ხდება ხსენებული სტანდარტის ზედმიწევნით დაცვის მონიტორინგიც, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობა არ ანიჭებს ნეიტრალური უწყებას (მაგ. სასამართლოს) სტანდარტის შეფასებისა და ღონისძიების კონტროლის უფლებამოსილებას. „არსებითი მნიშვნელობის“ სტანდარტი მხოლოდ ფორმალურ ჩანაწერად რჩება იმის გამოც, რომ პირმა შესაძლოა საერთოდ ვერ გაიგოს მის შესახებ ცნობების შეგროვების შესახებ და შესაბამისად, აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონიერება ვერ გაასაჩივროს შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.²⁰

რაც შეეხება ვიზუალური კონტროლის ფარგლებში განხორციელებულ ოპერატიულ თვალთვალს, კანონმდებლობა არც ამ უკანასკნელი ტერმინის დეფინიციას იძლევა, თუმცა მიუთითებს რომ იგი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლის მიერ უშუალოდ, აგრეთვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული საპოლიციო ღონისძიების - ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის - გამოყენებისგან განსხვავებით, განსახილველი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ხასიათდება კონსპირაციულობით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვიზუალურ კონტროლში არ იგულისხმება კონტროლს დაქვემდებარებული პირის თუ გარემოებების ფიქსაცია. შესაბამისად, ტექნიკური საშუალებები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობისთვის. ტექნიკური საშუალებებით ვიზუალური მეთვალყურეობისას ფოტო-გადაღების აკრძალვას არაერთი პრაქტიკული პრობლემა შეუძლია წარმოშვას და თავად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გახადოს არაეფექტური. მაგ. თუკი ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირი საჯარო სივრცეში ხვდება ადამიანს, რომელიც დიდი ალბათობით შესაძლებელია დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი იყოს, პოლიციელი ამ უკანასკნელს, იდენტიფიცირების მიზნით, ფოტოს ვერ გადაუღებს, მაშინ როდესაც დანაშაულის პრევენციისა თუ გამოვლენისთვის შესაძლებელია მისი ვინაობის დადგენას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ხსენებული პირის იდენტიფიცირების მიზნით, პოლიციელმა შესაძლებელია მიმართოს „პოლიციის შესახებ“

²⁰ საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ „პირის გამოკითხვას“, თუმცა ხსენებული საპოლიციო ღონისძიების ღიაობისა და ორგანიზებული ჯგუფის წევრთა გამოცდილების გათვალისწინებით, პოლიციელის მიერ პირის შეჩერებამ და გამოკითხვამ შესაძლოა წარმოშვას ეჭვი, რომ იგი იმყოფება სამართალდამცავთა მეთვალყურეობის ქვეშ და დროებით შეაჩეროს დანაშაულებრივი საქმიანობა ან გამოიჩინოს მეტი სიფრთხილე.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი აგრეთვე არ მიუთითებს სად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური კონტროლი, ღია, საჯარო სივრცეში, თუ პრივატულ გარემოში. მაგ., ბუნდოვანია კანონმდებლობა უშვებს თუ არა კონკრეტული პირის სახლის ფანჯრების ტექნიკური საშუალების (მაგ. ბინოკლი) გამოყენებით კონტროლს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ნაწილშიც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს ბუნდოვან დისპოზიციებს და ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობის განჭვრეტადობის პრინციპს.

2.4. კონტროლირებადი მიწოდება

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით კონტროლირებადი მიწოდება ესაა **დანაშაულის სათანადოდ გამოძიებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენის მიზნით** საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს ფარგლების გარეთაც), საქართველოს ფარგლების გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით შესაძლო ნივთიერი მტკიცებულების კონტროლირებადი გადაადგილება. მოცემულ შემთხვევაში, თავად დისპოზიცია მიუთითებს, რომ წარმოდგენილი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გამოიყენება უკვე დაწყებული გამოძიებისას და მის ფარგლებში დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება ვერ გამოდგება დანაშაულებრივი ქმედების არსებობის გამომჟღავნების პირველწყაროდ. აქვე, ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ თუკი კონტროლირებადი მიწოდება გამოიყენება გამოძიების ფარგლებში კონკრეტული დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვების მიზნით, მაშინ იგი თავისი შინაარსით ხომ არ უნდა მივიჩნიოთ საგამოძიებო მოქმედებად, ნაცვლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ხომ არ უნდა აისახოს საქართველოს სსსკ-ში. მითუმეტეს, ამ უკანასკნელში უკვე გაჩნდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კონტროლირებადი მიწოდების ფარგლებში სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლებულ წინასწარ ნიშანდებულ ან/და ყალბ (სიმულაციურ) დოკუმენტს აქვს მტკიცებულებითი ძალა²¹, აგრეთვე ნივთიერ მტკიცებულებად განიშარტა კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებისას გამოყენებული წინასწარ ნიშანდებელი ან/და ყალბი (სიმულაციური) საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი.²²

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 78-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის 25-ე ნაწილი.

2.5. საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა

ერთ-ერთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად განსაზღვრულია საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა, რაც გულისხმობს საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევას ვიზუალურად ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რაც არ ითვლება ექსპერტის დასკვნად. სამწუხაროდ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იძლევა უფრო მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა საგანი/დოკუმენტი ან რა ვითარებაში აღმოჩენილი შეიძლება დაექვემდებაროს გამოკვლევას, აგრეთვე დოკუმენტი მხოლოდ მატერიალური ფორმით უნდა არსებობდეს თუ იგულისხმება ელექტრონული ფორმით არსებული დოკუმენტებიც, დათვალიერება ხდება ღიად თუ გამოიყენება კონსპირაციის წესები და სხვ. ამასთან, ბუნდოვანია საგნისა და დოკუმენტის გამოკვლევა გულისხმობს მხოლოდ მის გარეგნულ, ვიზუალურ დათვალიერებას, თუ უფრო სიღრმისეული კვლევა ან კონკრეტული საგნიდან/დოკუმენტიდან ნიმუშების აღებაც მოიაზრება.

საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა შინაარსით ძალიან ჰგავს საგამოძიებო მოქმედება დათვალიერებას, რომელიც ასევე მოიცავს საგნისა და დოკუმენტის დათვალიერებას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში თუკი დაინიშნება გამოძიება და დღის წესრიგში დადგება რომელიმე საგნის ან/და დოკუმენტის დათვალიერების საჭიროება, იგი უნდა ჩატარდეს საქართველოს სსსკ-ის 125-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „გამოკვლევა“ ტარდება გამოძიების დაწყებამდე პერიოდში. საქართველოს სსსკ-ისგან განსხვავებით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკონკრეტებს კერძო საკუთრებაში არსებული საგნისა და დოკუმენტის გამოკვლევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გარდა საგამოძიებო მოქმედებისგან განმასხვავებელი ნიშნისა, მნიშვნელოვანია განსახილველი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გაიმიჯნოს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში წარმოებული ნივთების დათვალიერებისგან, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემდეგი საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას: ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერებისას, სპეციალური შემოწმების და დათვალიერებისას და სპეციალური საპოლიციო კონტროლისას. ამ უკანასკნელ შემთხვევებში კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს, რომ შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ ზედაპირულად და დეტალურად განსაზღვრავს იმ გარემოებებს, როდესაც დასაშვებად ცნობს ნივთების/საგნების შემოწმებას.

გათვალისწინებით იმისა, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი მხოლოდ მწირ დეფინიციას გვთავაზობს, განსახილველი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების საგამოძიებო მოქმედებისა და საპოლიციო ღონისძიებისგან განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ მათი გამოყენების საფუძველებით, რა დროსაც უპირველესად უნდა გამოირიცხოს ერთი მხრივ, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ხომ არ ხდება ნივთის/საგნის დათვალიერება, ხოლო მეორე მხრივ, სახეზე ხომ არ არის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოებები.

2.6. პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება)

პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება) განიმარტება, როგორც **შესამოწმებელი პირის** ან **ბრალდებულის** დადგენა დაქტილოსკოპიური კარტოთეკის, შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის, სუნის ან გამონაყოფის მიხედვით. მსგავსად სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა, პიროვნების იდენტიფიკაციაც ავლენს მსგავსებას საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებულ საპროცესო მოქმედებებსა და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საპოლიციო ღონისძიებასთან.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დეფინიციის მიხედვით, პიროვნების იდენტიფიკაციაში შესაძლებელია მოიაზრებდეს როგორც შესამოწმებელი პირის/ბრალდებულის დასადგენად უკვე არსებული და სახელმწიფო ორგანოში შენახული ნიმუშების შედარებას შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნიმუშთან, აგრეთვე უშუალოდ პირისგან ნიმუშის აღებას და მის გადამოწმებას დაქტილოსკოპიურ კარტოთეკაში ან შედარებას შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნიმუშთან. ხაზგასასმელია, რომ გამოძიების ფარგლებში შესაძლებელია პირს ჰქონდეს ბრალდებულის სტატუსი და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, მისგან ხდებოდეს ნიმუშის აღება, აგრეთვე შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამოძიების ფარგლებში არ გამოკვეთილა ბრალდებული და სწორედ მისი დადგენის მიზნით ხდება შესამოწმებელი პირებიდან ნიმუშების აღება. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი პირის იდენტიფიცირება ხდება გამოძიების ფარგლებში უნდა გამოიყენებოდეს არა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, არამედ საქართველოს სსსკ-ით ხდება ნიმუშის აღება და შემდგომ ექსპერტიზის ჩატარება.

რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, როდესაც თეორიულად შესაძლებელია დადგეს პირის იდენტიფიცირების საჭიროება, კანონმდებლობას სჭირდება მეტი სიცხადე, ვინაიდან ტერმინი „შესამოწმებელი პირი“ იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, ამასთან საუბარია ადამიანის იდენტიფიცირებაზე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების²³ გამოყენებით, რაც საკითხის მიმართ მეტად სკრუპულოზურ დამოკიდებულებას მოითხოვს.

პიროვნების იდენტიფიკაციის (გაიგივების) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება მსგავსია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირის იდენტიფიკაციისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, პოლიცია უფლებამოსილია დაადგინოს პირის ვინაობა თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღებით, ფოტოსურათის გადაღებით, დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნების დაფიქსირებით, სიმაღლის გაზომვით, ხმის ჩანერით, მონაცემების სამინისტროს საინფორმაციო ბაზებში გადამოწმებითა და სხვა ბიომეტრიული მონაცემების დაფიქსირებით, თუკი **პირის იდენტიფიკაცია საჭიროა სამართალდარღვევის პრევენციისთვის, ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ პირს პირდაპირი კავშირი აქვს ჩადენილ სამართალდარღვევასთან** და სახეზეა შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთი:

²³ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

- პირის ვინაობის დადგენა განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული;
- პირის ვინაობის დადგენა შეუძლებელია მისგან ინფორმაციის მიღების გზით, ან იგი ვერ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ საბუთს;
- არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირის მიერ მიწოდებული მონაცემები ან/და პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ ასახავს მის ვინაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ, თუკი გამოძიების მიმდინარეობისას წარმოიშვა პირის იდენტიფიცირების საჭიროება, გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები. თუკი პოლიციას სამართალდარღვევის პრევენციისთვის სჭირდება პირის იდენტიფიცირება ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს პირი კავშირშია მომხდარ სამართალდარღვევასთან, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნას „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპოლიციო ღონისძიება. ხოლო დანაშაულთან და სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოების მიღმა რა ლეგიტიმური მიზნით შეიძლება ჩატარდეს პირის იდენტიფიცირება, რომლისთვისაც პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის მოპოვება და მისი დამუშავება თანაბრობიერი იქნება, ბუნდოვანია. „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის ფარგლებში რჩება მხოლოდ პირის უგზო-უკვლოდ გაუჩინარებისა (თუ არაა დაწყებული გამოძიება) და ამოუცნობი გვამის აღმოჩენის საფუძველით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების – პირის იდენტიფიცირების (გაიგივების) ჩატარების შესაძლებლობა, რასაც დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით ღირებულება ფაქტობრივად არ გააჩნია.

2.7. დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა

წარმოდგენილ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს, შესაბამისად, ბუნდოვანია თუ რა იგულისხმება ცენზურაში, იგი მოიაზრებს მხოლოდ დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის შემოწმებას თუ დაკავებულისთვის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულისთვის კონკრეტულ თემაზე მიმოწერის აკრძალვას, რაც ნაკლებ სავარაუდოა. აღნიშნულ ბუნდოვანებას ემატება ის გარემოებაც, რომ სამართლებრივი ტერმინი „მსჯავრდებული“ სულაც არ მოიაზრებს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა და განთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში. მსჯავრდებულს შესაძლებელია შეფარდებული ჰქონდეს არასაპატიმრო სასჯელი ან დაუსწრებლად შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა და იძებნებოდეს. შესაბამისად, თუკი კანონმდებლის მიზანი იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ თავისუფლებაშეზღუდული პირის კორესპონდენციის მონიტორინგი, მაშინ დაკავებულთან და დაპატიმრებულთან ერთად მსჯავრდებულის ნაცვლად უნდა მიეთითებინა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდე-

ბული. ამჟამინდელი რედაქციით კი დასაშვები ხდება არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული მსჯავრდებულის კორესპონდენციის „ცენზურაც“.

გარდა აღნიშნულისა, კიდევ ერთ ბუნდოვანებას იწვევს თუ ვინ მოიაზრება დაკავებულსა და დაპატიმრებულში - იგი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს სსსკ-ის საფუძველზე დაკავებულ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაშეფარდებულ პირზე თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში დაკავებული და სახედელშეფარდებული პირებიც მოიაზრება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესი²⁴ საერთოდ არ ითვალისწინებს დაკავებული პირის კორესპონდენციის უფლებას, ხოლო ამავე შინაგანაწესის 34-ე მუხლით კორესპონდენციის გაგზავნისა და მიღების უფლება გათვალისწინებულია ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირისთვის. აღნიშნული კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას ვიზუალური დათვალიერების გზით მისი შინაარსის გაცნობის გარეშე. უკიდურეს შემთხვევაში, შინაგანაწესით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსი უფლებამოსილია, გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა.

კორესპონდენციის უფლების საკითხი დარეგულირებულია პენიტენციური კოდექსითაც, რომლის 115-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, **ბრალდებულის/მსჯავრდებულის** კორესპონდენცია მოწმდება, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო **უკიდურეს შემთხვევაში**, პენიტენციური კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. გარდა აღნიშნულისა, პენიტენციური კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ფარგლებში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოპერატიული დანაყოფი უფლებამოსილია პენიტენციურ დაწესებულებაში ინფორმაცია და მონაცემები მოიპოვოს ღია და ფარული წყაროებიდან, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „კ“ ქ/პ-ებით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად. ამასთანავე, იმავე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება - დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა უნდა განხორციელდეს **პენიტენციური კოდექსით დადგენილი წესით**. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიმართ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძველზე და შინაარსს გაცილებით განჭვრეტადს ხდის პენიტენციური კოდექსი, თუმცა **დაკავებულთან** მიმართებით კორესპონდენციის ცენზურასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ ბუნდოვანი რჩება.

²⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“, №423, 2016 წლის 2 აგვისტო.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სსსკ ერთ-ერთ ფარულ საგამოძიებო მოქმედებად ითვალისწინებს საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლს²⁵. ხსენებულ საგამოძიებო მოქმედებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისგან გარკვეულწილად განასხვავებს სუბიექტთა წრე, კერძოდ, პირველ შემთხვევაში, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლს შეიძლება დაეკვემდებაროს „დანაშაულთან კავშირში მყოფი პირი“ ან პირი, რომელიც შესაძლოა იღებდეს ან გადასცემდეს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი, რომელიც შესაძლებელია იყენებდეს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს²⁶, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სუბიექტები არიან - დაკავებული, დაპატიმრებული და მსჯავრდებული პირები. ამასთან, საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებული დებულებები გამოიყენება მხოლოდ დაწყებული გამოძიების ფარგლებში იმ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება, რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, ჩნდება კითხვა - დაკავებულის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის კონტროლი უნდა მიემართებოდეს მხოლოდ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთა გამოც მათ შეეზღუდათ თავისუფლება, თუ ხსენებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია უკავშირდებოდეს ამ პირთა სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენას, აღკვეთას ან/და პრევენციას?!

2.8. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი კიდევ ერთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად განსაზღვრავს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვებას. ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3⁶²“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები (მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის ადრესატის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები და ა.შ.).

განსახილველი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნისას, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარსადგენად ძებნისას, თუ ის თავს არიდებს მისთვის შეფარებული იძულებითი ღონისძიების გამოყენებას ან დანიშნული სასჯელის მოხდას და დანაშაულის შედეგად დაკარგული ქონების ძებნისას. შესაბამისად, მისი გამოყენება დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით ფაქტობრივად შეუძლებელია.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

2.9. დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საიდუმლო თანამშრომელს, ანუ კონფიდენტს²⁷. საიდუმლო თანამშრომელი (კონფიდენტი) არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამომძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი საიდუმლო თანამშრომლის ან ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროს გახმაურება-გამჟღავნება აკრძალულია გასული დროის მიუხედავად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოს უკვე აქვს ინფორმაცია დანაშაულებრივი ჯგუფის შესახებ და გამოძიების ეფექტურად წარმართვის, სათანადო მტკიცებულებების მოპოვებისა თუ დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით, დანაშაულებრივ ჯგუფში ნერგავს კონფიდენტს ან ოპერატიულ მუშაკს. ხსენებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა კონტროლირებად მიწოდებასთან ერთად ან მის გარეშე, ძალიან ეფექტური საშუალება დასახული მიზნების მისაღწევად, თუმცა მისი ეფექტურობა დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით საეჭვო ხდება, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს საიდუმლო თანამშრომლისა და ოპერატიული მუშაკის ჩართვას დანაშაულებრივ ჯგუფში, რაც იმთავითვე გულისხმობს რომ სამართალდამცავ ორგანოს უკვე აქვს ინფორმაცია ასეთი ჯგუფის არსებობის და მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით კონფიდენტისგან ინფორმაციის მიღება მეტად ღირებული შეიძლება იყოს იმ პირობებშიც, როდესაც სამართალდამცავ ორგანოს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ იქნება ის ჯგუფთან თუ კონკრეტულ ინდივიდთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კვლავ არსებობს ტოლერანტული დამოკიდებულება სხვადასხვა სახის დანაშაულის მიმართ. აღნიშნული განსაკუთრებით წარმოჩინდა ქურდულ სამყაროსთან ან ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებით. მსგავსი დამოკიდებულებები, ბუნებრივია, ზრდის ლატენტურ დანაშაულთა რიცხვს და ამძიმებს კრიმინოგენურ ვითარებას. გარდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა, რაც წარმოადგენს ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს, ხსენებული მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა შეეძლებოდა პირს, რომელიც საიდუმლოდ ითანამშრომლებდა პოლიციასთან და მიაწვდიდა ინფორმაციას დადასტურებული ან შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ.

მართალია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩამონათვალში გვხვდება მხოლოდ კონფიდენტის დანაშაულებრივ ჯგუფში ჩანერგვა, თუმცა „ოპერატიულ-სამძებ-

²⁷ ავტორთა კოლექტივი, საპროკურორო სამართალი, 2015, 178.

რო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს ცალკეული პირების მათივე თანხმობით ჩართვას **ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებასა** თუ **ჩატარებაში**. მსგავსი თანამშრომლობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე მის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი ცნებების გამიჯვნის მიზნით, უმჯობესი იქნებოდა ნათლად მითითებულიყო მე-16 მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებიც კონტრაქტის საფუძველზე ერთვებიან ხსენებულ პროცესში არიან კონფიდენცები თუ ასეთი ტერმინი მხოლოდ დანაშაულებრივ ჯგუფში ჩართულ პირს მიემართება. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისთვისაც, რომ განისაზღვროს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ხელშემწყობ მოქალაქეთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, ვრცელდება თუ არა კონფიდენცების საქმიანობაზეც.

2.10. დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კიდეც ერთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას წარმოადგენს კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა, რაც გულისხმობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს ან გამომძიებლის მიერ **დანაშაულებრივ ფორმირებაში** შესაღწევად ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციის შექმნას. კანონი არ განმარტავს თუ კონკრეტულად რას მოიაზრებს დანაშაულებრივ ფორმირებაში; იგულისხმება წინასწარი შეთანხმებით შექმნილი ჯგუფი, ორგანიზებული ჯგუფი თუ რეკრუტი დაჯგუფება. ვინაიდან ფორმირებაზეა საუბარი, სავარაუდოდ, უნდა მოიაზრებოდეს გარკვეული ორგანიზაციული ფორმის მქონე ჯგუფი. აგრეთვე საინტერესოა, დანაშაულებრივ ფორმირებად უნდა განიმარტოს თუ არა დანაშაულებრივი საქმიანობის განმახორციელებელი მენარმე სუბიექტი ან კონკრეტული იდეის (რომელიც ცალკე აღებულიად შესაძლოა სულაც არ წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგო იდეას, მიზანს) ირგვლივ გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი.

მსგავსად წინა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა, მოცემულ შემთხვევაშიც კონსპირაციული ორგანიზაცია იქმნება იმ მიზნით, რომ მოხდეს კონკრეტულ დანაშაულებრივ ფორმირებაში/ჯგუფში შეღწევა. მოცემულ შემთხვევაში, საინტერესოა პასუხი გაეცეს კითხვას - სამართალდამცავმა ორგანომ დანამდვილებით უნდა იცოდეს კონკრეტული ფორმირების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, თუ საკმარისია ეჭვი ასეთი საქმიანობის შესახებ. მეორე შემთხვევაში, განსახილველ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას ნამდვილად შეეძლებოდა დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით ღირებული შედეგების მოტანა, თუმცა კანონმდებლობა ამ მიმართულებით დუმს.

2.11. ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი

ტექნოლოგიური განვითარებისა და ინტერნეტის მოხმარების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, 2010 წლის 24 სექტემბერს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩამონათვალს დაემატა ახალი ღონისძიება - ინტერნეტურთიერთობის მონიტო-

რინგი, რომელიც განიმარტება, როგორც გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც **ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას**.²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა წარმოდგენილი დისპოზიციის ერთ-ერთი ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, ამასთან ერთად, ფაქტობრივად მთლიანად განმარტა განსახილველი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება და მიუთითა, რომ „სადავო ნორმის მიხედვით, ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი ხორციელდება: ა) ღია და დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების გზით; ბ) ღია და დახურულ ინტერნეტურთიერთობებში მონაწილეობით. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ დახურული ინტერნეტურთიერთობის მონაწილეთა წრეში კონფიდენცის შეღწევას, ჩანერგვას, მათი ნდობის მოპოვებასა და მათთან, მათივე თანხმობით, კომუნიკაციის შესაძლებლობას არეგულირებს ტერმინი “მონაწილეობა”, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს როგორც ღია, ისე დახურულ ინტერნეტურთიერთობებში მონაწილეობას. მაშასადამე, სადავო ნორმის შემოღების კანონმდებლის მიერ დასახელებული მიზანი – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელ პირს უფლება ჰქონდეს, დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა, თავად გახდეს შესაბამისი დახურული ჯგუფის წევრი ამ ჯგუფის წევრთა თანხმობით და ამის საშუალებით განახორციელოს დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება - მიიღწევა ზუსტად ამ ტერმინის მეშვეობით. რაც შეეხება ტერმინს „დაკვირვება“, სადავო ნორმაში არაფერი იძლევა ამ ტერმინზე დაყრდნობით დახურულ ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვების უფლებამოსილების გამორიცხვის შესაძლებლობას, მით უფრო, ვალდებულებას.“²⁹ სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო წარმოდგენილი ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გულისხმობდა დახურული ხასიათის მქონე ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვებას და მიიჩნია იგი ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევად.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენა, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი გამოყენება უნდა მოხდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ და საჭიროა ბრალდებული პირის გამოკვეთა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენების საფუძვლების განხილვის გარეშეც გამორიცხება მისი გამოყენება დანაშაულის გამოვლენის და პრევენციის მიზნით.

²⁸ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1027497?publication=0>> (უკანასკნელად ნანახია: 10.01.2023)

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 16.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების საფუძვლები

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი დეტალურად ჩამოთვლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების საფუძვლებს, მათ შორისაა³⁰:

პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება **მის/მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე** ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ;

პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება **ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი წესით მიღებულია განცხადება ან შეტყობინება, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება**, რომლის გამოც აუცილებელია გამომძიებლის ჩატარება, მაგრამ არ არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამომძიებლის დასაწყებად.

პირველ შემთხვევაში ცალსახად განსაზღვრულია პოლიციის რეაგირების ფუნქციის განხორციელების საფუძველი, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე უკვე მიმდინარე გამომძიებლის ფარგლებში ხდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენება. შესაბამისად, **ცალსახაა, რომ იგი ვერ შეასრულებს დანაშაულის გამოვლენის ან/და მისი თავიდან აცილების ფუნქციას.**

რაც შეეხება მეორე საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში სრულად გასაზიარებელია პროფესორ ირინა აქუბარდიას მოსაზრება, რომლის თანახმად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქ/პ ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის მე-100 მუხლს, რომლის მიხედვითაც დანაშაულის შესახებ განცხადების/შეტყობინების მიღებისთანავე უნდა დაიწყოს გამოძიება. საქართველოს სსსკ საგამომძიებო ორგანოებს არ ავალდებულებს, რომ გამომძიებლის დაწყებამდე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების გზით, შეისწავლონ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები. შესაბამისად, სისხლის საპროცესო კანონმდებლობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას არ მიიჩნევს გამომძიებლის დაწყების წინაპირობად და გამომძიებელი/პროკურორი ინფორმაციის მიღებისთანავე ვალდებული არიან შეუდგნენ გამოძიებას.³¹

³⁰ დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით რელევანტურია მხოლოდ მითითებული საფუძვლების ხსენება, ვინაიდან დანარჩენი საფუძვლები ეხება: მიმალვაში მყოფი პირის ძებნას, აგრეთვე პირის გაუჩინარებას, გვამისა და უპატრონო ქონების აღმოჩენას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს, საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციისა და უცხო ქვეყნის სამართალდაცვის ორგანოს თხოვნა-შეკითხვას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის წერილობითი ბრძანებას.

³¹ ი. აქუბარდია, ოპერატიულსამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ევროპული სტანდარტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2020, 222-223.

საქართველოს სსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველი ხდება დანაშაულის შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მიაწოდეს გამოძიებულს ან პროკურორს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. საპროცესო კოდექსით გამოძიების დასაწყებად არ მოითხოვება რაიმე სპეციალური სტანდარტი და არ დგინდება ინფორმაციის სანდოობის ხარისხი. ამის საპირისპიროდ კი, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიუთითებს სწორედ არსებული ინფორმაციის ხარისხზე.³² სწორედ კანონმდებლობაში არსებული ამგვარი ბუნდოვანების შედეგია პრაქტიკაში მყარად დამკვიდრებული ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიების ნაცვლად, გამოიყენება ოპერატიული ღონისძიებები, რათა გადამოწმდეს მიღებული ინფორმაცია.³³

მიუხედავად წარმოდგენილი მსჯელობისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც რთულია მიღებული ინფორმაციით სამართალდამცავმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიების დაწყება-არდაწყებასთან დაკავშირებით. მაგ., თუკი სამართალდამცავ ორგანოში შევა ინფორმაცია, რომ მზადდება ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის საფუძველზე არაა გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მაგ. სამართალდამცავ უწყებაში შევიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პირმა გაიგონა მისი მეზობლის ნათქვამი, რომ იგი უპირებს ქონების დაზიანებას და ამისთვის სათანადო ხელსაწყოებიც შეიძინა, რამაც მას მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიაყენოს. საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მომზადებისთვის კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული არ არის). მოცემულ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს სამართალდამცავი უწყება? დაიწყოს გამოძიება თუ განსახილველი საფუძვლით განახორციელოს შესაბამისი ოპერატიული ღონისძიება? ცალკე მსჯელობის საკითხია საერთოდ რამდენად შეიძლება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კონკრეტული სახეების განხორციელება ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელზეც კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი არ დგინდება.

სამართალდამცავ ორგანოებს სისხლის სამართლის პროცესის მიღმაც სჭირდებათ ისეთი ღონისძიებები, რომელთა გამოყენების მეშვეობით შესაძლებელი გახდება დანაშაულის ნიშნების გამოვლენა. მსგავსი ღონისძიებების არარსებობას ადასტურებს იურისტთა წრეში კარგად ცნობილი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით გამოძიების დაწყებას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა გარდაცვლილი პირი, თუმცა გარდაცვალების აშკარა მიზეზი არ იკვეთება და არც სხვა ინფორმაცია არსებობს დანაშაულის შესახებ. მაგ., 2021 წელს საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 1 607 საქმეზე, ხოლო 2022 წელს (იანვარი-ნოემბერი) – 1 171 საქმეზე.³⁴ მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორ-

³² თ. გვასალია (კვლევის ავტ.), რ. ალეველდტი (ექსპერტი), ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 38.

³³ იქვე, 39.

³⁴ <<https://info.police.ge/uploads/63aebd3a19f65.pdf>> (უკანასკნელად ნანახია 20.09.2024).

განოთა პრაქტიკის არმცოდნე ადამიანს დარჩება შთაბეჭდილება, რომ ხსენებულ მუხლთან მიმართებით საქართველოში განსაკუთრებით მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა და ადამიანებს ერთმანეთი ძალიან ხშირად მიჰყავთ თვითმკვლელობამდე. ვინაიდან ადამიანის გარდაცვალება ზოგადად ბიოლოგიური პროცესის შედეგია, თუკი არ არსებობს სხვა სახის ინფორმაცია (მოწმის ჩვენება, გარდაცვლილის სხეულზე არსებული დანაშაულის ნიშნები და ა.შ.), მხოლოდ გვამი არ უნდა ითვლებოდეს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროდ, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს სხვა სამართლებრივი მექანიზმი იმისთვის რომ დადგინდეს გარდაცვალების მიზეზი, გამოიკვეთოს დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის ამსახველი მტკიცებულებები, იწყება გამოძიება და საქართველოს სსსკ-ის ფარგლებში ტარდება გვამის დათვალიერება და შესაბამისი ექსპერტიზა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან იქმნება სიტუაციები, როდესაც არ არსებობს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, თუმცა პოლიცია ვალდებულია გადაამოწმოს ხომ არ არის დამდგარი შედეგი დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული, საჭიროა, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს როგორც შესაბამის საფუძვლებს, აგრეთვე სათანადო ღონისძიებებს, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა შეასრულონ დანაშაულის გამოვლენის ფუნქცია. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ამ ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის, მასალის სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობაც. სასამართლო პრაქტიკა ისედაც იცნობს მსგავს პრეცედენტებს, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულება (მაგ. ექსპერტიზის დასკვნა) გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეში.

დამატებით, მხედველობაშია მისაღები ისეთი შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ არსებობს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მსგავს ვითარებაში ხშირია დანაშაულის ფაქტები და მათ გამოსავლენად და პრევენციისთვის საჭიროა შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება (მაგ. დიდ ფესტივალებზე, რომელზეც ნარკოდანაშაულის ალბათობა მაღალია).

დასკვნა

უსაფრთხო გარემოს განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია კრიმინოგენური ვითარება. დანაშაულებრივი ქმედებებით გამოწვეული ზიანი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს - იგი სცდება კონკრეტული მსხვერპლისთვის მიყენებულ ზიანს, რომლის აღდგენაც, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელია და სხვა ეფექტებთან ერთად აისახება ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოზეც კი; რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებების სრულყოფილად რეალიზების შეფერხებაზე, სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ფორმალურ ხარჯებზე და ა.შ. შესაბამისად, დანაშაულის პრევენცია და გამოვლენა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს.

ხსენებული ფუნქციის ეფექტურად შესასრულებლად საჭიროა კანონმდებლობით დეტალურად განისაზღვროს სათანადო „ბერკეტები“, რომელიც არა მხოლოდ თავისი არსით იქნება ვარგისი და გამოსადეგი საშუალება, არამედ ჩამოყალიბდება იმგვარად, რომ არ დატოვებს ბუნდოვანებას მისი გამოყენების ფარგლებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სახით ჩამოთვლის სახელმწიფოს ხელთ არსებულ ასეთ მექანიზმებს, იგი მაინც არ არის საკმარისი დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით.

უპირველესად, უნდა გადაიხედოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დეფინიციები, რომლებიც რიც შემთხვევებში ზღუდავს მათი გამოყენების მასშტაბს, ხოლო რიც შემთხვევებში პირიქით - ზედმეტად აფართოებს მას. გარდა არსებული ღონისძიებების შინაარსობრივი დახვეწისა, კანონმდებლობას უნდა დაემატოს ღონისძიებათა ახალი სახეებიც. მაგ. გამოიკვეთა ექსპერტიზის ჩატარების და ვიზუალური დაკვირვებისას ფოტო-ფიქსაციის შესაძლებლობის საჭიროება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მკაცრად რეგლამენტირებისთვის აუცილებელია ასევე დეტალურად განისაზღვროს თითოეული ასეთი ღონისძიების გამოყენების მასშტაბი და კონტროლის სათანადო მექანიზმი.

აგრეთვე, გათვალისწინებით იმისა, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლები ფაქტობრივად გამორიცხავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენის მიმართულებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია კანონით ჩამოთვლილ საფუძველთა გაფართოებაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს სჭირდება ხელახლა განხილვა და გადამუშავება. მიუხედავად იმისა, თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოდერნიზების რა გზას აირჩევს სახელმწიფო, მთავარია უფლებათა დაცვის მოტივით არ მოხდეს კანონმდებლობიდან დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენისკენ მიმართული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სრულად გამოცლა ან/და პირიქით - უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივით არ შეიქმნას საპოლიციო საქმიანობაში ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობა. ერთი მხრივ, სამართალდამცავ უწყებებს უნდა გაუჩნდეს კანონმდებლობით რეგლამენტირებული, ნათელი, განსაზღვრული და ეფექტური ბერკეტები დანაშაულის გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები.

ინფლაციის სამართლებრივი პრობლემები: სისხლისსამართლებრივ მაკვალიფიცირებელ მდგენელთა და სასჯელთა მისადაგების საჭიროება ინფლაციის მაჩვენებელთან

მარიამ სიხარულიძე*

შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს, რომ საქართველოს არის სოციალური სახელმწიფო.¹ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ფუნქციური დანიშნულება ყველაზე მკაფიოდ იკვეთება მაშინ, როცა სახელმწიფოში სოციალური ფონის გაუარესების რისკები იზრდება. ასეთ დროს სახელმწიფოები სხვადასხვა ზომებს მიმართავენ, რათა აღკვეთონ სოციალური გარემოს გაუარესებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები. სოციალურ გარემოზე გავლენას კი მრავალი ფაქტორი ახდენს, მათ შორისაა ინფლაცია და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები. სწორედ ასეთმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისებმა, რომლებიც დიდი დეპრესიის შემდეგ წარმოიშვა, გამოიწვია სამართლის ეკონომიკური ანალიზის, როგორც კვლევითი დარგის ჩამოყალიბება.² წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხი სამართლისა და ეკონომიკის ინტერდისციპლინური კვლევის საგანს წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ინფლაციის გავლენა იმ მრავალრიცხოვან სამართლებრივ საკითხთან ერთ-ერთზე, რომელიც სოციალური გარემოს ცვლილებიდან გამომდინარე ქმნის სოციალური დეტერმინანტების ცვლილების საჭიროებას. უფრო ზუსტად, სტატია განიხილავს სისხლისსამართლებრივი მაკვალიფიცირებელი მდგენელებისა და სასჯელების ინფლაციის მაჩვენებელთან მისადაგების საჭიროებას და სახელმწიფოს, როგორც სოციალური გარანტის, როლის ფუნქციურ დანიშნულებას ინფლაციის პირობებში.

საკითხის აქტუალობა გამოხატულია მის მნიშვნელობაში. ინფლაცია გავლენას ახდენს სისხლისსამართლებრივ მაკვალიფიცირებელ მდგენელთა და სასჯელთა ეფექტურობაზე. კერძოდ, იმ პირობებში, სადაც სამომხმარებლო ფასები მნიშვნელოვან

* ილიას
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სამართლის
ბაკალავრი,
თსუ-ს კერძო
სამართლის
მაგისტრანტი.

¹ საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995., მუხლი 4, ნაწილი 1.

² A. Gelpert, A. J. Levitin, Considering Law and Macroeconomics, Law and Contemporary Problems, 2020, 1. [“Considering Law and Macroeconomics” by Anna Gelpert and Adam J. Levitin \(duke.edu\)](#) (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

რყევებს განიცდის, შეუძლებელია დროის მსვლელობასთან ერთად საჭირო არ გახდეს მაკვალიფიცირებელ მდგენელთა და სასჯელთა ცვლილება. საქართველოში დადგენილი სისხლის სამართლის მაკვალიფიცირებელი მდგენელები და სასჯელები, კი უკვე ხანდაზმულობის დიდ დროს ითვლიან. ეს ხელს უშლის, ერთის მხრივ სოციალური ხარჯების ეფექტურ გადანაწილებას, ხოლო მეორეს მხრივ თანასწორი სოციალური გარემოს შექმნას. აქიდან გამომდინარე, საჭირო ხდება არა მაკვალიფიცირებელი მდგენელის, არამედ „მაკვალიფიცირებელი ცვლადის“ შექმნა, რომელიც მისადაგებულ სასჯელთან ერთად შექმნის დანაშაულის ოპტიმალურ რაოდენობას.

წინამდებარე სტატიის მთავარ მიზანს სწორედ მაკვალიფიცირებელი ცვლადის შექმნის საჭიროების დადგენა წარმოადგენს, რის კვალდაკვალაც, სტატია მიუთითებს სასჯელთა მისადაგების საჭიროებაზეც. ამ მიზნით, სტატია, სისხლის სამართლის ეკონომიკური ანალიზის დოქტრინაზე დაყრდნობით, განიხილავს სახელმწიფოს სოციალური გარანტიის (კეთილდღეობის მიმწოდებლის) ფუნქციურ როლს, სოციალური გარემოს ცვლილების ზეგავლენას სამართალზე და სოციალური ხარჯების შემცირების გზებს.

1. სახელმწიფოს სოციალური გარანტიის როლი ინფლაციის პირობებში

1.1. კეთილდღეობის სახელმწიფო

სოციალური სახელმწიფო, სხვაგვარად კეთილდღეობის სახელმწიფო, პოლიტიკური ეკონომიკის მეცნიერთათვის, არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს თავისი მოქალაქეებისათვის უნივერსალური კეთილდღეობის სერვისების მიწოდებაზე. სოციალური პოლიტიკა, როგორც კვლევის ერთ-ერთი დარგი მიიჩნევა, რომ „კეთილდღეობის სახელმწიფო“ ყველა ინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა ფორმით.³

სოციალური სახელმწიფოს იდეა გამომდინარეობს ადამიანის ე.წ. „მეორე თაობის“, ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული უფლებებიდან, რომლებმაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გადმოიწია წინა პლანზე.⁴ იურისტებისთვის სოციალური სახელმწიფო მოიაზრებს სოციალურ უსაფრთხოებას, ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის შექმნას, სოციალურ სამართლიანობასა⁵ და თანასწორობას.⁶

³ თ. ჯულუხაძე, სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 2014, 5.

⁴ მ. ჯიქია, განათლების უფლების დაცვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მიხედვით, კ. კორკელია (რედ), ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2021, გვ. 195.

⁵ ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ. კორკელია (რედ), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2012. გვ. 113. პარაფრაზი იხ. მ. შალიკაშვილი, გ. მიქაძე, მ. (ზ.) ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, 29-30.

⁶ თ. ზალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ს ჟურნალი „სამართალი“, 2012, 269.

სახელმწიფოები სხვადასხვა სოციალურ პოლიტიკას ატარებენ იმისათვის, რომ განახორციელონ კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა. თავისთავად, კეთილდღეობის სახელმწიფოს შესაქმნელად ამოქმედებული პოლიტიკა შეიძლება ბევრ მიმართულებას მოიცავდეს, როგორიცაა განათლების, ბავშვთა კეთილდღეობის, საპენსიო, დასაქმების, საბინაო პოლიტიკა და სხვა...⁷ მიუხედავად გასათარებელ პოლიტიკათა მრავალფეროვნებისა, მაინცაა შესაძლებელი სოციალური პოლიტიკის კლასიფიცირება.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას სახელმწიფოები ითვალისწინებენ ე.წ. „მაგიური ექვსკუთხედის“ პრინციპს, რომელიც ორი ძირითადი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიზნის მიღწევას ემსახურება. „მაგიური ექვსკუთხედი“ აყალიბებს ექვს ძირითად მიმართულებას: დასაქმების მაღალი დონე, სტაბილური და გონივრული ეკონომიკური ზრდა, ფასთა სტაბილურობა, საგარეო სტაბილურობა, შემოსავლისა და სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილება.⁸

კეთილდღეობის სახელმწიფოს მიერ გასათარებელი სოციალური პოლიტიკა, მის უკეთ გასაგებად, შესაძლოა დაიყოს სამ ძირითად მოდელად: „**რეზიდუალური, ინდუსტრიულ მიღწევებზე ორიენტირებული და ინსტიტუციური გადანაწილების მოდელი**“.⁹ კეთილდღეობის სახელმწიფოს რეზიდუალური მოდელი გულისხმობს, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ხდება „კეთილდღეობის მიმწოდებელი“, როდესაც ოჯახი და ბაზარი ამას ვერ უზრუნველყოფს. სახელმწიფოს ჩარევა ასეთ შემთხვევებში დროებითი ხასიათისაა. ინდუსტრიულ მიღწევებზე ორიენტირებული სახელმწიფოები ქმნიან ისეთ სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც ბაზრის დამხმარე როლს ასრულებენ. ინსტიტუციური გადანაწილების მოდელის შემთხვევაში, სახელმწიფო კეთილდღეობას მიაწოდებს მოსახლეობას ბაზრისაგან დამოუკიდებლად, მათი საჭიროებებისა და სოციალური თანასწორობის იდეის მიხედვით.¹⁰

კეთილდღეობის სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ფუნქციები, შესაძლოა დაკვალიფიცირდეს სამ ჯგუფად. პირველი ბაზრის მიერ რესურსების ბუნებრივი განაწილების ნაკლოვანებების შემცირებაა. მეორე ფუნქცია ისეთი სოციალური რისკებისგან დამზღვევის ფუნქციაა, რომლისგან დაზღვევასაც ბაზარი ვერ ახერხებს. მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებაა, რაც შესაძლოა გამოიხატოს, ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ინვესტირებით, საპენსიო ფონდებით ფულადი დანაზოგების შექმნით, მისი ინვესტირებით სხვადასხვა სფეროში და სხვ...¹¹

⁷ თ. ჯულუხაძე, სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 2014, 5.

⁸ ვრცლად იხ. Magic Hexagon. <https://www.bwl-lexikon.de/wiki/magisches-sechseck/> (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

⁹ R. Titmuss, What is Social Policy? in Brian Abel-Smith and Kay Titmuss (eds), Social Policy: An Introduction, Chapter 2, New York, NY: Pantheon Books, A Division of Random House, 1974, 144-145.

¹⁰ იქვე.

¹¹ თ. ჯულუხაძე, სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 2014, 8.

უნდა ითქვას, რომ საქართველო კეთილდღეობის სახელმწიფოს სამი ძირითადი მოდელიდან სამივე მოდელისათვის დამახასიათებელ პოლიტიკას ატარებს და კეთილდღეობის ფუნქციონირებას სამივეს ახორციელებს. რეზიდუალურობა გამოიხატება სახელმწიფოს მიერ „დროებითი დახმარების-კეთილდღეობის დროებით მიწოდებაში“. საქართველომ ასეთი როლი შეასრულა კოვიდ პანდემიის დროს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეთათვის რესურსების ტრანსფერებით.¹² ინდუსტრიულ შედეგებზე ორიენტირებულობა გამოიხატება ბაზარზე ისეთი ინსტიტუტების შექმნით, რომლებიც ბაზრის დამხმარე „მოთამაშეებად“ მოიაზრებიან. ასეთად შესაძლოა ჩაითვალოს ეროვნული ბანკი, რომელიც ბაზარზე მონეტარული სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას¹³. ხოლო, ინსტიტუციური გადანაწილების მოდელის მიხედვით, სახელმწიფო განუზრევლად ყველას, საჭიროებების მიუხედავად, აწოდებს კეთილდღეობას, რაც გულისხმობს სრული ზოგადი განათლების უფასო მიწოდებას, ინფრასტრუქტურის მოწყობას, თანასწორობის უზრუნველყოფასა და სხვა...

საქართველო, ეროვნული ბანკის საშუალებით, მართალია ახორციელებს ძირითად ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მიზანია სტაბილური ეკონომიკური განვითარება, მაგრამ მასთან ერთად დროებით ფინანსურ ტრანსფერებსაც მიმართავს, რადგან გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პოლიტიკა დროის მცირე შუალედში ვერ აღმოფხვრის ზიანს, რომელიც მოქალაქეს ადგება მაგალითად უმუშევრობით, საპენსიო ასაკს მიღწევით ან შრომისუნარობით. სტაბილური შედეგების მიღწევა კი, ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილითაა შესაძლებელი.

უნდა ითქვას ისიც, რომ კონკრეტული განცხადება ქვეყნის უზენაეს კანონში, სახელმწიფოს თავისთავად კეთილდღეობის სახელმწიფოდ არ აქცევს, შესაბამისად ვერც საქართველოს სახელმწიფოს განცხადება იქნება მისაღები იმის დასადასტურებლად, არის თუ არა საქართველო კეთილდღეობის სახელმწიფო. „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეის გაგებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმის გააზრება, თუ რა სოციალურ უფლებებს ანიჭებს იგი მოქალაქეებს. აქ მთავარია ვიცოდეთ, როგორ იკვეთება სახელმწიფოს, ბაზრისა და ოჯახის, როგორც სოციალური კეთილდღეობის მიმწოდებლის, ფუნქციები¹⁴ და რამდენად ეფექტურად მართავს სახელმწიფო კეთილდღეობით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

¹² ვრცლად იხ. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ კოვიდ პანდემიის პერიოდში გამოწვეული უარყოფითი შედეგების კომპენსირებისთვის. <<https://stopcov.ge/ka/Gegma>>, (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

¹³ ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონი, 24.09.2009, მუხლი 3, ვრცლად ეროვნული ბანკის მისიისა და ამოცანების შესახებ იხილეთ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. <https://nbg.gov.ge/publications> (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

¹⁴ თ. ჯულუხაძე, სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 2014, 7.

1.2. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ინფლაციის პირობებში

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საქართველო კისრულობს ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, რაც მათ შორის მოიაზრებს ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. ამ უკანასკნელში მოიაზრება ისეთი გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი ფუნქციური მოქმედებები, რომლებიც ეკონომიკურ რყევებს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აბალანსებს, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში, აღკვეთს რყევებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

საშუალოვადიან ფუნქციურ მოქმედებებს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), რომლის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა მდგრადი ეკონომიკური ზრდის და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა¹⁵. ამ მიზნისათვის, საქართველოში სხვა მონეტარულ რეჟიმებთან ერთად¹⁶ ამოქმედებულია ინფლაციის თარგეთირების მონეტარული რეჟიმი, რაც ეკონომიკისთვის „ნომინალური ღუზის“¹⁷ ფუნქციას ასრულებს. ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება.

ზოგი ავტორის მოსაზრებით ინფლაცია არის ის ერთადერთი ცვლადი, რომელიც ცენტრალურ ბანკს რეალურად შეუძლია მართოს.¹⁸ თუმცა, ეს არ არის მიზეზი იმისათუ რატომ უნდა იმართებოდეს ინფლაცია. ინფლაცია იწვევს კეთილდღეობის დანაკარგს,¹⁹ ხოლო კეთილდღეობის მიწოდება კეთილდღეობის სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავია. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ჩართვით, საქართველო ფაქტობრივად აღიარებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მართვის აუცილებლობას, რაც რეალურად სახელმწიფოს საშუალოვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში აისახება.²⁰ თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოშობილ უარყოფით შედეგებს საშუალოვადიანი პოლიტიკა ვერ აღკვეთს.

ზემოაღნიშნული მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოქმნილი უარყოფითი შედეგები, როგორც სოციალურ გარემოზე, ისე საკანონმდებლო ჩარჩოზეც აისახება, რაც მომდევნო თავებში დეტალურად იქნება განხილული.

¹⁵ ეროვნული ბანკის შესახებ კანონი, 24.09.2009, მუხლი 3, მუხლი 17, ნაწილი 4.

¹⁶ საქართველოში ამოქმედებულია ინფლაციის თარგეთირების, დე-დოლარიზაციისა და მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმი. ვრცლად იხ. თ. ბაიაშვილი, ოპტიმალური სავალუტო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკი, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი 3, N3, 2015. ასევე: შ. მხატვრიშვილი, დე-დოლარიზაცია - რატომ?, საქართველოს ეროვნული ბანკი, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი 5, N1, 2017.

¹⁷ შ. მხატვრიშვილი, ინფლაციის თარგეთირება: ძირითადი პრინციპი, მახასიათებლები, წინაპირობები და ემპირიული შეფასებები, საქართველოს ეროვნული ბანკის ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ ტომი 4, N2, 2016, 10.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ა. ბლუაშვილი, ოპტიმალური ინფლაციის დონე საქართველოსთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი 3, N3, 2015, 7.

²⁰ ეროვნული ბანკის შესახებ კანონი, 24.09.2009, მუხლი 17, ნაწილი 4.

2. ინფლაციის გავლენა კეთილდღეობაზე

2.1. ინფლაციის უარყოფითი შედეგები

ინფლაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველზე დიდ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ეკონომიკური მოვლენა მრავალი უარყოფითი შედეგის მომტანი ხდება-ხოლმე. იგი დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის სოციალურ ხარჯთან²¹, უფრო ზუსტად **მაღალი ინფლაციის დონე პირდაპირპროპორციულად ზრდის კეთილდღეობის დანაკარგს**, რაც ქვეყანაში თითოეული მოქალაქისთვის თუ ბიზნესისთვის საერთო სარგებლიანობის დანაკარგს ნიშნავს.²² მაღალი ინფლაციისას იზრდება საინვესტიციო რისკი, ფასები კარგავენ სასიგნალო დანიშნულებას²³ და სხვ...

გაბატონებული შეხედულების თანახმად ინფლაცია არის მსყიდველუნარიანობის დაკარგვა, თუმცა აღნიშნულ მსჯელობაში „გაპარული“ შეცდომაც ცხადია, რადგან „ფასების ინფლაცია შემოსავლის ინფლაციასთან ხელიხელჩაკიდებული მოძრაობს“²⁴ და იგი ადამიანის რეალურ მსყიდველუნარიანობას არ ამცირებს. ინფლაციისას, მართალია, კონკრეტულ პირს გასანევი ხარჯები ეზრდება, მაგრამ, ასევე, ამ კონკრეტული პირის მიერ განეული გაზრდილი ხარჯი სხვისი შემოსავალი ხდება (მწარმოებლის). ხოლო, რახან ადამიანები შემოსავალს საკუთარი შრომის გაყიდვით იღებენ, გამოდის რომ ნებისმიერი განეული ხარჯი კომპენსირებულია შემოსავლითვე.²⁵

ზემოაღნიშნულ მსჯელობაში შეიმჩნევა **უხილავი ხელის**²⁶ გავლენა, რადგან აღნიშნული „ხელიხელჩაკიდებულობა“ ურთიერთშეცევადი პროცესია. იგი იქმნება ადამიანთა პირადი სურვილებით ნაკარნახევი მოქმედებებით, რომლებიც საბოლოოდ საბაზრო ეკონომიკას ქმნიან. ეს პროცესები თავისთავად იმართებიან, თუმცა საზოგადოებისა და ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნებასთან ერთად დადგა კონტროლის საჭიროება. კონტროლისათვის კი სახელმწიფოებმა შექმნეს სხვადასხვა ხელოვნური დეტერმინანტი, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს აწესრიგებს. ასეთ მომწესრიგებელ დეტერმინანტებად უნდა მოვიზნოთ ყველა რეგულა-

²¹ ა. ბლუაშვილი, ოპტიმალური ინფლაციის დონე საქართველოსთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 3, N3, 2015, 7.

²² ვრცლად იხ. იქვე და ასევე გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2008, 481-565.

²³ საბაზრო ეკონომიკაში ფასები მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენენ. მათით განისაზღვრება კონკრეტული პროდუქტის მოთხოვნის დონე, ხოლო ფასებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულების დადგენის შეუძლებლობა მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს იწვევს, რადგან ამ დროს ზღვრული რაციონალობიდან გამომდინარე მწარმოებელსა და მომხმარებელს უჭირთ სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ვრცლად ფასების სასიგნალო დანიშნულების ცვლილებასა და „მენიუს ცვლილების დანახარჯებზე იხილეთ: A. Stella, The Magnitude of Menu Costs: A Structural Estimation, federal reserve board, 2013. ასევე, მენქიუ, გ., ეკონომიკის პრინციპები, 2008 და ა. ბლუაშვილი, ოპტიმალური ინფლაციის დონე საქართველოსთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 3, N3, 2015, 7.

²⁴ გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2008, 643.

²⁵ იქვე.

²⁶ ადამ სმიტის „ბაზრის უხილავი ხელი“, ვრცლად იხ: A. Smith, The Theory of Moral Sentiments, New York: Liberty Classics, 1989, 184-185. ასევე იხ: თ. ვერულავა, „უხილავი ხელის“ მეტაფორა და ადამ სმიტი, ჟურნ. „სემიოტიკა“ N14, 2014, 46-66.

ცია, მათ შორის სისხლისსამართლებრივი, რომელიც კანონმდებლის მიერაა შექმნილი და გატარებული.

თუ უხილავი ხელით მართული დეტერმინანტები თავისთავად იცვლებიან, ხელოვნურად შექმნილ დეტერმინანტებს, ხელოვნურადვე სჭირდებათ შეცვლა, რადგან პირველის ცვლილება იწვევს სოციალური გარემოს შეცვლას, ხოლო მეორე ახალ სოციალურ გარემოში ეფექტური აღარ არის.

აღნიშნული ხელოვნური დეტერმინანტების ინფლაციის გამო ცვლილების საჭიროება აშშ-ში 1979 და 1984 წლებში დაინახეს, როცა შეერთებული შტატების ადმინისტრაციულმა კონფერენციამ გამოიკვლია ინფლაციის გავლენა ჯარიმებსა და ფედერალურ სარჩელებზე. 1979 წელს გამართულმა კონფერენციამ კონგრესს მოუწოდა, რომ მისადაგებინა სასჯელები, გაემარტივებინა ვარაუდები არაკანონიერი ქმედებით მიღებული სარგებლისა და მიყენებული ზარალის ნაწილში, რათა შეემცირებინათ სასჯელის გამოთვლის ხარჯები და მოსალოდნელი სასჯელი პროგნოზირებადი გამხდარიყო. 1984 წლის კონფერენციამ კი კონგრესს მოუწოდა სისტემატურად, ყველა სააგენტოსთვის გაეზარდა „ჭერი“ იმ მოთხოვნების გადასაწყვეტად, რომელიც ინფლაციამ მოაძველა.²⁷

სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო პენსიის გამოთვლის წესს, რომლის მიხედვითაც 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისათვის პენსია განისაზღვრება ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით.²⁸ ხოლო, 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისათვის - ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარის ოდენობით.²⁹ აღნიშნული ჩანაწერით კანონმდებელი ადგენს საპენსიო ცვლადს, რომელიც ითვალისწინებს ინფლაციით გამოწვეული „კეთილდღეობის დანაკარგის“ კომპენსაციას სახელმწიფო პენსიის ინფლაციის მაჩვენებლებთან ინდექსაციის გზით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კეთილდღეობის მიწოდების სტაბილურობის შესანარჩუნებლად სახელმწიფოები შეიმუშავენ როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან მექანიზმებს. საპენსიო ცვლადის ინდექსირების განსაზღვრა სწორედ ინფლაციის მოკლევადიანი უარყოფითი შედეგების კომპენსირებას ისახავს მიზნად. ამ მიზნისა და კანონისმიერი ჩანაწერის დაწესებით, კანონმდებელი ცხადად აღიარებს, კანონმდებლობაზე ინფლაციის გავლენის შესამსუბუქებლად შესამუშავებელი ცვლადების განსაზღვრის საჭიროებას.

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ნელ-ნელა ინფლაციის უარყოფით შედეგებთან ბრძოლა არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტების და მისი მაკონტროლებე-

²⁷ J. M. Chen, Inflation-Based Adjustments in Federal Civil Monetary Penalties, Yale Law and Policy Review, 2016, 3.

²⁸ სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, 23.12.2005, მუხლი 7, ნაწილი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

²⁹ სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7, ნაწილი 2, „ბ“ ქვეპუნქტი.

ლი ორგანოების, არამედ კანონმდებლის ინტერესიც ხდება, სწორედ იმიტომ, რომ ინფლაცია კანონმდებლობით განსაზღვრულ ხელოვნურ დეტერმინანტთა მიზნის ექტურობას ასუსტებს.

2.2. ქმედებათა გაძვირება

ზემოაღნიშნული ხელოვნური დეტერმინანტების ცვლილების ინფლაციით გამოწვეული საჭიროების ცხადად აღსაწერად, მოვიყვანოთ ორ ჰიპოთეზურ მაგალითს:

- 1). ა-მ ჩაამტვრია სხვისი კომერციული ფართის ფანჯარა, 2021 წლის თებერვალში. მის მიერ მიყენებულმა ზიანმა კი შეადგინა 140 ლარი. ა-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრა, თუმცა მას დაევალა ზიანის ანაზღაურება. კომპენსაციის სახით, მან ზუსტად ისეთივე ფანჯარა დაამონტაჟა ფართში.
- 2). ბ-მ 1 წლის შემდეგ, 2022 წლის თებერვალში ჩაამტვრია ზუსტად იგივე კომერციული ფართის ის ფანჯარა, რომელიც 2021 წლის თებერვალში ა-მ შეაკეთა. მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 159.18 ლარი. პირის მიმართ შესაძლოა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნული რიცხვები არც თუ ისე შემთხვევითია. პირველ კაზუსში მიყენებული ზიანის ამსახველი რიცხვი, 140 ლარი პირობითადაა შერჩეული, ხოლო მეორე კაზუსში ასახული რიცხვი გამოთვლილია საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფლაციის მაჩვენებლით ($140 + 140 \times 13.7\% = 159.18$), რომლის მიხედვით 2022 წლის თებერვალში ფასები 13.7%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2021 წლის შესაბამის თვეში.³⁰ თვალსაჩინოა, რომ ზუსტად ერთი და იგივე ქმედება, რომელიც 1 წლის შუალედით განხორციელდა, შესაძლებელია რადიკალურად სხვადასხვაგვარად დაკვალიფიცირდეს. ამ სხვადასხვაგვარობის მიზეზი კი ინფლაციაა.

მიუხედავად ცხადი ცვლილებისა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავისათვის სსკ-ის მაკვალიფიცირებელი მდგენელის ოდენობა არ შეცვლილა 2006 წლის 15 მაისის შემდეგ და იგი შეადგენდა 150 ლარს მაშინაც და დღესაც.³¹ აღნიშნულ მდგენელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამომხმარებლო ფასების ინდექსის კალკულატორის კალკულაციით, 2024 წლის მაისის თვეში 349.7 ლარი უნდა შეედგინა. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით დადგენილ 10000 ლარიან მდგენელს, რომელიც კოდექსის მიღების დღიდან არ შეცვლილა, 2024 წლის სექტემბრის თვეში 35745.47 ლარი უნდა შეედგინა. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 160-დან 200 ლარამდე მერყეობდა, ხოლო 2020 წელს საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი თითქმის გაორმაგდა.³² შესაბამისად ვიღებთ შედეგს, რომ 160 ლარიანი საარსებო მინიმუმის დროს მაკვალიფიცირებელი მდგენელი 150 ლარი იყო და თითქმის გაორმაგებუ-

³⁰ წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით), <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data> (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

³¹ იხ. საქართველოს კანონში სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 15.05.2006.

³² იხ. საარსებო მონიშნული წლების მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2022. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

ლი საარსებო მინიმუმისასაც იგივე. აქვე აღსანიშნავია, რომ მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტით (PPP)³³ მხოლოდ 2016 წლიდან 2022 წლამდე თითქმის გაორმაგდა.³⁴

3. დანაშაულის ეკონომიკური ანალიზი

3.1. დანაშაულის ოპტიმალური რაოდენობა

„სამართალმა უნდა შეამციროს დანაშაულით გამოწვეული ზიანისა და მისი პრევენციის ხარჯი, რაც იძლევა დანაშაულის ოპტიმალურ რაოდენობას“.³⁵

3.1.1. სოციალური ხარჯი და ოპტიმალური შეკავება

სასჯელის ეკონომიკური ანალიზისას მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთისათვის დახარჯული და მისი ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისათვის გაწეული ფინანსური ხარჯების შეფასება.³⁶ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება სახელმწიფოს იმაზე მეტი უჯდებოდეს, ვიდრე მისი ალტერნატიული სასჯელის გამოყენება მით უფრო მაშინ, როცა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის თვალსაზრისით თავისუფლების აღკვეთის შემდეგ უფრო არის რეციდივის შანსი.³⁷

სასჯელის ეკონომიკური ანალიზისას, ასევე, უნდა შეფასდეს თუ რამდენად ადეკვატურია დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანისა და ამ ქმედებისათვის გამოყენებული სასჯელისათვის ან პრევენციისათვის გაწეული ფინანსური ხარჯი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის ეკონომიკური თეორია ცალკეულად აფასებს ერთის მხრივ დანაშაულით მიყენებულ ზიანს და მეორეს მხრივ მისი პრევენციისათვის გაწეულ ხარჯს.³⁸ დანაშაულის ეკონომიკური ანალიზის ცენტრალური მიმართულება ფო-

³³ „მსყიდველობითი უნარის პარიტეტი“ („Purchasing Power Parity“, PPP) - ინდექსი, რომლითაც ერთი ქვეყნის ვალუტა უნდა გადაიცვალოს მეორე ქვეყნის ვალუტაში, რათა დადგინდეს ერთი და იმავე რაოდენობის საქონელისა და მომსახურების ფასი თითოეულ ქვეყანაში. „PPP გამოიყენება ეკონომიკური კვლევისა და პოლიტიკის ანალიზისთვის საჭირო ფასებისა და მოცულობის ინდექსების გენერირებისთვის, რომელიც მოიცავს მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი ხარჯების კომპონენტების ქვეყნებს შორის შედარებებს. მოცულობის ინდექსები შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკის ზომისა და მათი მატერიალური კეთილდღეობის, მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო ხარჯებისა და მთლიანი პროდუქტიულობის დონის შესადარებლად.“ იხ. International Monetary Fund and others, Consumer Price Index Manual, Concepts and Methods, 2020, 443. <https://geostat.ge/media/46321/cpi-manual-concepts-and-methods.pdf>, (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

³⁴ იხ. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები. <https://nbg.gov.ge/statistics/international-rating> (უკანასკნელად ნანახია: 19.09.2024).

³⁵ R. Cooter, Th. Ulen, Law and Economics, sixth edition, Berkley law books, Book two, 2016, 455.

³⁶ მ. შალიკაშვილი, გ. მიქაძე, მ. (ზ.) ხასია, სასჯელსრულების სამართალი, თბილისი, 2024, 53.

³⁷ იგივე, 54.

³⁸ R. Cooter, Th. Ulen, Law and Economics, sixth edition, Berkley law books, Book two, 2016, 455.

კუსირებულია სოციალურ ხარჯებზე, რომელთა მარტივი საზომი უდრის დანაშაულის-გან მიყენებული ზიანისა და მისი პრევენციის ღირებულების ჯამს.³⁹

განვიხილოთ შემდეგი ფორმულა, სადაც Z არის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი, P არის ამ ზიანის აღსაკვეთად გაწეული პრევენციული ხარჯი, ხოლო S არის სოციალური ხარჯი. თუ S უდრის დანაშაულით მიყენებული ზიანისა და მისი პრევენციის ხარჯს, მაშინ ვიღებთ შემდეგ ფორმულას:

$$S = P + Z$$

რატომ შეადგენს სოციალური ხარჯი მიყენებული ზიანისა და პრევენციისათვის გაწეული ხარჯის ჯამს? პასუხი მარტივია. სახელმწიფო ხარჯს სწევს, რათა დანაშაულის პრევენცია მოახდინოს, მაგრამ პირი დანაშაულს მაინც სჩადის. გამოდის, რომ პრევენციაც, რომელმაც შედეგი არ გამოიღო და დანაშაულის მიერ მიყენებული ზიანიც სოციალური ხარჯის ნაწილია. თუმცა, სოციალური ხარჯი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, რადგან აქ არ არის გათვალისწინებული დანაშაულზე მართლმსაჯულების აღსრულების ხარჯი, რომელიც პირობითად აღვნიშნოთ M-ით. შესაბამისად:

$$S = P + Z + M$$

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ხდება დანაშაულის პრევენცია, არის ის, რომ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი მდგენელები და მისთვის განსაზღვრული სასჯელები ვერ ახორციელებენ „ოპტიმალურ შეკავებას“⁴⁰. იმის ფონზე, რომ სსკ-ის 177-ე მუხლი 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 150-დან 10000 ლამადად მიყენებულ ზიანზე⁴¹ შეუძლებელია სასჯელის ამგვარმა შეფარდებამ ოპტიმალური შეკავება გამოიწვიოს. სასჯელი ითვლება არაკანონიერი ქმედებების ყველაზე მთავარ შემაკავებელ ბერკეტად, რომელიც ოპტიმალური შემკავებლის როლს მხოლოდ მაშინ ასრულებს, როცა ის არც ძალიან მკაცრია და არც ძალიან ლოიალური⁴².

უფრო რომ დავკონკრეტდეთ სსკ-ის 177-ე მუხლთან მიმართებით, თუ პირმა იცის, რომ 200 ლარის ქურდობის შემთხვევაშიც და 9000 ლარის ქურდობის შემთხვევაშიც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ხოლო იმის რისკი, რომ იგი ქმედებისთვის დაისჯება არის 50%, მაშინ იგი აირჩევს უფრო მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას და მოიპარავს 9000 ლარს. სოციალური ხარჯები კი ამგვარად გადანაწილდება: თუ პირი მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებს 9000 ლარის ღირებულების ქონებას და მივიჩნევთ, რომ მისი პასუხისმგებლობა მიცემის ალბათობა არის $\frac{1}{2}$ (50%), მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებლობა მოცემულ შემთხვევაში შეფასდება შემდეგნაირად: $9000 \times \frac{1}{2} = 4500$.⁴³ თუ დავუშვებთ, რომ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

³⁹ იქვე.

⁴⁰ ვრცლად იხ. P. N. Salib, Why Prison?: An Economic Critique, Berkley Journal of Criminal Law, Volume 22, 2017, 8-11. ასევე B. L. Hay, Fee Awards and Optimal Deterrence, 71 Chicago-Kent Law Rev. 1995, 505. და R. Pozner, Economic Analysis of Law, ninth edition, 1986, 213-218.

⁴¹ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 177, მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴² P. N. Salib, Why Prison?: An Economic Critique, Berkley Journal of Criminal Law, Volume 22, 2017, 121.

⁴³ შეადარეთ იქვე, 199.

სასჯელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას მიყენებული ზიანის ორმაგი ოდენობით, მაშინ სოციალური ხარჯები კომპენსირებულია. აღნიშნული გამოთვლა მართალია უხეშია, თუმცა ასახავს ზიანის აღმოფხვრის ალბათობის ხარისხს, რომელიც საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს დანაშაულის ფუჭ პრევენციასა და სოციალურ დანახარცებში.

ასე მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ ქვეყანაში წელიწადში სტატისტიკურად ხდება 1000 ქურდობის ფაქტი და მათ მიერ გამოწვეული ზიანი შეადგენს 1 000 000 ლარს, მაშინ ზიანის ოდენობა, რომელზეც არსებობს ალბათობა, რომ პასუხისმგებლობა დადგება არის $1\,000\,000 \times \frac{1}{2} = 500\,000$. დარჩენილი 500 000 ლარი წარმოადგენს სოციალურ დანახარჯს, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სასჯელად განსაზღვრული იქნება ჯარიმა, მიყენებული ზიანის ორმაგი ოდენობით. იმ შემთხვევაში კი, როცა სასჯელის სახეს წარმოადგენს შინაპატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთა სოციალურ ხარჯი (S) დაითვლება, მიყენებული ზიანის აღუკვეთელი ნაწილის ალბათობის ($Z \times 50\%$), ფუჭი პრევენციის (P), მართლმსაჯულების აღსრულების (M), სასჯელის მოხდისა (X) და მსჯავრდებულის ეკონომიკური ღირებულების ანუღირებით გამოწვეული ხარჯის (O) ჯამით.

$$S = Z \times 50\% + P + M + X + O$$

ამდენად, დანაშაულის ოპტიმალური რაოდენობის მისაღებად და სოციალური ხარჯების შესამცირებლად უმთავრესი ბერკეტი არის სწორად შერჩეული სასჯელი, რომელიც ოპტიმალური შემაკავებლის ფუნქციას ასრულებს.

3.1.2. საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკა სოციალური ხარჯის შესამცირებლად

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ თითოეული მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად ხარჯები უნდა გაიწიოს ამავე ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადებით შექმნილი ბიუჯეტიდან. ამდენად, სასჯელმა უნდა უპასუხოს შეკითხვას, შედის თუ არა გადასახადის გადამხდელთა ინტერესში კონკრეტულ ქმედებაზე მართლმსაჯულების აღსრულება?! სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედის თუ არა კონკრეტულ ქმედებაზე მართლმსაჯულების აღსრულება საჯარო ინტერესში?!

„სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანების მიხედვით, პროკურორმა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს ორი ტესტით, **მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით**, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ე.წ. სრულ ტესტს. საჯარო ინტერესის ტესტიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მტკიცებითი სტანდარტი ცალსახად დაცულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მრავალი სხვადასხვა გარემოება, მათ შორის სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები.

სახელმწიფოს სამართლებრივ პრიორიტეტში მოიაზრება შემდეგი: სახელმწიფოს რესურსი არ არის საკმარისი ყველა დანაშაულებრივ ქმედებაზე დევნის განსახორციელებლად. სწორედ შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის განისაზღვრება სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები. ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო რესურსები ნაკლებად უნდა დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულების „გადარჩევა“ სახელმწიფო რესურსების ეფექტური გადანაწილების მიზნით, მართლმსაჯულების აღსრულების საწყის, დევნის დაწყების შესახებ დადგენილების მიღების ეტაპზევე ხდება. რამაც, წესით სასამართლო ხელისუფლების გადატვირთულობა და პროცესის ხარჯები უნდა შეამციროს. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებების კვლევამ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ ქმედებებზე (ქურდობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) გამოტანილ განაჩენებში აჩვენა, რომ მოსამართლეები ხშირად ნიშნავენ სასჯელის შესაძლო მინიმუმს, რომელსაც სრულად უთვლიან პირობითად მსჯავრდებულს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

საქმის ნომერი	დამდგარი ზიანი	შეფარდებული სასჯელი	სასჯელის აღსრულება
N22680908-1/395-1-წ.	1440 ლ 4800 ლ	თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით	ჩაეთვალია პირობითად
N1/115-2019	430 ლ	თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით	ჩაეთვალია პირობითად
#1/85-19	2000 ლ	თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით	ჩაეთვალია პირობითად
N21/178-20წ.	274 ლ	თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით	ჩაეთვალია პირობითად

მართალია დევნის დაწყების შესახებ დადგენილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს ე.წ. „სრული ტესტით“, ხოლო მოსამართლე სასჯელთა დანიშვნისას ხელმძღვანელობს ფაქტობრივი გარემოებებით, მაგრამ ცხრილში მოცემული ტენდენციური განაჩენები იმაზე მიანიშნებს, რომ სასჯელთა სახეები და ოდენობა, ისევე როგორც, მათ მიერ აღსაკვეთ დანაშაულთა მაკვალიფიცირებელი მდგენელები გადასახედა, რადგან 150 ლარიანი მაკვალიფიცირებელი მდგენელისთვის მინიმუმ სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა შეუსაბამოდ მაღალი შეზღუდვაა დღევანდელი სოციალური გარემოსთვის. როგორც ჩანს, კანონის ამგვარ არაეფექტურ ჩანაწერებს კანონშემფარდებლები თავადვე არეგულირებენ, სხვა სამართლებრივად განსაზღვრული ბერკეტებით, რაც სახელმწიფო რესურსების ეფექტურ მართვას მაინც

აფერხებს. მართალია, ცხრილში მოცემულ ზიანზე 3 წლით თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ნაცვლად, სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა პენიტენციურ დაწესებულებათა ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს, თუმცა სასამართლო და პროკურატურა მაინც ხარჯავს, როგორც ადამიანურ, ისე მატერიალურ რესურსს.

ზემოაღნიშნულთან მიმართებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია საყურადღებო. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით სხვისი ნივთის განადგურებისათვის ან დაზიანებისათვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 150 ლარზე მეტი (მნიშვნელოვანი ოდენობა). ასეთი ქმედება კი შესაძლოა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით 1-დან 3 წლამდე.

ცალკე საკითხია მაკვალიფიცირებელი ოდენობის მიზერულობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სასჯელი, რომელიც ამ მიზერული ზიანისთვის მართლმსაჯულების აღსრულებას ემსახურება უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან პირის დაკავებიდან დაწყებული, მის მიმართ სასამართლო განაჩენის გამოტანამდე პროცესი საჭიროებს ბევრ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს, რომელიც შეუსაბამოდ მაღალია 150 ლარიან მაკვალიფიცირებელ მდგენელთან შედარებით.

როდესაც ამერიკელებმა პირველად შექმნეს ინფლაციასთან მისადაგების შესახებ აქტი⁴⁴, მას უნდა უზრუნველყო სახდელთა იმგვარი მისადაგება, რომ პრევენციურებული ყოფილიყო ადმინისტრაციული ხარჯები, აღკვეთილიყო დანაშაულები და სისტემა გამხდარიყო ეფექტური, თუმცა აღნიშნულ მიზნებს აქტი როგორღაც აცდა.⁴⁵ შესაძლებელია აღნიშნული გამოწვეული იყოს ინფლაციის მიერ გამოწვეული არასტაბილური გარემოთი, რომელიც ხელს უშლის, არა მხოლოდ სოციალური გარემოს გაუმჯობესებას, არამედ სამართლის უზენაესობის დამკვიდრებასაც.⁴⁶ თუმცა ეჭვგარეშეა, რომ დღესდღეობით საქართველოში არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოციალური გარემოს ინფლაციასთან ადაპტირებას. ეს დასკვნა გამოტანილია არა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შეფასებით, არამედ იმ მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოქმნილი სამართლებრივი პრობლემების შეფასებით, რომელსაც ინფლაცია იწვევს.

ინფლაცია თავისთავად მოქნილობით გამოირჩევა, განსაკუთრებით საქართველოსნაირ პატარა და ღია ბაზრის ქვეყანაში. ამდენად, კანონმდებელსაც მართებს შესაბამისი მოქნილობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანაში, სადაც ინფლაციის თარგეთირების რეჟიმია ამოქმედებული და სადაც სოციალური გარემოს ცვლილება ინფლაციის გამო იწვევს „ქმედებათა გაძვირებას“, კანონმდებელმა შეცვლილ სოცი-

⁴⁴ USA, Inflation adjustment act, 1990.

⁴⁵ J. M. Chen, Inflation-Based Adjustments in Federal Civil Monetary Penalties, Yale Law and Policy Review, 2016, 4. შეადარეთ: J. M. Chen, Inflation Based Adjustment Act in Federal Civil Monetary Penalties, Administrative Conference Of The United States, 2012.

⁴⁶ ვრცლად, იხ. I. Richardson, Legal problems of inflation, Victoria University of Wellington Law Review, 2013. V. Shevchuk, V. Blickhar, D. Zabzaliuk, N. Tataryn, The Rule Of Law and Inflation in The Middle-income Countries, 2014.

ალურ გარემოს უნდა მოარგოს მაკვალიფიცირებული მდგენელი, რომელიც შექმნის „ოპტიმალურ ქერს“ ნაკლებად მძიმე ქმედებათა - სამართალდარღვევად და მეტად მძიმე ქმედებათა დანაშაულად კვალიფიცირებისთვის. მეტად სავარაუდოა, რომ „ოპტიმალური ქერი“ უფრო მეტ რესურს დაზოგავს „სრულ ტესტთან“ შედარებით. თუმცა, უმჯობესია „ოპტიმალური ქერისა“ და „სრული ტესტის“ ერთდროული ფუნქციონირება, რადგან იმ კომპონენტებს რასაც „ოპტიმალური ქერი“ მხედველობის გარეთ დატოვებს, „სრული ტესტი“ გაითვალისწინებს, რითაც მივიღებთ „**დანაშაულის ოპტიმალურ რაოდენობას**“. ეს მექანიზმი ასე თუ ისე დღესაც არსებობს, თუმცა „ოპტიმალური ქერი“ შეცვლილ სოციალურ გარემოში მოძველდა და ეფექტური აღარ არის. იგი უნდა გაიზარდოს, რადგან პროკურორის მიერ დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების მიღებაც დახარჯულ ადამიანურ რესურსს ნიშნავს.

„დანაშაულის ოპტიმალური რაოდენობა“ შესაძლოა უცნაურად ჟღერდეს, თუმცა ამ ფორმულირებით შესაძლებელი ხდება პასუხის გაცემა კითხვაზე: რომელი დანაშაული უნდა დაისაჯოს და როგორი სიმკაცრით?⁴⁷

3.2. სასჯელთა თანაზომიერება

იმ ნაწილში, სადაც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ადამიანის უფლებები, ჩარევა ყოველთვის უნდა იყოს პროპორციული, თანაზომიერი. თანაზომიერების 4 ელემენტს გამოჰყოფენ: ლეგიტიმური მიზანი, პროპორციულობა, გამოსადეგობა და აუცილებლობა.⁴⁸ ამ ოთხ ელემენტთაგან წინამდებარე სტატიის მიზნებისათვის საჭიროა გამოსადეგობის კომპონენტის განხილვა, ვინაიდან სტატიის მთავარ მიზანს იმის შეფასება წარმოადგენს, თუ რამდენად ადეკვატურია დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციისათვის განეული სოციალური ხარჯი.

კანონმდებელი კანონპროექტის შემუშავებისას შესაძლოა შეცდეს. ეს ცდომილება დასაშვებია შეიძლება გახდეს ნაწილობრივ, რადგან გამოსადეგობა არ გამოირიცხება მაშინაც, როცა საშუალებით მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.⁴⁹ უფრო ზუსტად, კანონმდებლის პროგნოზი ყოველთვის მიახლოებითია⁵⁰ და ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. მიუხედავად ასეთი ცდომილების დაშვებისა, კანონმდებელი ვერ გათავისუფლდება მის მიერ შემუშავებული კანონპროექტის ეფექტურობის უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან. სწორედ ამიტომ, კონკრეტულად ერთი კანონისმიერი ჩანაწერის არსებობა საკმარისი აღარაა და საჭირო ხდება მისი რეალიზებისათვის სხვადასხვა ბერკეტის შემუშა-

⁴⁷ R. Cooter, Th. Ulen, Law and Economics, sixth edition, Berkley law books, Book two, 2016, 455.

⁴⁸ ვრცლად იხ. თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 499-506.

⁴⁹ თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 500.

⁵⁰ თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 500.

ვება. შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ ამ მიზანს ემსახურება სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაც, მინისტრის მიერ.⁵¹

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დანაშაულზე (ქურდობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) 150 ლარიანი მაკვალიფიცირებელი მდგენელი და მისთვის დაწესებული სანქცია 3-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეუძლებელია ჩაითვალოს მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად (რომ აღარაფერი ითქვას შეზღუდვის პროპორციულობაზე), ვინაიდან სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს⁵², ხოლო რეციდივის შანსი პირისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას უფრო დიდია რესოციალიზაციის სირთულიდან გამომდინარე.⁵³ ამდენად, სასჯელის მიზანს, სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და რესოციალიზაციას,⁵⁴ რამდენად ეფექტურად ემსახურება 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა 150 ლარიანი „მნიშვნელოვანი ზიანისათვის“ დაუსაბუთებელია. შესაბამისად, ამ კონკრეტული ნორმის გამოსადეგობა და პროპორციულობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქამდეც მიუღია გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონმდებლის მიერ დადგენილი სასჯელის სახე და ოდენობა კონკრეტული მაკვალიფიცირებელი მდგენელისათვის.⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა იმსჯელოს სასჯელის არაკონსტიტუციურობაზე, თუმცა იგი, პოტენციურად, სასჯელის ყველა ზომის კონსტიტუციურობაზე მსჯელობაუნარიანი ვერ იქნება.⁵⁶ ამით იგი ჩაანაცვლებდა კანონმდებელს და აღნიშნული მსჯელობა გამართლებულიცაა, რადგან სასამართლო უნდა იყოს კანონშემფარდებელი და არა კანონშემოქმედი. საკონსტიტუციო სასამართლო ყველა სისხლისსამართლებრივი სანქციის გამოსწორებას ვერ მოემსახურება იქიდან გამომდინარე, რომ ეს არაეფექტური იქნება როგორც რესურსების, ისე შედეგობრიობის თვალსაზრისით. ისეთი მასშტაბური ცვლილების განხორციელება, როგორიც სისხლის სამართლის მაკვალიფიცირებელ მდგენელთა და სასჯელთა მისადაგებაა ინფლაციის მაჩვენებელთან უნდა განხორციელდეს შესაბამისი კომისიების მიერ.

⁵¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ.

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 15 თებერვლის №1249აპ-22 გადაწყვეტილება.

⁵³ მ. შალიკაშვილი, გ. მიქაძე, მ. (ზ.) ხასია, სასჯელალსრულების სამართალი, თბილისი, 2024, 54.

⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22.07.1999, მუხლი 39, ნაწილი 1.

⁵⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 21 აპრილის №3/1/123916421674 გადაწყვეტილება საქმეზე: ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებებზე; ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁵⁶ საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარაგრაფი 4.

დასკვნა

როგორც უკვე ცხადად გამოჩნდა, ინფლაცია გავლენას ახდენს, არა მხოლოდ ფინანსურ კეთილდღეობაზე, არამედ საკანონმდებლო ჩარჩოზეც. საქართველოს სოციალური სახელმწიფო, როგორც კეთილდღეობის მიმწოდებელი, შეიმუშავებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას ინფლაციასთან გასამკლავებლად. ეს გამოსატყობია ინფლაციის თარგეთირების მონეტარული რეჟიმის ამოქმედებით. მართალია, ინფლაციის თარგეთირება, სხვა მონეტარულ რეჟიმებთან ერთად მდგრად ეკონომიკურ ზრდაზეა ორიენტირებული, თუმცა ის ვერ აღკვეთს მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოქმნილ უარყოფით გავლენებს. ერთ-ერთი ასეთი გავლენა, რომელსაც ინფლაცია იწვევს, არის საკანონმდებლო მდგენელთა სწორი ფუნქციონირების მორყევა, რომელსაც კანონმდებელი უმკლავდება არა მდგენელის, არამედ „ცვლადის“ შექმნით, როგორც ეს ვნახეთ სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონში.⁵⁷ მეორე გავლენას წარმოადგენს სასჯელთა სწორი ფუნქციონირების მორყევა, რომელიც ასევე დროდადრო ცვლილებას საჭიროებს.

ინფლაციას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მრავალ მდგენელზე აქვს გავლენა, როგორც ეს აღინიშნა სისხლისსამართლებრივ მაკვალიფიცირებელ მდგენელთა შესახებ. მაგალითისათვის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში განსაზღვრული მნიშვნელოვანი ზიანის (150 ლარი) ოდენობა დაწესდა 2006 წელს და მას შემდგომ არც შეცვლილა. თითქმის ორი ათწლეულის წინ დაწესებული მაკვალიფიცირებელი მდგენელი, წარმოდგენილია ისევ ინარჩუნებდეს ეფექტურობას და ასრულებდეს იმ მიზანს, რასაც კანონმდებელი ორი ათწლეულის წინ ისახავდა. მარტივად რომ ვთქვათ, ის რაც 20 წლის წინ მნიშვნელოვანი ზიანი იყო დღეს აღარ შეიძლება მნიშვნელოვნად ჩაითვალოს.

ამასთან, შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით ის სასჯელი, რაც კონკრეტული მაკვალიფიცირებელი მდგენელისთვის ადრე იყო განსაზღვრული დღეს თანაზომიერების ტესტს „ვერ აბარებს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიღებთ შედეგს, სადაც სახელმწიფო სრულყოფილად ვერ ახერხებს ბაზარზე ფასთა სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ბევრად განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის პრობლემას წარმოადგენს. ფასების ზრდის პარალელურად კი კანონმდებლის მიერ შექმნილი დეტერმინანტები ცვლილებას არ განიცდის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა დავასკვნათ, რომ საკანონმდებლო დეტერმინანტები, რომლებიც დღესდღეობით სისხლის სამართალში მაკვალიფიცირებელი მდგენელების სახით არიან წარმოდგენილნი, უნდა განისაზღვრონ „მაკვალიფიცირებელი ცვლადის“ სახით, როგორც ეს სახელმწიფო პენსიის გამოთვლისას ხდება. სწორი მაკვალიფიცირებელი ცვლადის შექმნის „ოპტიმალურ ჭერს“, რომელიც გადაარჩევს დევიაციურ ქმედებებს სიმძიმის მიხედვით - უფრო მსუბუქს ჩათვლის სამართალდარღვევად და არა დანაშაულად. აღნიშნულით მეტად სავარაუდოა სოციალური ხარჯის შემცირება, ერთის მხრივ რესოციალიზაციის გამარტივებით, ხოლო მეორეს მხრივ მართლმსაჯულების აღსრულების ხარჯების შემცირებით.

⁵⁷ სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი.

სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ზრუნვის მოვალეობანი და საგადასახადო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის კრობლემები

ანზორ უსტიადე

შესავალი

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების შესახებ შეთანხმებამ, რომელიც სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 01 ივლისიდან, საჭირო გახდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ახალი დებულებები (როგორც იმპერატიული, ისე დისპოზიციური). მეწარმეთა შესახებ კანონის, ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, კორპორაციული მმართველობის დებულებების სრულყოფის საჭიროება შეტანილია ასოცირების შესახებ შეთანხმების VI თავში (316 - 319 მუხლები).

ასოცირების შესახებ შეთანხმებით მხარეებმა ვალდებულება აიღეს მიაღწიონ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA), როგორც შეთანხმების განუყოფელი ნაწილის საშუალებით, რეგულაციური დაახლოების ჩათვლით და მხარეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად.¹

2022 წლის 01 იანვარს ამოქმედდა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის დირექტივებთან და სრულად იზიარებს სამეწარმეო საზოგადოებათა ევროპული კორპორაციული მართვის თანამედროვე სახელმძღვანელო მიმართულებებს და გამოხატავს დასავლეთ ევროპული სამეწარმეო/საკორპორაციო სამართლებრივი პრინციპებისა და ინსტიტუტების დამკვიდრების მზაობას ჩვენი ქვეყნის ბიზნეს ორგანიზაციების საფინანსო ეკონომიკურ საქმიანობაში.²

** აჭარის
ავტონომიური
რესპუბლიკის
პროკურორის
მოადგილე*

¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის შორის, <<https://mfa.gov.ge/european-union/377295-asotsirebis-shesakhebshetankhmeba>> (უკანასკნელად ნანახია: 15.09.2024).

² კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG), „საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება“, 2018.

„მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, 1994 წლის რედაქციის „მენარმეთა შესახებ“ კანონთან მიმართებაში, რომლის სამოქმედოდ შემოღების შემდეგაც კორპორაციული ურთიერთობების მოცულობა და სირთულე მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეიცვალა, სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპების, იურიდიული კონცეფციების თავისებურ მოდიფიცირებულ გააზრებას გვთავაზობს და მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს.

სამენარმეო საზოგადოება, ეკონომიკის მასტიმულირებელი და ძირითადი დოვლათის შემქმნელია ნებისმიერ ქვეყანაში. მენარმე სუბიექტი ეკონომიკური აქტივობის განხორციელებისას არა მხოლოდ ძირითად დამსაქმებლად, სამუშაო ადგილების შემქმნელად, არამედ გადასახადის ძირითად გადამხდელადაც გვევლინება. სამენარმეო საზოგადოებიდან აკუმულირებული სახსრებით სახელმწიფო თავის ამოცანასა და ფუნქციას ასრულებს.

„მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, რიგ სიახლეებს გვთავაზობს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა ზრუნვის მოვალეობათა მიმართებაში. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ზრუნვის მოვალეობათა საკითხი, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობასთან, მათ შორის, საგადასახადო დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან.

საგადასახადო დანაშაულის განმსაზღვრელი სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები (მაგალითად, სსკ-ის 218-ე და სხვა მუხლები) ბლანკეტურია. შესაბამისად, ამ კატეგორიის დანაშაულებისთვის სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრად, გამოძიების / საპროკურორო საქმიანობის პროცესში, პირველ რიგში, აუცილებელია „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ზრუნვის მოვალეობების მარეგულირებელი ნორმების, საგადასახადო კოდექსისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების ზედმიწევნით სწორი ანალიზი და შეფასება.

გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია გადასახადების ეფექტური ამოღების სისტემასთან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, მეტი ინვესტიციების მოზიდვა, მენარმეებისათვის/ბიზნესისთვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რაც ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და თითოეული ინდივიდის კეთილდღეობაზე სასიკეთოდ აისახება.

შესაბამისად, სახელმწიფოთა დღის წესრიგში მუდმივად დგას არამარტო საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, არამედ ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დახვეწა, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმების საგადასახადო კოდექსის ნორმებთან მისადაგება, საჭიროების შემთხვევაში, მათი ლიბერალიზაცია და პასუხისმგებლობასთან ერთად წამახალისებელი ნორმების გათვალისწინება.

მიგვაჩნია, რომ საგადასახადო დანაშაულის საკითხებზე ბოლო პერიოდის პრაქტიკასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სრულყოფილი მსჯელობა არ წარმართულა. აღნიშნული საკითხების ერთიანი და სწორი ხედვის ჩამოყალიბება საინტერესო იქნება როგორც მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის (გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე), ასევე სამეწარმეო საზოგადოების იურისტთა და მენეჯერ / ხელმძღვანელთათვის (მათ შორის, საკითხით დაინტერესებული ფართო წრისათვის).

საგადასახადო დანაშაული ფართო სფეროა და მისი სრულყოფილი ანალიზი ფართო მსჯელობის საკითხია. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის ზრუნვის მოვალეობათა ახლებური ანალიზი და საგადასახადო დანაშაულისთვის სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცალკეული პრობლემური საკითხები.

მოცემული სტატიის მთავარი სამიზნეა **გადასახადისათვის თავის არიდების და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების (საგადასახადო თაღლითობის)** გამიჯვნის პრობლემატიკა და მისი მნიშვნელობა, გამომძიებელ/საპროკურორო საქმიანობის დროს წარმოქმნილი პრობლემური საკითხების წარმოჩენა.

დასახელებული მიმართულებით საგამომძიებო / საპროკურორო საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემური საკითხები (რაც, არსებული საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, საკმაოდ ბევრია) სტატიაში განხილული იქნება ავტორის ორი ათწლეულის პრაქტიკული გამოცდილებისა და ბოლო ხუთწლიანი პერიოდის საგამომძიებო/საპროკურორო აქტების და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე.

1. სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობა

ვიდრე სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ზრუნვის მოვალეობების შესახებ ვიმსჯელებდეთ, მიზანშეწონილია მოკლედ შევხებით სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით იმ ნოვაციებს, რაც „მეწარმეთა შესახებ“ ახალმა კანონმა შემოიტანა.

ნების ავტონომიისა და გარიგების/სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე ჩამოყალიბებული იურიდიული კონსტრუქცია, კანონმდებლის მიერ ეკონომიკური ურთიერთობების, შესაბამისად, სამართლის ლეგიტიმურ სუბიექტად არის აღიარებული. ამგვარი იურიდიული კონსტრუქციის მოწესრიგების ეპიცენტრში დგას არა ცალკეული ინდივიდი, არამედ პირთა გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც სწორედ ამ გაერთიანების სახელით, როგორც ერთიანი მთელი ორგანიზმი, გამოდის სამართლებრივ ურთიერთობებში და ხდება უფლება-მოვალეობათა დამოუკიდებლად მატარებელი სუბიექტი.

სწორედ ამგვარ გაერთიანებას წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც კანონმდებელმა იურიდიული პირის სტატუსით აღჭურვა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სამეწარმეო საზოგადოება არის იურიდიული პირი“.

როგორც უკვე ითქვა, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, 1994 წლის რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან მიმართებაში, მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს. სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ ახალმა კანონმა ნორმატიულად განსაზღვრა სამეწარმეო საზოგადოებათა ცნება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი სამეწარმეო საზოგადოებაა“.

იმისათვის, რომ იურიდიული პირის სტატუსის მქონე სამეწარმეო საზოგადოებამ მისი ქმედუნარიანობის რეალიზება მოახდინოს, აუცილებელია ჰყავდეს ხელმძღვანელი ორგანო. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **„სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად სამეწარმეო საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი ორგანო“**.

სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ახალი კანონი, 1994 წლის რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, ხელმძღვანელობის უფლების მქონეს, დირექტორის ნაცვლად, ხელმძღვანელ პირად მოიხსენიებს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის, როგორც ზოგადი დანაწესის თანახმად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), თუ პარტნიორთა გადაწყვეტილებით სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელად სხვა პირი არ დაინიშნება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ხელმძღვანელ პირს.

ამრიგად, ხელმძღვანელი პირებით ფორმირებულ ორგანოს „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი ხელმძღვანელ ორგანოს უწოდებს და „ხელმძღვანელი ორგანოს“ ახლებურ კონცეფციას გვთავაზობს. ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება იყოს ერთპიროვნული ან კოლექტიური. თუ კოლექტიურია ხელმძღვანელი ორგანო, მაშინ აუცილებელია არჩეულ იქნეს თავმჯდომარე, რომელიც ორგანიზაციულად უხელმძღვანელებს „ხელმძღვანელ ორგანოს“. ამ შემთხვევაში არსებითია მისი გადაწყვეტილებაუნარიანობა. კოლექტიური ხელმძღვანელობითი ორგანო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება უმრავლესობა. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებაუნარიანობის კვოტა სანესდებო ავტონომიით შეიძლება შეიცვალოს, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტი დისპოზიციურია.

ხელმძღვანელ ორგანოს კანონითა და წესდებით განესაზღვრება უფლებამოსილებათა ფარგლები, მისი განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.

კანონით დაწესებული „ხელმძღვანელი ორგანოს“ ახლებური კონცეფციის პარალელურად, საინტერესოა ის საკითხი, რომ, მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 პუნ-

ქტის თანახმად, „**ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი**“. ხელმძღვანელი ორგანოს წევრად ფიზიკური პირის შემთხვევა მარტივი და გასაგებია, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები.

სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრად „იურიდიული პირის“ მოცემულობა, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის ნოვაციას წარმოადგენს, რთულად აღსაქმელია. თუ კონკრეტული სამეწარმეო საზოგადოების „ხელმძღვანელი ორგანოს“ წევრად არჩეული იქნება სხვა იურიდიული პირი, ასეთ შემთხვევაში ამ იურიდიული პირის მხრიდან მაინც კონკრეტული ფიზიკური პირი უნდა გამწესდეს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირად. ხელმძღვანელ პირად არჩეულ იურიდიულ პირად შეიძლება მოიაზროს როგორც მის ორგანულსამართლებრივ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ასევე ასეთი უფლებამოსილება შეიძლება მიანიჭოს გარეგნობით სამართლებრივი წარმომადგენლობითი უფლების მქონე პირს. ჩვენი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, ურთიერთობა მაინც დაიყვანება სამოქალაქო და შრომითი ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკურ პირამდე.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი არ აკონკრეტებს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრად „იურიდიული პირი“ შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო სამართლის თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირიც.

ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებებში ან/და მანამდე დაფუძნებულ და ახალი კანონის 254-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ სამეწარმეო საზოგადოებებში, პრაქტიკაში პირადად არ შევხვედრივარ ისეთ ფაქტს, რომ სადამფუძნებლო შეთანხმებით/წესდებით ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იურიდიული პირი ყოფილიყო. „იურიდიული პირის“ ხელმძღვანელი ორგანოს წევრად თუ ხელმძღვანელად გათვალისწინება, ჩვენი აზრით, უფრო გადახდისუუნარობის სამართლის სფეროსთვის არის დამახასიათებელი და „მეწარმეთა შესახებ“ ახალ კანონში მისი გათვალისწინება სწორედ ამ სფეროს გამოძახილია.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ კანონით ნორმატიულად განისაზღვრა ხელმძღვანელ პირთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება. 45-ე მუხლის თანახმად, ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. იგივე წესი გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა მიმართ, თუ ხელმძღვანელ პირად ინიშნება მოწვეული პირი და არა პარტნიორი. სასამსახურო ხელშეკრულებაში აისახება სამეწარმეო საზოგადოებასა და ხელმძღვანელ პირს შორის მომავალი ყველა ორგანიზაციული საკითხი, ხელმძღვანელი პირის უფლებები და მოვალეობები.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოსთვის შემოღებული დანაწესი, რომ ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას პარტნიორთა გადაწყვეტი-

ლებას დაემორჩილოს. ზოგადად, ხელმძღვანელმა პირმა იცის სამეწარმეო საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ყველა დეტალი და შესაბამისად ისინი არიან ყველაზე კომპეტენტური მიმდინარე მოკლევადიანი ან/და საშუალო პერსპექტივების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ზემოთ დასახელებული ახალი დანაწესით თუ პარტნიორთა კრება არ გაითვალისწინებს ხელმძღვანელი პირის რეკომენდაციებს, ის ვალდებულია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება „სისრულეში“ მოიყვანოს. აღნიშნული კანონისმიერი რეგულატორული დანაწესი მსგავსი შინაარსის მატარებელი უნდა იყოს.

2. სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ზრუნვის მოვალეობანი

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების/მმართველობითი ფუნქციების განმახორციელებელი პირები, რომლებიც ორგანულ ურთიერთობაში არიან სამეწარმეო საზოგადოებასთან, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საზოგადოების სასარგებლოდ შებოჭილნი არიან სპეციფიკური კორპორაციულსამართლებრივი მოვალეობებით. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული მოვალეობები სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებოდა, მაგალითად „გულისხმიერების მოვალეობა“, „გულმოდგინების მოვალეობა“, „ერთგულების მოვალეობა“ და სხვა. დირექტორის მოვალეობების „ტერმინოლოგიის“ თვალსაზრისით დავასახელებ ლადო ქანტურიას ფუნდამენტურ სახელმძღვანელოს „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“, სადაც, ზემოთ დასახელებულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, შემდეგი მსჯელობაა: „თანამედროვე საკორპორაციო სამართალში როგორც გერმანულ, ისე ამერიკულ სამართალში ხელმძღვანელი ორგანოს მოვალეობა ორ დიდ ჯგუფად იყოფა: **გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობა და ერთგულების მოვალეობა**. გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობებს ამერიკულ სამართალში ეწოდება **ფიდუციური მოვალეობები**“.³

სასამართლო პრაქტიკას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი კულტურის განვითარებისათვის, ეს ყველასათვის ცხადია. თუ სამართლის ნორმების რეალურ ცხოვრებისეულ ვითარებაში გამოყენებაზე არ მიდგა საქმე, ვერასდროს დადგინდება რაიმე ხარვეზი არსებობს თუ არა, სწორად დაარეგულირა თუ არა კანონმდებელმა ესა თუ ის ურთიერთობა, ეხმიანება თუ არა და გამოდგება თუ არა სამართლის ნორმები სასამართლოს წინაშე დამდგარი შემთხვევების გადასაჭრელად.

ამიტომაც, დასახელებულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, მაგალითისთვის დავასახელებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №ას-766-766-2018 გადაწყვეტილებას, რომელშიც სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის მოვალეობებს საკასაციო სასამართლო, დირექტორის ფიდუციურ მოვალეობებს უწ-

³ ლ. ქანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 199.

ოდებს: „საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოვალეობები არის დირექტორის ფიდუციური მოვალეობები (იხ. სუსგ #ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი; სუსგ #ას-457-436-2015, 6 ივნისი, 2016 წელი; სუსგ #ას-687-658-2016, 6 ნოემბერი, 2018 წელი; სუსგ #ას-370-344-2017, 18 აპრილი, 2019 წელი)“.⁴

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი 50-ე მუხლში „გულმოდგინების მოვალეობის“/„გულისხმიერების მოვალეობის“, „კეთილსინდისიერების“ გამაერთიანებელ ტერმინად გამოიყენებს ტერმინს **„ზრუნვის მოვალეობა“**. „ერთგულების მოვალეობას“ კი ეთმობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე (კონკურენციის აკრძალვა) და 54-ე მუხლები (საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა). წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიერ გამოყენებული იქნება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დაწესებული ტერმინი „ზრუნვის მოვალეობა“ და განხილული იქნება მხოლოდ „ზრუნვის მოვალეობებთან“ დაკავშირებული საკითხები.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი არა მხოლოდ ტერმინოლოგიურ სიახლეს აწესებს, არამედ ახლებურად აყალიბებს გულმოდგინე/გულისხმიერი ხელმძღვანელის მოვალეობის დეფინიციას.

1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტში დასახელებული საკითხი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული - **„ხელმძღვანელი პირები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის“**.⁵

2021 წლის 2 აგვისტოს რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **„ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, სალად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია“**.⁶

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი ნორმატიულ დონეზე აფართოებს ზრუნვის მოვალეობის ფარგლებს და ადგენს, რომ საზოგადოების საქმეების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერების გარდა, ხელმძღვანელი პირი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ახალი კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული „ზრუნვის მოვალეობა“ წარმოადგენს გულისხმიერების მოვალეობის დეკლარირებას და აწესებს **მართლზომიერი და კეთილსინდისიერი** ხელმძღვანელობის სტანდარტს.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-766-766-2018.

⁵ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 28.10.1994.

⁶ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 02.08.2021.

2.1. სამეწარმეო საზოგადოების საქმეების მართლზომიერად გაძღოლის მოვალეობა

სამეწარმეო საზოგადოების საქმეების მართლზომიერად გაძღოლის ვალდებულება პირდაპირ კავშირშია „მეწარმეთა შესახებ“ 2021 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებასთან, რომლის თანახმადაც, სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი საქმიანობა. სამეწარმეო საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობა უნდა ატარებდეს ლეგალურ, კანონიერ ხასიათს. საზოგადოების საქმიანობა უნდა წარმართოს ქვეყანაში არსებული მართლზღნესრიგის საფუძველზე და მის შესაბამისად. სამეწარმეო საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელი პირები უძღვებიან და წარმართავენ ნებადართული უნდა იყოს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, ასევე, არ უნდა იყოს გამოცხადებული უკანონოდ სასამართლო პრაქტიკით.

პირველ რიგში, აქ საუბარია ისეთ საქმიანობებზე, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით ან/და საჯარო სამართლის სხვა კანონებით არის აკრძალული; რომელთა განხორციელების უფლებამოსილება სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს არ აქვთ, მაშინაც კი, თუნდაც ამ საქმიანობით მეწარმე სუბიექტს დიდი მოგების მიღება შეეძლოს. სწორედ ამიტომაც აკონკრეტებს კანონმდებელი, რომ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის მიერ მოგების მიღების მიზნით განხორციელებული საქმიანობა მართლზომიერი უნდა იყოს.

საქმიანობის მართლზომიერად განხორციელების მეორე შემთხვევა გულისხმობს ისეთ საქმიანობებს, რომლის განსახორციელებლად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დამატებითი პროცედურები არის დაწესებული. საქმიანობები, რომლებიც ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან და სხვანი, მათ განსახორციელებლად სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელს ესაჭიროება სახელმწიფოსგან შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღება (ან/და კიდევ სხვა პროცედურების დაცვა). ამგვარი საქმიანობების ჩამონათვალი მოცემულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში.⁷

მართალია სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული და სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელს შეუძლია გარიგებით ურთიერთობაში შევიდეს ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებით ნებისმიერ პირთან, თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ სახეზე არ უნდა იყოს ისეთი საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული ან/და მისი განხორციელებისათვის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დამატებითი პროცედურები არის დაწესებული.

მაგალითად, სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელს შეუძლია ეროვნული და უცხოური ვალუტის ნაღდი სახით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები აწარმოოს, მაგრამ ამ

⁷ მაგალითად, საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.

საქმიანობის დაწყებამდე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებულმა პირმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.⁸

ნებართვის ან/და ლიცენზიის მოპოვების, ასევე სხვა ამგვარი პროცედურების დაკმაყოფილების და შესაბამისი წესების დაცვის გარეშე განხორციელებული საქმიანობა წარმოადგენს უკანონო საქმიანობას და იწვევს ადმინისტრაციულ ან/და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

2.2. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის სტანდარტი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარდა იმისა რომ ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად, იგი ასევე ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით.

ჩვენი აზრით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლში დასახელებული საზოგადოების საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის პრინციპი მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილ უზოგადეს პრინციპთან, კეთილსინდისიერების ინსტიტუტთან. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისთვის, თუმცა იგი მთლიანად კერძო სამართლის, მათ შორის, სამეწარმეო და საკორპორაციო სამართლის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსი ადგენს ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განხორციელონ თავიანთი უფლებები და ვალდებულებანი.⁹ კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომის მიღწევაა, რაც სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობას და სიმყარეს უზრუნველყოფს.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აკისრებს უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას. მართალია, კეთილსინდისიერება ზოგჯერ ურთიერთობის მონაწილეთა ზნეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველსაც წარმოადგენს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განხორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. აღნიშნული ნორმა დეკლარ-

⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, №37/04, 2018 წლის 28 თებერვალი.

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 27.06.2024, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი.

რაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ზოგადად დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. ამავდროულად, ნდობა და კეთილსინდისიერება კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს განხილული ...”¹⁰

ანალოგიურად იყო განმარტებული აღნიშნული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვა განჩინებაშიც: “სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები, მოვალეობები და მიიჩნია, რომ სს-ის მოქმედება, როდესაც იგი არ იღებს გადანყვებილებას შპს-ს ინტერესების დასაცავად საქმეში სათანადო მოსარჩელედ საზოგადოების ჩაბმაზე, ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ მოქმედებად, რადგან იგი თავის ინტერესებს აყენებს შპს-ს ინტერესებზე მაღლა, რითაც ზიანს აყენებს საზოგადოებას”.¹¹

იურიდიულ ლიტერატურაში კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედების სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილება და იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა, სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაა იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.¹²

„ზრუნვის მოვალეობის“ კონტექსტში კეთილსინდისიერების პრინციპი სამეწარმეო საზოგადოების საქმეების გულისხმიერად/გულმოდგინედ გაძღოლაში გამოიხატება. გულისხმიერების მოვალეობის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესების შესაბამისი მართვა. თავისი არსით, გულისხმიერების მოვალეობა წარმოადგენს ცქევის საზომს, რომლითაც უნდა შეფასდეს ხელმძღვანელი პირის ქმედებები. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, დირექტორის ქმედება ფასდება ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელი ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოებისათვის ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი აფართოებს ზრუნვის მოვალეობის ფარგლებს და ადგენს, რომ საზოგადოების საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის გარდა ხელმძღვანელი პირი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად.

ამასთან, ახალი კანონი, მანამდე არსებულ რეგულაციასთან მიმართებაში, აკონკრეტებს, რომ ხელმძღვანელის მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის **ეკონომიკურად** უნდა იყოს ყველაზე ხელსაყრელი. ჩვენი აზრით, ეკონომიკურად ხელსაყ-

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის №ას-221-213-2012 განჩინება.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ივნისის №3კ-1154-02 განჩინება.

¹² სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია (რედ.), წიგნი I, 2017, 49-50.

რელი გადაწყვეტილებების მიღება არის მთავარი ფოკუსი და განმსაზღვრელი ხელმძღვანელის ქმედების გულმოდგინედ და გულისხმიერად მიჩნევასთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა იგულისხმება „ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფ ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირად“ და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. ასევე, რა უნდა მოვიზიროთ „იმ რწმენაში, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია“. აღნიშნული ყოველ კონკრეტულ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში ზედმიწევნით კარგად უნდა შეფასდეს.

მოვიყვანოთ პრაქტიკული მაგალითი - შპს „ტექნიკა“ აწარმოებს საკერავ მანქანებს. წარმოება აღჭურვილია პროგრამული დანადგარებით. ერთ სამუშაო დღეში მზადდება 50 მანქანა, ერთეული ღირებულებაა 1000 ლარი. ერთი საკერავი მანქანის დამზადებაზე იხარჯება 300 ლარი ყველა ხარჯის გათვალისწინებით. სამეწარმეო საზოგადოების დირექტორმა არ ჩათვალა საჭიროდ ეყიდა შესაბამისი მოწყობილობები (რადგან იგი 5 000 ლარამდე დანახარჯებთან იყო დაკავშირებული), რომლებიც დაიცავდა ტექნოლოგიურ დანადგარებს ელექტრო ენერგიის შესაძლო უეცარი გათიშვის ან/და ძაბვის დაცემის შემთხვევაში წარმოების დაზიანებისაგან. ერთ სამუშაო დღეს გამოირთო ელექტროენერგია და დენის უეცრად ჩართვამ დააზიანა ტექნოლოგიური პროცესი, რის გამოც წარმოება გაჩერდა 20 სამუშაო დღის განმავლობაში. შპს „ტექნიკამ“ იზარალა მინიმუმ 14 000 ლარი (რასაც შეიძლება დაემატოს კონტრაქტების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი და სხვა).

კარგი მსჯელობის საკითხია დასახელებულ შემთხვევაში დირექტორის ქმედება რამდენად აკმაყოფილებს იმ სტანდარტს, რომლის თანახმადაც, „დირექტორი საზოგადოებაზე ისე უნდა ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია“.

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ერთჯერადად ეკონომიკურად ხელსაყრელი გადაწყვეტილება ყოველთვის არ არის საზოგადოების საუკეთესო ინტერესი. გულისხმიერი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა სრულყოფილად შეაფასოს ბიზნესის რისკები. მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი ეფექტი და ამგვარად დააბალანსოს საზოგადოების ეკონომიკური ინტერესი.

„კომპანიის მართვის პროცესში დირექტორატის მოვალეობების განხილვისას, შეუძლებელია გვერდი აუარო საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა-სა და გამოცდილებას, ვინაიდან დირექტორთა ისეთი ძირითადი მოვალეობები, როგორებიცაა ზრუნვისა (Duty of Care) და ერთგულების (Duty of Loyalty) მოვალეობები, სწორედ მათგან იღებს სათავეს“.¹³

¹³ ნ. ბაქაქური, მ. გელტერი, ლ. ცერცვაძე, გ. ჯღელი, საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2019, 85.

კეთილსინდისიერება გულისხმობს დირექტორის მხრიდან მოვალეობების განხორციელების პროცესში სხვა პირის ინტერესების დაცვასაც. აღნიშნულის წყარო შეიძლება იყოს როგორც კანონი, ასევე ხელშეკრულება (რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან). ამდენად, კეთილსინდისიერება იმთავითვე მოიაზრებს კანონის ფარგლებში მოქმედებას და ამ გზით ავტომატურად მოიაზრებს მართლზომიერებასაც. შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერება ფარავს მართლზომიერებას, მაგრამ არა პირიქით. „მენარმეთა შესახებ“ კანონის გარდა ხელმძღვანელი პირების მართლზომიერი ქცევის ჩარჩო უზრუნველყოფილია ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი კანონმდებლობით, საგადასახადო, სისხლის სამართლის და სხვა სპეციალური კანონმდებლობით.¹⁴

2.3. პასუხისმგებლობა გულისხმიერების მოვალეობის დარღვევისათვის

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელი პირი სამენარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. გულისხმიერების მოვალეობის დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანზე ხელმძღვანელ პირს საზოგადოების სასარგებლოდ ეკისრება პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა.

საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის თავად საზოგადოებას, რომელსაც გარე სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებების განხორციელებისათვის სჭირდება წარმომადგენელი. ჩვეულებრივ პირობებში ხელმძღვანელი პირი ახორციელებს საზოგადოების წარმომადგენლობას, თუმცა გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის დროს, ხელმძღვანელი საკუთარი თავის წინააღმდეგ დავაში ვერ იქნება საზოგადოების წარმომადგენელი.

ასეთ სიტუაციაში, კანონი უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების დაცვას და ამ მოთხოვნის განხორციელების უფლებას ანიჭებს ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელს, სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანდარიც შემთხვევაში ინდივიდუალურ პარტნიორს.

„მენარმეთა შესახებ“ ამჟამინდელი კანონის სიახლეს წარმოადგენს 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი, რომ „ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს“.

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ზრუნვის მოვალეობის დარღვევა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა იწვევს სხვა სახის პასუხისმგებლობას, რომელთა შორისაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მათ შორის, საგადასახადო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა.

¹⁴ ი. ბურდული, საკოორპორაციო სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა) 2022, 182.

3. საგადასახადო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის საქართველოში შემოღებული იქნა 1994 წელს 15 თებერვლის კანონით. აღნიშნული ცვლილებით 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დიდი ოდენობით დამალვა ან შემცირება“. შემდგომში სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სხვა მუხლებიც, რომლებიც ადგენდა პასუხისმგებლობას საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

საგადასახადო დანაშაული ფართო სფეროა და მის დასარეგულირებლად ამჟამად მოქმედი რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც რამდენიმე ნორმა დათმობილი. ცენტრალური ნორმა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში.¹⁵ აღნიშნული მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტის შინაარსი ჩამოყალიბდა 2005 წლის 30 ივნისის კანონით და ამავე რედაქციით მოქმედებს ამჟამადაც (თუმცა 2017 წლის 30 ივნისიდან დიდ ოდენობად განსაზღვრულია ასი ათასი ლარი, 2005 წლის 30 ივნისის კანონით კი დიდ ოდენობად ითვლებოდა ოცდახუთი ათასი ლარი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის დისპოზიციას რომ სრულყოფა სჭირდება, ამ საკითხზე დიდი ხანია ჩამოყალიბებულია საერთო პოზიცია პრაქტიკოს (გამომძიებელი, პროკურორი და სხვა დაინტერესებული პირები) და სამეცნიერო მუშაკებს შორის.¹⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პრობლემატურ პრაქტიკულ ასპექტებზე მსჯელობას არ დავიწყებ წინამდებარე სტატიის ფარგლებში, რადგან იგი საკმაოდ ფართო სფეროა და სარედაქციო კოლეგიის მიერ სტატიისთვის შემოთავაზებულ ფორმატში ვერ მოხერხდება. თუმცა, აღვნიშნავ, რომ ხუთ წელზე მეტი ხანია საგამოძიებო/საპროკურორო პრაქტიკაში ფართო გავრცელება აქვს საგა-

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 27.06.2024, 218-ე მუხლი.

¹⁶ მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2023, 238-242.

დასახადო დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოტყუებით ქონებრივი დაზიანების (საგადასახადო თაღლითობის) კვალიფიკაციით (საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლი).

წინამდებარე სტატიის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს გადასახადისათვის თავის არიდების (სსკ-ის 218-ე მუხლი) და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების (საგადასახადო თაღლითობის (სსკ-ის 185-ე მუხლი) გამიჯვნის პრობლემატიკა და მისი მნიშვნელობა, ასევე ამ მიმართულებით გამოძიების/საპროკურორო საქმიანობის დროს წარმოქმნილი პრობლემური საკითხების წარმოჩენა და გაანალიზება.

3.1. საგადასახადო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის პრობლემატიკა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით კრიმინალიზებულია გადასახადისათვის თავის არიდება. აღნიშნული ნორმის სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები. გადასახადით აკრეფილი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტის (ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ბიუჯეტის) შემოსულობების ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებაში. აღნიშნულს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც წმინდა უმოქმედობით, ასევე უმოქმედობას მოქმედებით. დანაშაული განზრახია. სუბიექტური მხარე შესაძლებელია დისკრეტულიც (წყვეტილი) იყოს.¹⁷ მუხლის შენიშვნაში მოცემულია წამახალისებელი ნორმა, რომლის შინაარსიც მთლიანად არის დაკავშირებული საგადასახადო კოდექსით დადგენილ რეგულაციებთან. საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით პასუხისმგებლობის საკითხებზე და მის პრობლემატიკაზე მსჯელობა, როგორც ითქვა, ფართო საკითხია და მის შესახებ მსჯელობას აღარ გავაგრძელებ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით კრიმინალიზებულია ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. როგორც უკვე ითქვა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა საგადასახადო დანაშაულისთვის, რიგ შემთხვევებში კვალიფიკირდება საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით (საგადასახადო თაღლითობა).

იმისათვის, რომ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა მხრიდან საგადასახადო დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით (საგადასახადო თაღლითობა) პასუხისმგებლობის პრობლემატიკა კარგად იქნეს წარმოჩენილი, თეორიული მსჯელობის ნაცვლად, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს საგამოძიებო/საპროკურორო და სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკიდან, რომელთა საგამოძიებო და საპროკურორო პროცედურებში უშუალოდ ვიყავი ჩართული და რომელთა არსებითი განხილვა დასრულდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში:

¹⁷ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მ. ტურავა (რედ.), ი. დვალიძე (რედ.), 2007, 327-328.

1) ი. ნ-ს, გ. ლ-ს და რ. ი-ს 2016 წლის 29 ივლისის ბრალდება წარედგინათ საქართველოს სსკ-ის სხვადასხვა მუხლებით, მათ შორის, 185-ე მუხლით. ბრალდების დადგენილების თანახმად, სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დასახელებულმა პირებმა, სხვადასხვა სამეწარმეო საზოგადოებების სახელით, 2014 და 2015 წლებში იმპორტის რეჟიმში შემოიტანეს რამდენიმე მილიონის საბაჟო ღირებულების ხილ-ბოსტნეული (გარკვეული ოდენობა ადგილობრივი მეწარმეებისგანაც შეიძინეს), რომლის რეალიზაცია მოახდინეს ადგილობრივ ბაზარზე, რეალიზებულად კი აჩვენეს იმპორტირებული/შეძენილი პროდუქციის მცირე ნაწილი. აღნიშნულის გამო, კომპანიებს პირადი აღრიცხვის ბარათზე უსაფუძვლოდ დაუგროვდათ ზედმეტობა დღგ-ში, რაც ზემოაღნიშნულმა პირებმა გამოიყენეს იმპორტირებულ საქონელზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების (მათ შორის დღგ) გადასახდელად. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულებმა სახელმწიფო ქონებრივად მოტყუებით დააზარალეს რამდენიმე ათეულ ათასობით ლარით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის განაჩენით სამივე ბრალდებულის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი (N1-974/16 წ) სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაციით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 2 ივლისის განაჩენით (N1/ბ-303-2017 წ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის N624აპ-18 განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული არსებითად განსახილველად (უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განაჩენები);¹⁸

2) ე. მ-ს 2017 წლის 16 თებერვალს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 210-ე და 185-ე მუხლებით. ბრალდების დადგენილების თანახმად, სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დასახელებულმა პირმა სამეწარმეო საზოგადოებების სახელით, 2015 და 2016 წლებში ყალბი საგადასახადო დოკუმენტები (საგადასახადო დეკლარაციები) დაამზადა, რითაც კომპანიის პირადი აღრიცხვის ბარათზე ხელოვნურად, უსაფუძვლოდ დაუგროვდა ზედმეტობა დღგ-ში. ფიქტიური ზედმეტობა (დღგ-ის ყალბი აქტივი) ე. მ-მა გამოიყენა სხვადასხვა ფიზიკური პირების სახელით იმპორტის რეჟიმში შემოტანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების, თავისივე კომპანიის სახელით საბაჟო გაფორმებისას. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულმა სახელმწიფო ქონებრივად მოტყუებით დააზარალა ათეულ ათასობით ლარით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 დეკემბრის განაჩენით ე. მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაციით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის N621აპ-18 განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული არსებითად განსახილველად (უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განაჩენები);¹⁹

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის N624აპ-18 განჩინება.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის N621აპ-18 განჩინება.

3) ბ. ი-ს 2017 წლის 05 მაისს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 210-ე და 185-ე მუხლებით. ბრალდების დადგენილების თანახმად, სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დასახელებულმა პირმა რამდენიმე სამეწარმეო საზოგადოებების სახელით, 2012 და 2014 წლებში იმპორტის რეჟიმში შემოიტანა რამდენიმე მილიონი ლარის საბაჟო ღირებულების ხილ-ბოსტნეული (გარკვეული ნაწილი შეიძინა ადგილზე), რომელთა რეალიზაცია მოახდინა ქვეყნის შიდა ბაზარზე, რეალიზებულად კი აჩვენა იმპორტირებული პროდუქციის მცირე ნაწილი. აღნიშნულის გამო კომპანიებს პირადი აღრიცხვის ბარათზე უსაფუძვლოდ/ხელოვნურად დაუგროვდა ზედმეტობა დღგ-ში. ხელოვნურად წარმოშობილი დღგ-ის თანხა დასახელებულმა პირმა გამოიყენა იმპორტირებულ საქონელზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების (მათ შორის დღგ) გადასახდელად. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულმა სახელმწიფო ქონებრივად ათეულ ათასობით ლარით დააზარალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 ივნისის განაჩენით ბ.ი. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაციით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 4 ნოემბრის განაჩენით (N1ბ-571-2019 წ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N995აპ-20 განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული არსებითად განსახილველად (უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განაჩენები);²⁰

დასახელებულ სამივე შემთხვევაში ხელმძღვანელთა მხრიდან სამეწარმეო საზოგადოების სახელით საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის პროცესში წარმოშობილი, საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადების გადაუხდელობასთან/სახელმწიფოს მოტყუებით დაზიანებასთან გვექონდა საქმე, მაგრამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად ეს ქმედებები საგამოძიებო/საპროკურორო საქმიანობის დროს დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით (და არა სსკ-ის 218-ე მუხლით). სამივე შემთხვევაში სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია ყველა ინსტანციის სასამართლოების მიერ შეფასდა მართებულად და დარჩა უცვლელი.

იმისათვის, რომ საქართველოს სსკ-ის 218-ე და 185-ე მუხლებით პასუხისმგებლობის პრობლემატიკა კარგად იქნეს წარმოჩენილი, თეორიული მსჯელობის ნაცვლად, ასევე მოვიყვან რამდენიმე მაგალითს საგამოძიებო/საპროკურორო და სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკიდან, რომელთა საგამოძიებო და საპროკურორო პროცედურებში უშუალოდ ვიყავი ჩართული და რომელთა არსებითი განხილვა დასრულდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც პირის ქმედება, ერთი და იგივე სამეწარმეო საზოგადოების სახელით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო, დაკვალიფიცირდა როგორც სსკ-ის 185-ე მუხლით, ასევე სსკ-ის 218-ე მუხლით:

1) გ. მ-ს 2017 წლის 11 ნოემბერს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 218-ე და 185-ე მუხლებით. ბრალდების დადგენილების თანახმად, სსკ-ის 218-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დასახელებულ პირს, სამეწარმეო საზოგადოების სახელით, 2015 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 01 მარტამდე პერიოდში საქმიანობა-

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N995აპ-20 განჩინება.

ისას, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება სრულად არ ჰქონდა დეკლარირებული და დამალული ჰქონდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადები. სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დასახელებულმა პირმა სამენარმეო საზოგადოებების სახელით, 2016 წლის 01 აგვისტოდან 2016 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განახორციელა რამდენიმე მილიონი ლარის საბაჟო ღირებულების ხილ-ბოსტნეულის იმპორტი, რომელთა რეალიზაცია მოახდინა ქვეყნის შიდა ბაზარზე, რეალიზებულად კი აჩვენა იმპორტირებული პროდუქციის მცირე ნაწილი. აღნიშნულის გამო, კომპანიას პირადი აღრიცხვის ბარათზე უსაფუძვლოდ/ხელოვნურად წარმოექმნა ზედმეტობა დღგ-ში. აღნიშნული ზედმეტობის თანხები დასახელებულმა პირმა გამოიყენა იმპორტირებულ საქონელზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების გადასახდელად. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულმა სახელმწიფო ქონებრივად რამდენიმე ათეული ათასი ლარით დააზარალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 მაისის განაჩენით გ.მ-ის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი როგორც სსკ-ის 218-ე მუხლით, ასევე 185-ე მუხლის კვალიფიკაციით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი კვალიფიკაციების ნაწილში დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის N221აპ-19 განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული არსებითად განსახილველად (უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განაჩენები);²¹

2) შ. ტ-ს 2020 წლის 3 ივლისს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 210-ე, 218-ე და 185-ე მუხლებით. ბრალდების დადგენილების თანახმად სსკ-ის 218-ე მუხლის კვალიფიკაცია, გამოიხატა მასში, რომ დასახელებულ პირს სამენარმეო საზოგადოების სახელით, 2017 და 2018 წლების საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება სწორად და სრულად არ ჰქონდა წარმოებული და დამალული ჰქონდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადები. სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ შ. ტ-ს, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება გამოყენების გზით, რამდენიმე სამენარმეო საზოგადოების პირადი აღრიცხვის ბარათზე ხელოვნურად/უსაფუძვლოდ დაუგროვდა ზედმეტობა დღგ-ში. მითითებული ზედმეტობა გამოყენებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას. აღნიშნული ქმედებით დასახელებულმა პირმა სახელმწიფო ქონებრივად ათეულ ათასობით ლარით მოტყუებით დააზარალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის განაჩენით შ.ტ-ის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი როგორც სსკ-ის 218-ე მუხლით, ასევე 185-ე მუხლის კვალიფიკაციით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 მაისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 13 დეკემბრის N617აპ-21 განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული არსებითად განსახილველად (უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განაჩენები);²²

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის N221აპ-19 განჩინება.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 13 დეკემბრის N617აპ-21 განჩინება.

თუ როდის უნდა დაკვალიფიცირდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) სსკ-ის მხოლოდ 218-ე მუხლით ან მხოლოდ 185-ე მუხლით, ანდა ერთობლივად სსკ-ის 218-ე და 185-ე მუხლებით, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სრულყოფილი ანალიზით უნდა შეფასდეს, რომელთა ზოგად სანყისებზე მსჯელობას აღარ შეეუდგები დასახელებულ სტატიებში.

3.2. უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის N877აპ-19 განაჩენი

სტატიის სამიზნე საკითხის პრობლემატიკის წარმოსაჩენად, ასევე მოვიყვან ერთ მაგალითს საგამოძიებო/საპროკურორო და სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკიდან, რომელთა საგამოძიებო და საპროკურორო პროცედურებში უშუალოდ ვიყავი ჩართული და რომელთა არსებითი განხილვა დასრულდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

დ. ჯ-ს 2016 წლის 19 აპრილს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 210-ე და 185-ე მუხლებით. ბრალდების დადგენილების თანახმად, სსკ-ის 210-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დ. ჯ-მ სამეწარმეო საზოგადოების სახელით საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დროს დაამზადა იმპორტის გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი ყალბი საგადასახადო დავალებები, რომლებიც გამოიყენა იმპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმებისას. დ. ჯ-ს სსკ-ის 185-ე მუხლის კვალიფიკაცია გამოიხატა მასში, რომ დ. ჯ-მ სამეწარმეო საზოგადოებების სახელით, 2015 წლის 11 ივნისიდან 2015 წლის 29 ივნისის ჩათვლით პერიოდში განახორციელა 45 სასაქონლო საბაჟო ოპერაცია, რომლებზეც გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელების გადახდის დასადასტურებლად საბაჟო ორგანოში წარადგინა ზემოთ დასახელებული ყალბი საგადახდო დავალებები. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულმა სახელმწიფო მოტყუებით ქონებრივად რამდენიმე ათეული ათასი ლარით დააზარალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის განაჩენით დ. ჯ. სსკ-ის 185-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, ხოლო 210-ე მუხლის კვალიფიკაციით გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 02 ივლისის განაჩენით (N1ბ-183-2019 წ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის N877აპ-19 განაჩენით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ივლისის განაჩენში შევიდა ცვლილება, დ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

დასახელებულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ქმედების სსკ-ის 185-ე მუხლით კვალიფიკაციასთან დაკავშირებით: „იმისათვის, რათა სამართლებრივად სწორად შეფასდეს მხარეთა (ბრალდება და დაცვა)

შორის დავის საგნად ქცეული ქმედების კვალიფიკაცია, **უნდა განიმარტოს, როდის იკვეთება დანაშაულის - მოტყუებით ქონებრივი დაზიანების შემადგენლობა** და სარწმუნოდ დადგინდეს, მსჯავრდებულის განზრახვა შემოიფარგლა მხოლოდ გაყალბებული საგადასახადო დავალებების წარდგენით საბაჟო გაფორმების ზონიდან იმპორტირებული საქონლის გატანით, როგორც ეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, თუ მისი განზრახვა მოიცავდა იმპორტირებული საქონლისთვის გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელებისაგან მოტყუებით (ყალბი საგადასახადო დავალებების წარდგენით) თავის არიდებასა და მიუღებელი შემოსავლის სახით სახელმწიფოსათვის დიდი ოდენობით ზიანის მიყენებას.

საკითხის მართებულად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ბრალდების მხარე დ. ჯ-ს ედავებოდა და რომლის ჩადენასაც მსჯავრდებული აღიარებს - ყალბი საანგარიშსწორებო და საგადასახადო დოკუმენტების დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება და არა - ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, როგორც ამაზე სააპელაციო სასამართლო მიუთითებს თავის განაჩენში და რამაც განაპირობა სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის ქმედების არასწორად შეფასება, რადგან **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა არ მოიცავს ისეთ სავალდებულო ობიექტურ ნიშანს, როგორიც არის - მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ყალბი საანგარიშსწორებო და საგადასახადო დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებას შედეგად მოჰყვება სხვისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება, ქმედება სცდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ფარგლებს და ცალკე კვალიფიკაციას საჭიროებს.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მოიცავს ორ აუცილებელ ელემენტს - მოტყუებასა და მესაკუთრისათვის/ქონების მფლობელისათვის ზიანის მიყენებას და თავის მხრივ, ეს ზიანი მოცული უნდა იყოს დამნაშავის განზრახვით. იმის გამოსარკვევად, დ. ჯ-მ ჩაიდინა თუ არა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, უნდა დადგინდეს, ერთი მხრივ, **ყალბი საანგარიშსწორებო და საგადასახადო დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით მოატყუა თუ არა მან სახელმწიფო და მეორე მხრივ, მიაყენა თუ არა ქონებრივი ზიანი.**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი.**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. ჯ-მ იმპორტირებული საქონლის საბაჟო პროცედურების შესრულებისას, შემოსავლების სამსახურში გაყალბებული საგადასახადო დავალებების წარდგენის გზით, განზრახ მოატყუა სახელმწიფო, რომ თითქოსდა, 2015 წლის 11 ივნისიდან 2015 წლის 29 ივნისის ჩათვლით შესრულებული - 45 სასაქონლო-საბაჟო ოპერაციით იმპორტირებული საქონლისთვის გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელი - 249 214 ლარი სრულად ჩარიცხა სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე, რითაც სახელმწიფოს მიაყენა დიდი ოდენობით - 249 214 ლარის ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით და მიუხედავად იმისა, რომ დ. ჯ. უარყოფს განზრახვის არსებობას, საქმის მასალებით დადასტურებულ გარემოებათა განვითარე-

ბის ლოგიკური ჯაჭვი ცხადყოფს, რომ მის ქმედებაში ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილია დანაშაულის - მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების - შემადგენლობა. ამდენად, დ. ჯ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში²³.

დასკვნა

ნაშრომში განხილული პრობლემის თეორიული და პრაქტიკული ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ საკითხებზე მსჯელობას. მოცემული სტატიის მიზანია ასეთი მსჯელობისთვის ხელის შეწყობა. შესაბამისად, აღარ გავაგრძელებთ თეორიულ მსჯელობას და საპროკურორო საქმიანობის სხვა მაგალითების მოხმობას გადასახადისათვის თავის არიდების და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების (საგადასახადო თაღლითობის) კვალიფიკაციის საკითხებზე და მის პრობლემატიკაზე. მოცემულ სტატიაში მოყვანილი თეორიული მსჯელობა და დასახელებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგადასახადო დანაშაულის მარეგულირებელ ნორმებს დიდი ხანია სრულყოფა სჭირდება.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის განაჩენი საქმეზე N877აპ-19.

ოჯახში ძალადობის პრევენცია ტორე ბიორგოს ყოვლისმომცველი მოდელის მიხედვით

ნიკა უსუფაშვილი*

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - გაერო) გენერალური მდივნის განმარტებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევათა ნიშნულმა, ბოლო პერიოდში, პანდემიურ მასშტაბებს მიაღწია.² სინამდვილეში, ოჯახში ძალადობის თემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალ ქვეყანაში ტაბუირებული იყო, რადგან მსგავსი საკითხების სააშკარაოზე გამოტანა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევად ითვლებოდა. თუმცა, საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდება აზრი, რომ გაუმართლებელია ოჯახში ძალადობის პრობლემის იგნორირება, მასზე თვალის დახუჭვა, რადგან ძალადობა საფრთხეს უქმნის ადამიანის უსაფრთხოებას, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მოცემული დანაშაული შეიძლება გამოვლინდეს ფიზიკური, ემოციური, სექსუალური, ფინანსური ძალადობის ფორმებსა თუ სავარაუდო მსხვერპლის ადგილსამყოფელის მონიტორინგსა და თვალთვალში. ამასთან, იგი არ არის ყოველთვის ზედაპირზე, რადგან ხშირად პირადი ურთიერთობების ფარგლებში, ან დახურულ სივრცეში, ხდება.

წინამდებარე სტატიით შემოთავაზებულია ოჯახში ძალადობის პრევენციის ტორე ბიორგოს დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველი 9-საფეხურიანი მოდელი, რომელიც, ფაქტობრივად, დანაშაულის პრევენციის სამივე დონეს მოიცავს და პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია ის მექანიზმები, რომლებიც ახდენენ დანაშაულის ჩადენის პრევენციას, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე, ძალადობის შედეგებსა და სამართლებრივი აღკვეთის ღონისძიებებზე, მათ შორის, აქცენტი კეთდება სიტუაციური პრევენციის მნიშ-

* სიღნაღის
რაიონული
პროკურატურის
სტაჟიორ-
პროკურორი¹

¹ ნაშრომი შესრულებულია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სალექციო კურსის „დანაშაულის პრევენციის თანამედროვე მოდელები“ - ფარგლებში.

² იხ. United Nations Office on Drugs and Crime, Handbook on Effective Prosecution Responses to Violence against Women and Girls, Criminal Justice Handbook Series, New York, 2014, 29.

ვნელობასა და ოჯახში ძალადობის ჩადენის ხელშეშლის ბერკეტებზე. მეორე ნაწილი შეეხება პრევენციის ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა შესაძლებლობის წართმევა და ზიანის შემცირება, რომლებიც გამოიყენება მას შემდეგ, რაც დანაშაული ჩადენილია, ხოლო სტატიის მესამე ნაწილი შეეხება ოჯახში ძალადობის შედეგად მიღებული სოციალური და ფსიქოლოგიური სარგებლის შემცირებასა და დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებებს, მაშასადამე, მიემართება იმ მექანიზმებს, რომლებიც ახდენენ ოჯახური დანაშაულის ხელახალი ჩადენის პრევენციას.

სტატიის მიზანია, განხორციელდეს კონსოლიდაცია ყველა მნიშვნელოვანი გარემოებისა, რომლებიც ოჯახში ძალადობას ეხება, მოხდეს მათი ანალიზი და შემუშავდეს გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა მხედველობაში მიღებითაც, შესაძლოა, შედარებით გაუმჯობესდეს არსებული პრობლემის სტატისტიკური მდგომარეობა.

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ნორმატიული ბარიერების ჩამოყალიბება და შენარჩუნება

ადამიანთა უმეტესობა თავს იკავებს ძალადობრივი ქმედების ჩადენისაგან, არა გამოაშკარავების ან სასჯელის შიშით, არამედ, იმიტომ, რომ ძალადობა მათი სინდისისა და ფუნდამენტური ღირებულებების საწინააღმდეგოა. ეს არაფორმალური კონტროლის მექანიზმი (მორალი) კი პიროვნებას სოციალიზაციის პროცესში უყალიბდება.³ ნორმატიული ბარიერების ქონა დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორი კრიმინოგენული ვითარებაა ქვეყანაში, რამდენად შემწყნარებელია საზოგადოება ამა თუ იმ დანაშაულის მიმართ. ჩვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობის პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში - საქსტატი) მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით,⁴ 2022 წელს ოჯახში ძალადობის 4514 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული,⁵ რაც გასაკვირი არცაა იმ მართივი მოცემულობიდან გამომდინარე, რომ გენდერულმა სტერეოტიპებმა და პატრიარქალურმა დამოკიდებულებებმა საზოგადოების ტოლერანტობა განაპირობა ოჯახში ძალადობისადმი. მოძალადე, როგორც წესი, ითავისებს საკუთარ კულტურულ ნორმებში მიღებულ და გავრცელებულ შეხედულებებს, ამიტომაც მიაჩნია, რომ სურვილის მისაღწევად ძალის გამოყენებისა და საკუთარი პარტნიორის კონტროლის უფლება გააჩნია.⁶

³ ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია (ყოვლისმომცველი მიდგომა), რედ., გ. გიორგაძე/მ. შალიკაშვილი. ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის გამოცემა. 2019, 43.

⁴ <<https://www.geostat.ge/>> (უკანასკნელად ნანახია: 25/06/2023).

⁵ შენიშვნა: ევროკავშირის ძირითადი უფლებების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ევროკავშირის 28 ქვეყნის მონაცემების მიხედვით, ყოველ მესამე ქალს, 15 წლის ასაკის შემდეგ, განუცდია ფიზიკური ან სექსუალური ხასიათის ძალადობა. შუად. Violence against Women: an EU-Wide Survey, Main Results, European Union Agency for Fundamental Rights, 2015, 27.

⁶ ლ. მეტრეველი, ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 60.

მორალური ბარიერების ჩამოყალიბების ასპექტში, გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებითია სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ფსიქოლოგების ჩაბმა, ამასთან, შემოთავაზებული უნდა იქნას ოჯახის ინსტიტუტის, ძირითადი ფასეულობებისა და ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი გაძლიერებული პროგრამები.⁷ საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ოჯახში ძალადობა იწვევს ფიზიკურ დაზიანებას, სტრესს, დეპრესიას, თვითმკვლელობის მცდელობებს, განსაკუთრებით, ეს უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე, შესაძლოა, ამგვარმა ფსიქოლოგიურმა განცდებმა ბავშვი მოძალადედაც ჩამოაყალიბოს.⁸ აგრეთვე, გასათვალისწინებელია ეკლესიის როლიც. ეკლესიასა და საპატრიარქოს გააჩნია ის ნდობა და მორალური ავტორიტეტი, რაც საშუალებას აძლევთ, ჩაერთონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ერთობლივი სამოქმედო გეგმა შეიმუშავონ. ეკლესიასთან ასოცირებული მრევლი კი, შესაძლოა, სერიოზულ მხარდამჭერად იქცეს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაში (მაგალითად, მხარდამჭერი ქსელების შექმნა).⁹

ნორმატიული ბარიერების ჩამოყალიბების მიზნით, გადამწყვეტია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაც და ანტიძალადობრივი კამპანიების წარმოება. კამპანია „უთხარი არა ქალთა მიმართ ძალადობას“ წამოიწყო გაერომ და მისი მიზანია ცნობიერების ამაღლება ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის საკითხებზე. კამპანია ქალთა წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, 25 ნოემბერს, იწყება და 16 დღის განმავლობაში მიმდინარეობს, მისი შედეგები ფასდება ოთხი ინდიკატორით: 1. საზოგადოების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობისადმი არატოლერანტობის ზრდა. 2. იმ ქალთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ძალადობის შესახებ საუბრობენ. 3. არაძალადობრივი ურთიერთობების სარგებლიანობის შესახებ ქალების, კაცებისა და ოჯახებისათვის ცნობიერების ამაღლება. 4. მტკიცებულებები იმისა, რომ საზოგადოების წევრები იღებენ პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყონ და ნაახალისონ არაძალადობრივი ურთიერთობები.¹⁰ ცნობიერების ამაღლების კუთხით შემუშავებულ ღონისძიებებს შორის, საინტერესოა საფრანგეთში მიმდინარე კამპანია „Break the Silence“ („დაარღვიე სიჩუმე“), აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ბეჭდური და ვიდეო საინფორმაციო მასალების საჯარო ადგილებზე განთავსების გზით, ხდება საზოგადოების ინფორმირება ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე.¹¹ საქართველოში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მისასალმებელია იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოებული

⁷ ე. გოგუაძე, ალკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 73.

⁸ იქვე, 65.

⁹ მ. ჩიტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ლ. არუთინოვი, ლ. წულაძე, ს. ჩაჩანიძე (მკვლევართა ჯგუფი), ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, 2010, 108.

¹⁰ L. L. Heise, What Works to Prevent Partner Violence, An Evidence Overview, 2011, 15-16.

¹¹ K. Heisecke, Raising Awareness of Violence against Women: Article 13 of the Istanbul Convention, Council of Europe, 2014, 15-16.

სოციალური კამპანია „იმოქმედე“, ვიდეოკლიპები, რომლებიც ასახავს ქალზე, კაცსა და ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს, შეახსენებს საზოგადოებას, რომ ოჯახში ძალადობა თეატრი ან ფილმი არ არის და მოქმედების ვალდებულებას აკისრებს.¹²

ნორმატიული ბარიერები, შესაძლოა, საკანონმდებლო დანაწესებმაც განამტკიცოს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ 2012 წელს ოჯახში ძალადობის ცალკე მუხლად კრიმინალიზება მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში - სსკ), აგრეთვე, 2014 წელს მივიღეთ კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 2017 წელს მოხდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ (შემდგომში - „სტამბოლის კონვენციის“) რატიფიცირება. სწორედ, 2014-2015 წლებიდან მკვეთრად მატულობს ოჯახური დანაშაულის სტატისტიკა, კერძოდ, 2014 წელს ოჯახში ძალადობის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 550, 2017 წელს - 1515, ხოლო 2022 წელს - 2803 პირის მიმართ.¹³ 2022 წელს ოჯახურ ძალადობაზე დევნის დაწყების მაღალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან აღნიშნული მოწმობს, ერთი მხრივ, იმას, რომ სახელმწიფო ასრულებს პოზიტიურ ვალდებულებას და ადეკვატურ რეაგირებას ახდენს დანაშაულზე, მეორე მხრივ კი, თავად საზოგადოებას გაუჩნდა სურვილი, თავი დააღწიოს მახინჯ „ტრადიციებს“ და ითანამშრომლოს სამართალდამცავ უწყებასთან, შესაბამისად, მიღებულმა კანონებმა, აგრეთვე, ხელი შეუწყო საზოგადოების დადებითი მორალური თვისებების განმტკიცებას.

2. ოჯახში ძალადობაში ჩაბმის შემცირება

ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირები მოძალადეებად არ იბადებიან, არამედ ასეთებად აყალიბებენ ის გარემო-ფაქტორები და კულტურული ცნობიერებები, რომლითაც ისინი იზრდებიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, პირველი დონის პრევენციის ფარგლებში, დანაშაულში ჩართვის ეტაპამდე, ვინაიდან დანაშაულის ერთხელ ჩადენა ხელს უწყობს ნორმატიული ბარიერების განმეორებით დარღვევას.¹⁴

დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების თვალსაზრისით, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს კვლევა, რომლის მიხედვითაც, 2016-2017 წლებში, ოჯახში ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა ჩადენილ იქნა ურთიერთშელაპარაკებისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის გამო (85%), შემდეგ მოდის ეჭვიანობის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები (7%), აგრეთვე, 2017 წელს, 2016

¹² <<https://ghn.ge/news>> (უკანასკნელად ნანახია: 25/06/2023).

¹³ ამასთან დაკავშირებით, იხ. საქართველოს პროკურორის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, <<https://pog.gov.ge/uploads/2ab01e8b-saqarTvelos-prokuraturis-2021-wlis-saqminaobis-angarishi.pdf>> (უკანასკნელად ნანახია: 25/06/2023).

¹⁴ K. Heisecke, Raising Awareness of Violence against Women: Article 13 of the Istanbul Convention, Council of Europe, 2014, 10.

წელთან შედარებით, 5-ჯერ გაიზარდა გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებელი, ძალადობის გამომწვევ მიზეზებს შორის მატულობს ფინანსური პრობლემების ნიადაგზე ოჯახში ჩადენილი დანაშაულების რიცხვიც.¹⁵

ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზთა შორის საყურადღებოა არასწორი აღზრდა. „ფსიქოდინამიური თეორიის თანახმად, ოჯახური ძალადობა ფსიქოდინამიური თავდაცვითი პროცესის შედეგია. მოძალადე დედა, მამა და მეუღლე თვითონაც გამხდარან ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი და მშობლების მხრიდან არასაკმარისი მზურნელობა აქვთ განცდილი, რაც წარმოქმნის მათში პარტნიორისადმი უნდობლობას. მოძალადეები საკუთარი ოჯახის წევრებისაგან ითხოვენ იმ მზურნელობას, ყურადღებასა და პატივისცემას, რაც მათ ბავშვობაში დააკლდათ.“¹⁶ ზიგმუნდ ფროიდი¹⁷ ძალადობის გამომწვევ მიზეზს ფსიქოანალიტიკური თეორიით ხსნის და მიიჩნევს, რომ ბავშვობაში განხორციელებული ძალადობა იწვევს საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვას, ამასთან, ზიზლს აჩენს საკუთარი პიროვნებისადმი, რის შედეგადაც მიღებულ იმედგაცრუებას ძალადობაში ავლენს ადამიანი.¹⁸ სოციალური სწავლებისა და ინტერაქციის თეორიის მიხედვით, ოჯახში ძალადობა ცნობიერი და არაცნობიერი დაკვირვების შედეგად დაისწავლება. ოჯახური ძალადობისას, თუ ქალიშვილი ხედავს, რომ მამა სისტემატურად ძალადობს დედაზე, იგი სწავლობს დაზარალებულის ქცევას და, თუ თვითონაც აღმოჩნდება მსგავს მდგომარეობაში, დაოჯახების შემდგომ, მისთვის ადვილი იქნება ოჯახში ძალადობასთან შეგუება. აქედან გამომდინარე, ოჯახში მშობლების ძალადობაზე დაკვირვებით, ბავშვების ერთი ნაწილი სწავლობს დაზარალებულის, მეორე კი - მოძალადის ქცევას, რომელსაც შემდგომ თვითონაც იყენებენ.¹⁹

გეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ქალთა არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა მითითებულია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც საქართველოში, სავარაუდოდ, ზრდის პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკს ქალთა მიმართ.²⁰ საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2022 წელს, საქართველოში, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 15.6%-ს შეადგენდა, ამავედროულად, საარსებო შემწეობას მოსახლეობის 17.4% იღებდა.²¹ ოჯახის არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა და სიდუხჭირე კი იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც ამძაფრებს უთანხმოებას ოჯახის წევრებს შორის. ასეთ გარემოში ყოფნა ოჯახის ერთ წევრს მეორე წევრის („შემომტანის“) მიმართ დამოკიდებულს

¹⁵ ნ. ჯუღელი/ე. ღვინჯილია, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, მთავარი რედ., მ. კვაჭაძე/ლ. მელაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო (კვლევისა და ანალიზის ცენტრი), 2017, 49.

¹⁶ ლ. მეტრეველი, ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 59.

¹⁷ ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) - ავსტრიელი ნევროლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

¹⁸ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მე-3 გამოცემა, 2017, 240.

¹⁹ იქვე, 63.

²⁰ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016, 10.

²¹ <<https://www.geostat.ge>> (უკანასკნელად ნანახია: 25/06/2023).

ხდის, უმუშევრობა და ეკონომიკური დამოკიდებულება კი აიძულებს მსხვერპლს აიტანოს ძალადობა, რადგანაც მისთვის ერთადერთი ფინანსური საყრდენი მოძალადეა.²²

საზოგადოებრივ (მაკრო) დონეზე, ეკონომიკური გაძლიერების პარალელურად, ყურადღება უნდა მიექცეს განათლების დონესა და მოძალადედ ან მსხვერპლად გახდომის რისკს შორის არსებულ კავშირსაც. კვლევების მიხედვით, მამაკაცი, რომელსაც აქვს განათლების დაბალი დონე, მეტი აგრესიულობით გამოირჩევა და საკუთარი უპირატესობის ხაზგასმას ძალადობრივი ფორმებით ცდილობს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პარტნიორი უფრო განათლებულია ან უფრო მაღალი პროფესიული მიღწევებით გამოირჩევა.²³ ამასთან, სუბიექტური ანომიის თეორიის მიხედვით, ადამიანი, რომელიც განათლების დაბალი დონით გამოირჩევა, ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების განსაზღვრას და მათ მისადაგებას საზოგადოებრივი ფასეულობების სტრუქტურისადმი, რის გამოც იგი აღარ იზიარებს სოციალურ ნორმებს, ეუფლება გაუცხოებისა და იზოლაციის შეგრძნებას, რაც გაუთვალისწინებელ და მძიმე შედეგებს იწვევს.²⁴ შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი არასრულწლოვნებს საშუალო განათლების მიღებაში.

კვლევების თანახმად, ოჯახური დანაშაულის ამსრულებელთა საკმაოდ დიდ ნაწილს ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრობლემა აღენიშნება, ამასთან, მათი უმეტესობა დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა.²⁵ გასათვალისწინებელია, რომ ალკოჰოლის მიღების დღესა და ინტოქსიკაციის პერიოდში უფრო მაღალია ძალადობის რისკი, ვიდრე იმ დღეებში, როდესაც პირი არ მოიხმარს თრობის საშუალებებს, ვინაიდან ალკოჰოლი გავლენას ახდენს კოგნიტურ შესაძლებლობებზე და ართულებს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრას, ამასთან, ალკოჰოლი და ნარკოტიკი ამცირებს ინჰიბიციის უნარს, შედეგად, ადამიანები არასწორად აღიქვამენ ვერბალურ და არავერბალურ მინიშნებებს.²⁶ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებული ქალები, ასევე, წარმოადგენენ ოჯახში ძალადობის პოტენციურ მსხვერპლებს.²⁷ ჯგუფურ (მესო) დონეზე პრევენციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს: 1. კამპანიები, საგანმანათლებლო აქტივობები სკოლაში და საჯარო დიალოგი ალკოჰოლისა და ნარკოტიკის სარგებელსა და შედეგებზე; 2. მკურნალობისა და თვითდახმარების მხარდაჭერის სისტემები, როგორიცაა „ანონიმური ალკოჰოლიკები“.²⁸

²² ე. გოგუაძე, ალკოჰოლის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 66.

²³ Ch. C. Mapama, G. Masaiti, M. Sikwibele, M. Kasonde, The Relationship between Spousal Violence and Levels of Education, J., International Journal of African Higher Education, Vol.9, No.1, 2022, 3.

²⁴ მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მე-2 გამოცემა, 2016, 42.

²⁵ იხ. Center for Substance Abuse Treatment, Substance Abuse Treatment and Domestic Violence, J., Tip Series – Treatment Improvement Protocols (TIPS), No.25, USA, 2012, 3.

²⁶ L. L. Heisi, What Works to Prevent Partner Violence, An Evidence Overview, 2011, 49.

²⁷ იხ. Center for Substance Abuse Treatment, Substance Abuse Treatment and Domestic Violence, J., Tip Series – Treatment Improvement Protocols (TIPS), No.25, USA, 2012, 3.

²⁸ L. L. Heisi, What Works to Prevent Partner Violence, An Evidence Overview, 2011, 50.

ოჯახური დანაშაულის ხელშემწყობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპები უნდა დასახელდეს (აღნიშნულ შეხედულებას ამყარებს 2022 წლის სტატისტიკაც,²⁹ კერძოდ, ოჯახში მოძალადეთაგან 84%-ს წარმოადგენს მამაკაცი, ხოლო მსხვერპლთაგან 83%-ს - ქალი). საქართველოში, საზოგადოება ოჯახის „ღირსების“ თამასად ქალს მოიაზრებს. „ღირსების“ სახელით ჩადენილი ძალადობა კი ხშირად საზოგადოების მხრიდან თანაგრძნობას იწვევს. ქალები, რომლებიც ამ საზოგადოების მიერ დამკვიდრებულ ნორმებსა და ქცევის წესებს არ შეესაბამებიან, ხშირად ხდებიან შეურაცხყოფისა და ძალადობის მსხვერპლი. ზოგჯერ ქალებს, ადათებისა და დამკვიდრებული წესების დარღვევა დღესაც კი სიცოცხლის ფასად უჯდებათ. მაგალითად, 2022 წლის ივლისში, თბილისში მომხდარი შემთხვევა, საზოგადოების მხრიდან „ღირსების“ დაცვის სახელით მოძალადის მიმართ გამოხატული ემპათიის ნათელი მაგალითია. ახალგაზრდა მამაკაცმა საკუთარი დედა დაჭრა, მასთან მყოფი მისი მეგობარი მამაკაცი კი მოკლა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბრალდებულის მიმართ თანაგრძნობა გამოხატა, დაშავებული ქალი კი შვილის „ღირსების“ გათელვაში დაადანაშაულა.³⁰ „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გენდერულ სტერეოტიპებს და საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების შესაცვლელად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.³¹ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მასმედიის როლი. მართალია, გაიზარდა გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების გაშუქების რაოდენობა, მაგრამ მედია, როგორც წესი, ნეგატივიზმსა და განსაკუთრებულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, ძალადობის მიზეზების დეტალური ანალიზი კი არ ხდება. ოჯახში ძალადობის სტერეოტიპული და სენსაციური მოვლენის სახით გაშუქება კი ქმნის რისკს, რომ საზოგადოება ძალადობას აღიქვამს, როგორც ნორმალურ მოვლენას.³²

3. ოჯახში მოძალადის დაშინება

დაშინება შეიძლება განიმარტოს, როგორც ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის შიშით, თუმცა, რამდენად ეფექტურია იგი და რამდენად შეუძლია იმ შედეგების მიღწევა, რასაც მისგან მოითხოვენ კრიმინოლოგიური კვლევისათვის, დავის საგანია. დაშინების ეფექტურობის დასადგენად მნიშვნელოვანია სამი ფაქტორის შეფასება: გამოაშკარავების რისკი, სასჯელის სიმძიმე და ფაქტი, რომ სასჯელი აღსრულებულია სწრაფად.³³

³⁰ ს. ბლადაძე, ფსევდო-ღირსების სადარაჯოზე: ქალი, როგორც „ღირსების“ თამასა, ჯეოქეისი, 2022 (27.VII), 2.

³¹ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ („სტამბოლის კონვენცია“), მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი.

³² იხ. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ალიანსი (CAADV), ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში კერძო სექტორისა და მედიის მონაწილეობის ნახალისება: სტამბოლის კონვენციის მე-17 მუხლი, 2016, 43-44.

³³ ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია (ყოვლისმომცველი მიდგომა), რედ., გ. გიორგაძე/მ. შალიკაშვილი. ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის გამოცემა. 2019, 51-52.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჩადენილი ქმედებისათვის დასჯადობის გარდაუვალობის აღქმას უფრო მეტად დამაშინებელი ეფექტი აქვს, ვიდრე სასჯელის სიმკაცრეს (სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია).³⁴ სამწუხაროდ, ოჯახში ძალადობის ლატენტური ხასიათიდან გამომდინარე, რთულდება მისი გამოაშკარავებისა და გახსნის შესაძლებლობა. იმის გამო, რომ ძალადობას ადგილი აქვს „კერძო გარემოში“;³⁵ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში, დახურულ სივრცეში რჩება. მაგალითისთვის, 2018 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო ოჯახში ძალადობის 5212 შემთხვევა, ხოლო საგამოძიებო ორგანოების მიერ გაიხსნა 2470, ანუ 47,3%, 2022 წელს რეგისტრირებული 4514 შემთხვევიდან კი გაიხსნა 2982, ანუ 66%-ზე მეტი.³⁶ ერთი შეხედვით, პროგრესი უდავოდ შეინიშნება, თუმცა დანაშაულის გახსნის რაოდენობრივი მაჩვენებელი მაინც არასახარბიელოა და მოძალადეს ე.წ. „დაუსჯელობის სინდრომის“ განცდას უჩენს, რაც ძალადობის განმეორების ალბათობას ზრდის.

ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოყენებული სასჯელის სახეების კუთხით, საინტერესოა 2020 წლის მონაცემები. კერძოდ, 2020 წელს, ოჯახში ძალადობაში მსჯავრდებული 1282 პირიდან, თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა 379, პირობითი მსჯავრი 706, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 196 პირის მიმართ.³⁷ „სტამბოლის კონვენციის“ მიხედვით, „ოჯახში ძალადობა უნდა ისჯებოდეს გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების საშუალებით, სადაც ეს მიზანშეწონილია, თავისუფლების აღკვეთით“.³⁸ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ უზრუნველყონ გენდერული ნიშნით ძალადობის ყველა ფორმის პრევენცია, გამოძიება და დასჯა და განახორციელონ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა ამ კუთხით.³⁹ ამდენად, ოჯახში ძალადობის საქმეებზე „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის რეკომენდაციის პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ხვედრითი წილი მაინც საკმაოდ მაღალია.⁴⁰ თუმცა, გასული წლებისაგან განსხვავებით, უდავოდ შეინიშნება გამკაცრებული მიდგომები და ნაკლები საშეღავათო პირობები, რასაც ისიც მოწმობს, რომ ამ ტიპის დანაშაულებზე, ფაქტობრივად, აღარ ფორმდება საპროცესო შეთანხმება (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება მხოლოდ 1% შემთხვევაში გაფორმდა).⁴¹

³⁴ იხ. D.S. Nagin, Deterrence: A Review of the Evidence by a Criminologist for Economists, J., Annual Review of Economists, No.5, USA, 2013, 83.

³⁵ Volodina v. Russia, 41261/17, ECtHR, 09.07.2019, §82.

³⁶ <<https://www.geostat.ge>> (უკანასკნელად ნანახია: 27/06/2023).

³⁷ <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020-weli-wigni-sisxli.pdf>> (უკანასკნელად ნანახია: 27/06/2023).

³⁸ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ („სტამბოლის კონვენცია“), 45-ე მუხლი.

³⁹ Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No.30 on Women in Prevention, Conflict and Post-Conflict Situations, 2013 (18.X), 10.

⁴⁰ შეად. Dr R. McPherson, Dr J. Gormley, Dr Rh. Wheate, The Sentencing of Offences involving Domestic Abuse in Scotland, 2022, 16.

⁴¹ თ. ბოჭორიშვილი/ფ. ჩაფიძე, სისხლის სამართლის პროცესების ოთხწლიანი მონიტორინგის შედეგები (ტენდენციები და არსებული გამოწვევები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, 96.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული დაუბრუნდება ისევ იმ გარემოს - ოჯახს, სადაც ყოველდღიური სოციალური ურთიერთობების ფონზე წარმოიშვა კონფლიქტი, რამაც დანაშაულის ჩადენა განაპირობა. ამდენად, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეფარდოს, რათა მან ბოლომდე გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, დაფიქრდეს და გამოიტანოს სათანადო დასკვნები.⁴² ზოგადად, დაუშვებელი იქნება, რომ ოჯახში ძალადობის ყველა შემთხვევაა ერთნაირად მივუდგეთ და ყველა სიტუაციაში თავისუფლების აღკვეთას მივანიჭოთ უპირატესობა. ყოველ ასეთ სისხლის სამართლის საქმეზე ზედმიწევნით უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებები და მსხვერპლისა და მოძალადის პიროვნული მონაცემების შესწავლის საფუძველზე უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა ძალადობის სამომავლოდ გაგრძელების რისკი როგორც მსხვერპლის, ისე ოჯახის სხვა წევრის მიმართ.⁴³ ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება მოძალადეს უკარგავს ოჯახურ ურთიერთობაში დაბრუნების შესაძლებლობას, რადგანაც იგი შეუძლებლად ჩათვლის მის პოლიციაში დამსმენთან ერთად მომავალში ცხოვრებას, შესაძლოა, გვემსჯელა ოჯახური ძალადობის მედიაციის შემოღებაზეც (იგულისხმება ნებაყოფლობითი მედიაცია),⁴⁴ მით უფრო მაშინ, როცა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ასპექტი ოჯახის კეთილდღეობის ხელშეწყობაა.⁴⁵ რასაკვირველია, მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა დამოკიდებული უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმეზე, მოძალადის მიერ პასუხისმგებლობის გაცნობიერების ხარისხსა და დანაშაულის განმეორების რისკზე.

ოჯახური ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების სირთულე მტკიცებულებათა სიმწირითაც არის განპირობებული, აღნიშნული მიზეზით დამდგარი გამამართლებელი განაჩენი კი, სამომავლოდ, ხელს უშლის დანაშაულის პრევენციას. 2020 წლის სტატისტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობაში (სსკ-ს 126¹-ე მუხლით) ბრალდებული 2901 პირიდან გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის საკმარისი მტკიცებულებები მხოლოდ 1287 ბრალდებულის მიმართ იქნა შეკრებული, დანარჩენ შემთხვევაში, ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ან გამამართლებელი განაჩენი გამოვიდა.⁴⁶ გასათვალისწინებელია, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა, მაგალითად, შოტლანდიაში, სქესობრივი დანაშაულების შემდეგ, ყველაზე მეტი გამამართლებელი განაჩენი სწორედ ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოდის.⁴⁷ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კლასიკური ქცევის მიხედვით, დაზარალებუ-

⁴² გ. ხატიაშვილი, საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018, 2019, 68.

⁴³ ე. გოგუაძე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 68.

⁴⁴ შენიშვნა: თუმცა, აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება განსაკუთრებით ეფექტური და წარმატებული ოჯახში ხანდაზმულთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევაში იქნება.

⁴⁵ ე. გოგუაძე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 68.

⁴⁶ <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020-weli-wigni-sisxli.pdf>> (უკანასკნელად ნანახია: 27/06/2023).

⁴⁷ Dr R. McPherson, Dr J. Gormley, Dr Rh. Wheate, The Sentencing of Offences involving Domestic Abuse in Scotland, 2022, 15.

ლი ძალადობის ფაქტის განხორციელებიდან გარკვეული დროის შემდეგ, როგორც წესი, ცვლის ჩვენებას ან უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, რადგანაც მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას) მოძალადის მიმართ ღმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს.⁴⁸

„სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ, რიგი დანაშაულების შემთხვევაში,⁴⁹ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა მსხვერპლის მიერ შეტანილი განაცხადის ან საჩივრის გამოტანის შემთხვევაშიც გააგრძელოს, რაც პროაქტიული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს მტკიცებულებათა შესაგროვებლად.⁵⁰ ამასთან, საქმეზე *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება განმცხადებლის სიცოცხლის უფლების დასაცავად, რაც გამოიხატა დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არარსებობით, მსხვერპლის მხრიდან არაერთი საჩივრის გამოთხოვის ფონზე.⁵¹ ყოველივე ზემოაღნიშნულთან მიმართებით, უდავოდ წინააღმდეგობრივია საერთო სასამართლოების პრაქტიკა, რადგანაც, დაზარალებულის გამოუცხადებლობის პირობებში, სსიპ 112-ში განხორციელებული ზარის აუდიოჩანაწერი, ექსპერტიზის დასკვნა, შემაკავებელი ორდერის ოქმი და იმ პოლიციელთა ჩვენებები, რომლებმაც დაზარალებული ნახეს ძალადობიდან მალევე და დეტალურად აღწერენ მის სავალალო ფიზიკურ ან/და ემოციურ მდგომარეობას, როგორც ირიბი ჩვენებები/მტკიცებულებები, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად არარელევანტურად მიიჩნევა.⁵² თუმცა, არის რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ზემოხსენებული მტკიცებულებები პირდაპირ მტკიცებულებად განიხილა სასამართლომ და, დაზარალებულის დუმილის მიუხედავად, გამამტყუნებელ განაჩენს დაუდო საფუძვლად.⁵³ შესაბამისად, საჭიროა, ამ კუთხით, არსებული სისტემური ხარვეზის გამოსწორება (ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასთან ერთად) და იმის გათვალისწინება, რომ 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლოს, მოწმის ან დაზარალებულის დაშინების შემთხვევაში, არ გამოურიცხავს ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა.⁵⁴ ოჯახური ძალადობის შემთხვევები კი სწორედ იმ კატეგორიას მიეკუთვნება, როცა დაზარალებული თავდაპირველი შეტყობინების შემდეგ, შიშის გამო შეიძლება იკავებდეს თავს სასამართლოში ჩვენების მიცემისაგან. შესაბამისად, მარ-

⁴⁸ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი N1/3820-18.

⁴⁹ შენიშვნა: ფიზიკური ძალადობა ქალთა და ოჯახის წევრთა მიმართ, სექსუალური ძალადობა, იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია.

⁵⁰ იხ. Explanatory Report to the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, J., Council of Europe Treaty Series, No.210, 2011, 47.

⁵¹ Opuz v. Turkey, 33401/02, ECHR, 09.09.2009, §143, 145-149.

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ნოემბრის განჩინება N831აპ-22.

⁵³ იხ., მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი N2კ-97აპ-20.

⁵⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/548, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-პუნქტი 36.

თებულია, გათვალისწინებულ იქნას ოჯახური დანაშაულის სპეციფიკური და სენსიტიური ბუნება და არ მოხდეს მტკიცებულებათა შეფასება სტანდარტული მიდგომით, მით უფრო მაშინ, როცა ქვეყნის თავისებურებიდან გამომდინარე ნატანჯი და ნაცემი დაზარალებულის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემა, შესაძლოა, სირცხვილად და გასაკიცხ ქმედებადაც კი იყოს მიჩნეული. მტკიცებულებებთან მიმართებით სიღრმისეული და სპეციფიკური მიდგომის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება ამ ტიპის დანაშაულის პრევენცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ* ხაზს უსვამს ეფექტურობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოს დაუსჯელი მიყენებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა, რაც აუცილებელია კანონის უზენაესობისადმი საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და ხელისუფლების მხრიდან ძალადობის აქტების შემწყნარებლობის თავიდან ასაცილებლად.⁵⁵

დანაშაულის გამოაშკარავებისა და სასჯელის რელევანტურობის პარალელურად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სწრაფ და ეფექტურ აღსრულებასაც. ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, ძირითადად, გამოიყენება პირობითი მსჯავრი და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის მიხედვით,⁵⁶ 2023 წლის მაისის თვის მონაცემებით, ქვეყანაში 23 316 არასაპატიმრო მსჯავრდებულის საქმე 164 პრობაციის ოფიცერზე არის გადანაწილებული, შესაბამისად, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე 142 შეადგენს, რაც ართულებს მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას. ამ მხრივ, საინტერესოა ევროპის ქვეყნებში არსებული ვითარება, მაგალითად, 2022 წლის მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში 13 800 პრობაციის ოფიცერი ირიცხებოდა,⁵⁷ რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, სხვაგვარად, არასაპატიმრო სასჯელი უბრალო ფორმალობად დარჩება და ვერანაირ პრევენციულ გავლენას ვერ მოახდენს.

4. ოჯახში ძალადობისათვის ხელის შეშლა

როდესაც არც ნორმატიული ბარიერები და არც სასჯელის დამაშინებელი ეფექტები ვერ ართმევენ მათზე დაკისრებულ ფუნქციას თავს იმ კუთხით, რომ გადაარწმუნონ ადამიანები, არ ჩაიდინონ დანაშაული, ხელშეშლა მაინც შესაძლებელია როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე ჩადენის შემდეგ, როცა ის უკვე სამართლებრივი გაგებით დასჯადია (იგულისხმება დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადია).⁵⁸

⁵⁵ Gaidukevich v. Georgia, 38650/18, ECtHR, 15.06.2023, §58.

⁵⁶ <<https://www.geostat.ge>> (უკანასკნელად ნანახია: 27/06/2023).

⁵⁷ <<https://www.statista.com/statistics/319255/number-of-probation-officers-in-the-uk/>> (უკანასკნელად ნანახია: 27/06/2023).

⁵⁸ ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია (ყოვლისმომცველი მიდგომა), რედ., გ. გიორგაძე/ მ. შალიკაშვილი. ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის გამოცემა. 2019, 54.

პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სავარაუდო მოძალადეს ძალის გამოყენების მუქარა მეუღლის მიმართ, სახლში მისვლამდე, ტელეფონის მეშვეობით განუხორციელებია, რაც, ბუნებრივია, იძლევა საფუძვლიან ვარაუდს ოჯახური დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, სატელეფონო ცხელი ხაზებისა და სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიული მუშაობა გადამწყვეტ როლს თამაშობს დანაშაულის პრევენციისთვის. 2020 წელს, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის - „საფარის“ - მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ სსიპ 112-ის სამსახურში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხოლოდ 44% რეკავს, დანარჩენ შემთხვევაში, შეუტყობინებლობის მიზეზად სახელდება: ნდობის ნაკლებობა (35%), არასაკმარისი ინფორმირებულობა (30%), ხანგრძლივი ლოდინის დრო (18%), ამასთან, მოქალაქეთა 42%-მა, რომელმაც განახორციელა ზარი, განაცხადა, რომ პოლიციას მისასვლელად დასჭირდა 10-15 წუთი, ხოლო 58%-მა უფრო მეტი დრო დაასახელა.⁵⁹ მაშასადამე, ამ კუთხით, მნიშვნელოვანია შესაბამისი ორგანოების მხრიდან ოჯახური ძალადობის შემთხვევებისათვის მეტი პრიორიტეტულობის მინიჭება და დროული რეაგირება, განსაკუთრებით, 18:00-06:00 საათებში, ვინაიდან აშშ-ს დანაშაულის მსხვერპლთა ეროვნული კვლევის⁶⁰ თანახმად, ოჯახში ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა სწორედ დღე-ღამის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში ფიქსირდება.⁶¹

დანაშაულის ხელშეშლის მიზნით, მისასაღმებელია ის ფაქტიც, რომ სსიპ 112-ის სამსახურთან დაკავშირებისას, როდესაც მოქალაქეს საუბარი არ შეუძლია ან დარეკვით საფრთხე ექმნება, შესაძლებელია SOS - ჩუმი განგაშისა და ჩათის ფუნქციების გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის დროს, რადგანაც SOS ღილაკზე დაჭერით ოპერატორთან მოქალაქის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი GPS კოორდინატები იგზავნება, დაფიქსირებულ ადგილზე კი პოლიცია ცხადდება.⁶² ასევე, საინტერესოა გაერთიანებულ სამეფოში არსებული პრევენციული მექანიზმი. თუკი მოქალაქეს საფრთხე ემუქრება და ტელეფონზე საუბარი არ შეუძლია, უნდა დარეკონ 999-ზე, მოუსმინონ ოპერატორის კითხვებს და უპასუხონ დახველებით ან ტელეფონზე თითის დაჭერით.⁶³

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ოჯახში ძალადობის სახეებს შორის ყველაზე გავრცელებულია ფსიქოლოგიური ძალადობა.⁶⁴ სწორედ ფსიქოლოგიური ძალადობის სახეს წარმოადგენს ადევნება ოჯახის წევრის მიმართ. იგი პირის მიმართ მრავალჯერადად განხორციელებულ არასასურველ კომუნიკაციაში ან თვალთვალში გამოიხატება, რაც

⁵⁹ <<https://georgia.un.org/en/123731-only-half-domestic-violence-victims-call-police-help-study-says>> (უკანასკნელად ნანახია: 29/06/2023).

⁶⁰ National Crime Victimization Survey (NCVS).

⁶¹ A. R. Klein, Practical Implications of Current Domestic Violence Research: For Law Enforcement, Prosecutors and Judges, Special Report, 2007, 2.

⁶² <<https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/new-domestic-violence-features-added-to-112-mobile-app>> (უკანასკნელად ნანახია: 29/06/2023).

⁶³ <<https://www.gov.uk/guidance/domestic-abuse-how-to-get-help>> (უკანასკნელად ნანახია: 02/07/2023).

⁶⁴ 2022 წლის მონაცემების მიხედვით, ოჯახში ძალადობის ფორმებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებელი 75%-ს შეადგენს. იხ. <<https://info.police.ge/uploads/63d8e6f9f210a.pdf>> (უკანასკნელად ნანახია: 07/05/2023).

მსხვერპლს ცხოვრების წესის შეცვლას აიძულებს და მორალურ ტანჯვას⁶⁵ აყენებს. ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ადევნების კრიმინალიზება, 2017 წელს, „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირების შემდგომ მოხდა. „სტალკინგი“ თავდაპირველად ცნობილი ადამიანების ადევნებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა ძალიან მალე იგი ოჯახში ძალადობის ფორმად იქნა აღიარებული, ვინაიდან, ძირითადად, ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის მხრიდან ხორციელდება და, შესაძლოა, ფიზიკური ძალადობის უკიდურესი ფორმით დასრულდეს.⁶⁶ მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ფემიციდის მსხვერპლთა 70%-ზე მეტი პარტნიორის მხრიდან ადევნების მსხვერპლი იყო, ხოლო 50%-ზე მეტს, ფემიციდის შემთხვევამდე, ადევნების გამო, პოლიციისათვის ჰქონდა მიმართული.⁶⁷ სამწუხაროდ, ხშირად ადევნება სერიოზულად არ აღიქმება, მეტიც, „სიყვარულის მოტივით“ იხსნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული დანაშაულის „ჩრდილიდან გამოყვანა“, რათა არ გამართლდეს იგი სხვადასხვა სოციალური ნორმით და სამართალდამცავი უწყებების მხრიდან გატარდეს მყისიერი და ადეკვატური ღონისძიებები მოსალოდნელი მძიმე ფიზიკური ძალადობის ხელშესაშლელად.

5. ოჯახში მოძალადისათვის შესაძლებლობის წართმევა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ* განმარტავს: „ძალადობის თანმიმდევრული ეპიზოდების განმეორება პირად ურთიერთობებში ან „დახურულ კარს მიღმა“ წარმოადგენს ოჯახში ძალადობის კონკრეტულ კონტექსტსა და დინამიკას. ოჯახში ძალადობა შეიძლება გაგებულ იყოს, როგორც უწყვეტი დანაშაულის კონკრეტული ფორმა, რომელიც ხასიათდება ქმედების განგრძობადობით, რომელშიც თითოეული შემთხვევა ქმნის უფრო ფართო ერთობლიობას“.⁶⁸ შესაბამისად, პრევენციული მექანიზმი, რაც შესაძლებლობის წართმევას ახლავს თან, ამ კონტექსტში, არის ოჯახში მოძალადისათვის იმის უნარის შემცირება ან წართმევა, რომ მან ახალი დანაშაულის ჩადენა მოახერხოს, აღნიშნული კი ნეიტრალიზაციის ფორმას წარმოადგენს.⁶⁹

შესაძლებლობის წართმევაზე საუბრისას, ყველაზე მარტივი და დროული საშუალება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, არის საშიში დამნაშავეებისათვის თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმევათ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა (სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია).

⁶⁵ შენიშვნა: ცნობილი ინგლისური ქეისის მიხედვით, ფაულ ფლეილი საკუთარ მეუღლეს მისი ყოფილი შეყვარებულის ყალბი „Facebook“ ანგარიშით აყენებდა შეურაცხყოფას, რის გამოც მსხვერპლმა თვითმკვლელობა სცადა.

⁶⁶ იბ. A. W. Burgers et al, *Stalking Behaviors within Domestic Violence*, J., *Journal of Family Violence*, No.12 (4), 1977, 389.

⁶⁷ <<https://www.dvs-or.org/stalking-statistics/>> (უკანასკნელად ნანახია: 29/06/2023).

⁶⁸ *Gaidukevich v. Georgia*, 38650/18, ECtHR, 15.06.2023, §67.

⁶⁹ ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია (ყოვლისმომცველი მიდგომა), რედ., გ. გიორგაძე/მ. შალიკაშვილი. ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის გამოცემა. 2019, 90.

მაკკენზის მიერ ამ სფეროში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ შესაძლებლობის წართმევის ღონისძიებები დანაშაულის პრევენციას ახდენს, რადგანაც, ვინც ციხეშია, იგი მოკლებულია ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.⁷⁰ სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე დომინანტურ ადგილს, ალკვითის ღონისძიებებს შორის, სწორედ, პატიმრობა იკავებს, მას მოყვება გირაო და სხვა უფრო მსუბუქი ალკვითის ღონისძიებები, რაც განპირობებულია იმით, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებს ახასიათებს გაგრძელების, აგრეთვე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში გადაზრდის ძალზედ მაღალი რისკები.⁷¹

ოჯახში ძალადობის ალკვითის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ, გახლავთ შემაკავებელი ორდერი. შემაკავებელი ორდერი, როგორც წესი, მოძალადეს უკრძალავს მსხვერპლის სახლთან, სამუშაო ადგილთან მიახლოებას ან სხვა ნებისმიერი სახის კონტაქტს. ამასთან, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს მოძალადის მიმართ დროებითი ღონისძიების სახით, შემაკავებელ ორდერთან ერთად, შეუძლია ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება, არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადისა, თუკი არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე.⁷² აშშ-ში, კენტუკის შტატში, ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ იმ პირთა ნახევარს, რომლის მიმართაც გამოიცა შემაკავებელი ორდერი, მისი გამოცემიდან შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში არანაირი ძალადობა აღარ განუცდია, მეორე ნახევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ხარისხი კი საგრძნობლად შემცირებული იყო, ორდერის გამოცემამდე არსებულ პერიოდთან შედარებით.⁷³

იმისათვის, რომ შესაძლებლობის წართმევის მექანიზმებმა დანაშაულის პრევენციის როლი შეასრულოს, აუცილებელია, ამ კუთხით, არსებული სისტემური ხარვეზების გამოსწორება. *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ* საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების დარღვევა დაადგინა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისათვის ცნობილი იყო მსხვერპლის მიმართ არსებული რისკები, არ მომხდარა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რადგანაც, მათი განმარტებით, სახეზე იყო „უმნიშვნელო“ „ოჯახური დავა“, რაც, საბოლოოდ, ფემიციდით დასრულდა.⁷⁴ ამასთან, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი რეაგირების მექანიზმების დროული გამოყენების პარალელურად, მნიშვნელოვანია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაც ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რადგანაც დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ტენდენცია მიუთითებს, რომ ძალადობის მსხვერპლს გარკვეული დროის შემდეგ უვითარდება ე.წ. „მძევლის სინდრომი“, კერძოდ, დაზარალებული სოლი-

⁷⁰ იქვე, 93.

⁷¹ ე. გოგუაძე, ალკვითის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 68.

⁷² „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკვითის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის 1-ელი და მე-7 პუნქტები.

⁷³ იხ. N. Hawkins, Perspective on Civil Protective Orders in Domestic Violence Cases: The Rural and Urban Divide, J., NIJ Journal/Issue, No.266, 4.

⁷⁴ Tkheldze v. Georgia, 33056/17, ECtHR, 08.07.2021, §9, 60.

დარობას გამოხატავს მოძალადის მიმართ, სწამს, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევას, აჯილდოებს მას „კარგი“ საქციელისათვის და სჯის „ცუდი“ საქციელისათვის.⁷⁵ საბოლოოდ, გამოდის გამამართლებელი განაჩენი, რასაც დანაშაულის განმეორებით ჩადენა მოსდევს.

შესაძლებლობის წართმევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან, მოხდეს იმ პირთა წახალისებაც, რომელთაც გააჩნიათ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ან მოსალოდნელია ძალადობის აქტის განმეორება, რათა მიმართონ კომპეტენტურ ორგანოებს (სამართალდამცავი ორგანოები, ბავშვთა დაცვის სამსახური ან სხვა სოციალური სამსახურები). შესაბამისად, მეგობრებს, მეზობლებს, ოჯახის წევრებს, მასწავლებლებს ან საზოგადოების სხვა წევრებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ იმ „სიჩუმის“ დარღვევაში, რომელიც ოჯახურ ძალადობას სდევს თან.⁷⁶ ჩიკაგოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ 26%-ს შეადგენს მესამე მხარის მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მაჩვენებელი, დანარჩენ შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლი მრავალჯერ განცდილი ვიქტიმიზაციის შემდეგ უკავშირდება სამართალდამცავ ორგანოს.⁷⁷ ტეხასში ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 68% შემაკავებელი ორდერის გამოცემამდე ორი წლის განმავლობაში სისტემატური ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა.⁷⁸ აღნიშნული ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახში ძალადობა არ არის ოჯახის „შიდა საქმე“ და საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა აიღოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და წვლილი შეიტანოს დანაშაულის პრევენციის პროცესში.

6. დაუცველი ჯგუფების დაცვა

მაშინ, როდესაც პრევენციული საშუალებების უმეტესობა ცდილობს პირდაპირი გავლენა მოახდინოს ოჯახში მოძალადეებზე ან სხვა დამნაშავეებზე, სიტუაციური პრევენციის საშუალებები მხოლოდ არაპირდაპირ გავლენას ახდენს მოქმედ პირებზე და მიმართულია იმ სამიზნეების იდენტიფიცირებისკენ და დაცვაზე, რომლებიც განსაკუთრებით „მიმზიდველი“ დამნაშავისათვის.⁷⁹ ოჯახში ძალადობის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს კვლევამ აჩვენა, რომ მსხვერპლის როლში, ხშირ შემთხვევაში, გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემ-

⁷⁵ ლ. მეტრეველი, ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 62.

⁷⁶ ib. Explanatory Report to the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, J., Council of Europe Treaty Series, No.210, USA, 2011, 27.

⁷⁷ A. R. Klein, Practical Implications of Current Domestic Violence Research: For Law Enforcement, Prosecutors and Judges, Special Report, 2007, 8.

⁷⁸ A. R. Klein, Practical Implications of Current Domestic Violence Research: For Law Enforcement, Prosecutors and Judges, Special Report, 2007, 6.

⁷⁹ ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია (ყოვლისმომცველი მიდგომა), რედ., გ. გიორგაძე/მ. შალიკაშვილი. ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის გამოცემა. 2019, 58-59.

დგომში - შშმ) პირები და მოხუცები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობას.⁸⁰

ქალების მოწყვლადი ჯგუფისთვის მიკუთვნება შეიძლება აიხსნას ე.წ. „მსხვერპლის სინდრომით“. ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი და გენდერული სტერეოტიპები მათ უვითარებთ სიტუაციის შეცვლისადმი საკუთარი შესაძლებლობების უარყოფით აღქმას, რის გამოც ადამიანი უმწეო, პასიური ხდება. 2015 წელს, ქალთა მსოფლიო ბანკინგის მიერ, კოლუმბიაში ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ქალს, რომელსაც საკმარისი ფინანსური გარანტიები გააჩნია, შეუძლია გაზარდოს საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხი და, საბოლოოდ, ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს.⁸¹ წარმატებული და რეალიზებული ქალი ნაკლებად შეიძლება გახდეს მოძალადე პარტნიორის სამიზნე. გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისა და გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია ქალებმა დაიკავონ პოლიტიკური თანამდებობები, გაიზარდოს მათი ხვედრითი წილი ბიზნესსა და სამართალდამცავ ორგანოებში. ამ კუთხით, დადებითად უნდა შეფასდეს „საარჩევნო კოდექსში“ შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, საპარლამენტო არჩევნებისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს ქალი.⁸² თუმცა, ფემინისტური და სოციოლოგიური თეორიები ხშირად აკრიტიკებენ ოჯახში ძალადობის პრევენციის მოცემულ მიდგომას და აცხადებენ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, მამაკაცის ავტორიტეტის წინააღმდეგ წასვლამ და სოციალური ტაბუების დარღვევამ, შესაძლოა, ძალადობის უფრო დიდი რისკის წინაშე დააყენოს ისინი.⁸³

2020 წელს, COVID-19 პანდემიამდე, CSEW⁸⁴-ის მონაცემების მიხედვით, 60-დან 74 წლამდე ასაკის, დაახლოებით, 180 000 ქალი და 98 000 მამაკაცი გახდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ინგლისსა და უელსში 2018/19 წლებში. მოხუცების ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის მსხვერპლად გახდომის რისკს ზრდის მათი შეზღუდული ფიზიკური ან/და მენტალური უნარები, აგრეთვე, ციფრულ და სხვა სერვისებთან წვდომის ნაკლებობა.⁸⁵ სიტუაციური პრევენციის თვალსაზრისით, მისასალმებელია ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ ავსტრალიის სოციალური პროექტი „ხანდაზმულთა მეგობრული თემები“ (EFC), რომლის ფარგლებშიც, ხანდაზმულებს ეხმარებიან, მიიღონ სოციალური მხარდაჭერა თავიანთ თემში. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ აღნიშნულმა შეამცირა მოხუცთა სოციალური იზოლაცია და გაზარდა მათი ცხოვრე-

⁸⁰ ნ. ჯუღელი/ე. ღვინჯილია, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, მთავარი რედ., მ. კვაჭაძე/დ. მელაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო (კვლევისა და ანალიზის ცენტრი), 2017, 36.

⁸¹ <<https://www.womensworldbanking.org/insights/economic-empowerment-financial-inclusion-and-intimate-partner-violence/>> (უკანასკნელად ნანახია: 01/07/2023).

⁸² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 203-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁸³ L. L. Heise, What Works to Prevent Partner Violence, An Evidence Overview, 2011, 57-58.

⁸⁴ Crime Survey for England and Wales.

⁸⁵ C. Abrahams, No Age Limit: The Blind Spot of Older Victims and Survivors in the Domestic Abuse Bill, Age UK, 2020, 3-4.

ბის ხარისხი, რაც ეხმარებათ გამოწვევებთან გამკლავებასა და ძალადობის მსხვერპლად გახდომის თავიდან აცილებაში.⁸⁶

მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან შშმ პირებიც. შშმ სტატუსმა, შესაძლოა, პირი „დაიცვას“ მოვალეობის შესრულებისაგან, თუმცა ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობისაგან იშვიათად იცავთ. მზრუნველის გაღიზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს შშმ პირის განსაკუთრებული მოვლისა და ზრუნვის საჭიროება, ამასთან, ოჯახის წევრმა საკუთარი უიღბლობა და იმედგაცრუებაც შეიძლება მათზე გადაიტანოს. შშმ პირის დაცვის ყველაზე კარგი საშუალება დამოუკიდებელი ცხოვრების სერვისების შეთავაზებაა, რაც გამოიხატება განათლებასა და დასაქმებაში მათი ჩაბმით, ადაპტირებული და განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე, სათანადოდ ანაზღაურებადი, ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაოთი უზრუნველყოფით.⁸⁷ აგრეთვე, საინტერესოა აშშ-სა და ავსტრალიაში გავრცელებული ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც, ინტელექტუალური დარღვევის მქონე ქალებს როლური თამაშებითა და ინტერაქციული აქტივობებით ასწავლიან, როგორ ამოიცნონ სახიფათო სიტუაციები, როგორ თქვან უარი, როგორ გაუწიონ წინააღმდეგობა ან როგორ მოახდინონ რეაგირება ოჯახში ძალადობის ფაქტზე.⁸⁸

ბავშვები ოჯახის წევრის მხრიდან როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ძალადობის მსხვერპლად გახდომის მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვინაიდან კონფლიქტური სიტუაციები იწვევს არასრულწლოვანთა ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას. სიტუაციური პრევენციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სკოლის ჩართულობა. 2016 წელს *ფოქსმა* და *სხვებმა* გაერთიანებული სამეფოს სკოლებში განახორციელეს ოჯახში ძალადობის პრევენციის პროგრამა, რომელშიც სულ 1203 მოსწავლე იყო ჩართული. პრე- და პოსტ-ტესტის პასუხების სტატისტიკური გაანალიზების საფუძველზე, დასკვნამ აჩვენა, რომ ბიჭები და გოგონები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ინტერვენციის პროგრამაში, ნაკლები მიმდებლობით გამოირჩეოდნენ ოჯახში ძალადობის მიმართ და მეტად ეძებდნენ დახმარების გზებს.⁸⁹ აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფის დაცვის მიზნით, არსებითია სოციალური მუშაკის როლიც. სოციალური მუშაკი ვალდებულია, „ბავშვის ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან დაცვის მიზნით მიიღოს სათანადო ზომები“.⁹⁰ თუმცა, სამწუხარო ფაქტია ის, რომ 2018 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 100 ათას მოსახლეს 7 სოციალური მუშაკი ემსახურება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნების პრაქტიკას.⁹¹

⁸⁶ D. Bagshaw, F. Wendt, L. Zannettino, Preventing the Abuse of Older People by their Family Members, Stakeholder Paper 4, 2009, 10.

⁸⁷ იქვე, 15-16.

⁸⁸ იქვე, 16.

⁸⁹ <<https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2018.02094/full>> (უკანასკნელად ნანახია: 01/07/2023).

⁹⁰ საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁹¹ იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2019, 52.

7. ოჯახში ძალადობის საზიანო შედეგების შემცირება

სპონტანური აბორტი, თავბრუსხვევა, წონაში კლება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით დაინფიცირება, ეს არასრული ჩამონათვალია იმ შედეგებისა, რაც, შესაძლოა, ოჯახში სისტემატურ ფიზიკურ ძალადობას ახლდეს თან. ოჯახში ძალადობა მძიმედ აისახება მსხვერპლის მენტალურ ჯანმრთელობაზეც, კერძოდ, იწვევს დეპრესიას, შფოთვას, დაბალ თვითშეფასებას, ობსესიურ-კომპულსურ აშლილობას, პოსტტრავმულ შფოთვით აშლილობასა და სხვა.⁹² პრევენციული მექანიზმი კი მოძალადის მიერ ჩადენილი დანაშაულის უარყოფითი შედეგების შემცირებას მოიცავს.

ზიანის შემცირების ყველაზე პირდაპირი საშუალებაა მსხვერპლის დახმარება მეორეული ვიქტიმირების თავიდან აცილებაში. მეორეული ვიქტიმირების საფრთხე შეიქმნება, თუკი სათანადოდ ვერ მოხდება სახელმწიფო უწყებებისა და ინდივიდების ჩართულობა და ადექვატური რეაგირება მსხვერპლის მიმართ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის დაკითხვისას. დაზარალებულის პირველივე დაკითხვა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ამომწურავი, ხოლო დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს მისი მეორეული ვიქტიმირების საფრთხეს. სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსასამართლემ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზეწოლისაგან,⁹³ რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.⁹⁴ ამიტომაც, „სტამბოლის კონვენცია“ ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს, რომ მოახდინონ იმ სპეციალისტების პროფესიული მომზადება, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ძალადობის მსხვერპლებთან. მართალია, 2018 წლიდან ჩვენს ქვეყანაში განისაზღვრა პროკურატურის გამომძიებელთა და პროკურორთა სპეციალიზაციის წესი სსკ-ს 126¹ (ოჯახში ძალადობა) და 11¹ (ოჯახური დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, მაგრამ მისასალმებელი იქნება იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული სასამართლოებია შექმნილი (აშშ, კანადა, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი და ა.შ.). სპეციალიზებული სასამართლოები უზრუნველყოფენ პროცესის დაჩქარებასა და რესურსების მიწოდებას მსხვერპლის სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (მაგ., ამ ტიპის სასამართლოები ესპანეთში

⁹² იხ. Causes and Effects of Domestic Violence: A Conceptual Model on the Performance at Work, J., International Journal for Studies on Children, Women, Elderly and Disabled, Vol.4, (June), ISSN 0128-309X, Malaysia, 2018, 201.

⁹³ შენიშვნა: ოჯახში ძალადობის საქმეებზე მისასალმებელი იქნება, კანონმდებლობით დაშვებული იყოს: ა) სრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვისას ბრალდებულის დროებით სასამართლო დარბაზიდან გაყვანა, ბ) ჩვენების მრავალჯერ მიცემის თავიდან აცილების მიზნით დაზარალებულის ჩვენების ფირზე ჩაწერა და გ) სხვა სასამართლო დარბაზიდან აუდიო-ვიდეო აპარატის გამოყენებით დაზარალებულის დისტანციური დაკითხვა.

⁹⁴ ნ. ჯულელი/ე. ღვინჯილია, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, მთავარი რედ., მ. კვაჭაძე/ლ. მელაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო (კვლევისა და ანალიზის ცენტრი), 2017, 68.

აღჭურვილია სპეციალური ფარდებით, რაც ერთგვარი გამყოფის როლს თამაშობს მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემისას), ასევე, ასეთ სასამართლოებში არიან სპეციალიზებული ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები დაზარალებულის მხარდასაჭერად და სასამართლო პროცესის თითოეული ეტაპის წინ მისი ინფორმირებისათვის.⁹⁵ ყოველივე აღნიშნული, მეორეულ ვიქტიმირებასთან ერთად, მესამეული ვიქტიმირებისგანაც⁹⁶ დაცავს მსხვერპლს.

ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული საზიანო შედეგების შემცირება შეუძლია აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებებსაც. კვლევების მიხედვით, მედიაციის პროცესში ჩართული 10-დან 8 პირი (84%) კმაყოფილია შედეგით და მიაჩნია, რომ ფორმალური მართლმსაჯულების სისტემასთან შედარებით, აღდგენითი მართლმსაჯულების სისტემა უფრო სამართლიანია. ამასთან, მედიაციის პროცესში მსხვერპლს აქვს დამნაშავესთან ღია დიალოგის შესაძლებლობა, მოძალადე აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, შესაბამისად, დაზარალებულს აღარ უწევს მსხვერპლად გახდომის ფაქტის მტკიცება, რაც მას ათავისუფლებს ფსიქოლოგიური ტრავმისა და პოსტტრავმული სტრესისაგან.⁹⁷ ტრადიციული მართლმსაჯულების პირობებში კი, აქცენტი ქმედების ჩამდენზე კეთდება, დაზარალებული მხოლოდ და მხოლოდ სტატუსს იღებს, ხდება ერთგვარი „ნივთი“, რომლის წინააღმდეგაც დანაშაული ჩაიდინეს და ახლა, როგორც მოწმე, მნიშვნელოვანია მისი გვერდით ყოფნა.

„სტამბოლის კონვენციის“ მე-20 მუხლის მიხედვით, მხარეები ვალდებული არიან მსხვერპლს დაეხმარონ ძალადობის აქტების შემდეგ ძალების აღდგენაში, ამისათვის კი უნდა უზრუნველყონ იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციებით, ფინანსური დახმარებით, თავშესაფრებით, განათლებით, სამუშაოს ძიებაში დახმარებით. თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობა მსხვერპლს შეუძლია 4 თვემდე ვადით და მოიცავს მსხვერპლის დახმარებას საცხოვრებელი ადგილით, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურებით და ა.შ.⁹⁸ მნიშვნელოვანია კრიზისული მართვის ცენტრების როლიც. მართალია, კრიზისული მართვის ცენტრი, თავშესაფრისაგან განსხვავებით, სავარაუდო მსხვერპლს საცხოვრებელი ადგილით არ უზრუნველყოფს, თუმცა უფასოდ სთავაზობს ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციასა თუ დახმარებას, სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სამართლებრივ მომსახურებას. მისი უპირატესობა ისაა, რომ ცენტრის მომსახურებით სარგებლობა

⁹⁵ იხ. J. Garcia-Hombrados, M. Martinez-Matute, Special Courts and the Reporting of Intimate Partner Violence: Evidence from Spain, IZA DP, No.14936, Germany, 2021, 8.

⁹⁶ შენიშვნა: პიროვნების მესამეულ ვიქტიმირებას ადგილი აქვს, როდესაც დანაშაულის მსხვერპლს პირველი და მეორეული ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა, რომ დაცული იქნება დანაშაულისაგან როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან. იგი საკუთარ თავს გარშემო მყოფთა მსხვერპლად მიიჩნევს და მისი (რე)ვიქტიმიზაცია კიდევ არის მოსალოდნელი ახლო მომავალში.

⁹⁷ იხ. B. Burkemper, N. Balsam, Examining the Use of Restorative Justice Practices in Domestic Violence Cases, J., Sant Louis Univeristy Public Law Review, Vol. 27, No. 1, Article 7, USA, 2007, 125-127.

⁹⁸ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

ანონიმურადაც შეიძლება, სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეტყობინების გარეშე. სედლაკის⁹⁹ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, თავშესაფარში ცხოვრების ორი კვირიანი პერიოდის შემდეგ ქალები ნაკლებად დეპრესიულები იყვნენ და უფრო იმედიანად გრძნობდნენ თავს.¹⁰⁰ ადვოკატირებასთან დაკავშირებით, საინტერესოა სალივანისა¹⁰¹ და ბაიბის¹⁰² კვლევა. ისინი ორი წლის განმავლობაში, 6-თვიანი ინტერვალით, თვალყურს ადევნებდნენ ქალებს, რომლებმაც გაიარეს ადვოკატირების 10-კვირიანი პროგრამა. კვლევის შედეგის მიხედვით, ამ პროგრამაში ჩართული ქალების 24%-ს აღარ განუცდია ფიზიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან, ასევე, ისინი ცდილობდნენ, პოზიტიური ცვლილებები შეეტანათ თავიანთ ცხოვრებაში, შეუმცირდათ დეპრესიული სიმპტომები და ორიენტირებული იყვნენ სოციალური მხარდაჭერის მიღებაზე.¹⁰³

8. ოჯახში ძალადობიდან მიღებული სარგებლის შემცირება

როგორც წესი, ადამიანი, რომელიც ოჯახში ძალადობს, მიზნად ისახავს გარკვეული ტიპის სოციალური და ფსიქოლოგიური სარგებლის მიღებას. შესაბამისად, პრევენციული მექანიზმი მოიცავს ძალადობის შედეგად მიღებული სარგებლის შემცირებას იმდაგვარად, რომ დამნაშავისათვის მიმზიდველი აღარ იყოს ამ ქმედების ჩადენა.

ჯოან ბელკნაპი¹⁰⁴ ქალთა მიმართ ძალადობას ორ ძირითად მიზეზს უკავშირებს: 1. მოძალადე ისწრაფვის დაამყაროს და შეინარჩუნოს ძალაუფლება მსხვერპლზე და ჰყავდეს იგი კონტროლის ქვეშ ფიზიკური ძალის, მუქარისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის დამხარებით;¹⁰⁵ 2. მოძალადეს არავინ მოუწოდებს შეჩერებისაკენ. ოჯახში მოძალადეს შვილებისაგან ან მეუღლისაგან ესმის, რომ ძალადობრივი ქცევა მიუღებელია, სამაგიეროდ, საზოგადოებისაგან იღებს იმდაგვარ წამახალისებელ „მესიჯებს“, რომ იგი არის „ბატონი“ საკუთარი ოჯახის („He is the King of his Castle“) და თავად წყვეტს, როგორ მოექცევა საკუთარ მეუღლეს ან შვილებს.¹⁰⁶ ამდენად, პრევენციული საშუალება მოძალადისათვის სოციალური სარგებლის შემცირებაა. თუკი საზოგადო-

⁹⁹ ანდრეა ჯ. სედლაკი (1971) - სოციალური ფსიქოლოგი.

¹⁰⁰ იბ. L. Bennitt, S. Riger, P. Schewe, A. Howard, Sh. Wasco, Effectiveness of Hotline, Advocacy, Counseling and Shelter Services for Victims of Domestic Violence, J., Journal of International Violence, Vo.19, No.7, USA, 2004, 817-818.

¹⁰¹ კელი სალივანი - ფსიქოლოგი, დიუკის უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁰² დებორა ბაიბი - ფსიქოლოგი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁰³ იბ. L. Bennitt, S. Riger, P. Schewe, A. Howard, Sh. Wasco, Effectiveness of Hotline, Advocacy, Counseling and Shelter Services for Victims of Domestic Violence, J., Journal of International Violence, Vo.19, No.7, USA, 2004, 818.

¹⁰⁴ ჯოან ბელკნაპი - ამერიკელი კრიმინოლოგი, კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁰⁵ შენიშვნა: ოჯახური ძალადობის ინტერვენციის პროექტის ფარგლებში (დულუტი, მინესოტა) შექმნილი „ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალი“ კარგად წარმოაჩენს, თუ რა ტაქტიკას იყენებს მოძალადე კონტროლის მოსაპოვებლად. იბ. <<http://resiliencemi.org/wp-content/uploads/2020/05/domestic-violence-information-packet-scaled.jpg>> (უკანასკნელად ნანახია: 02/07/2023).

¹⁰⁶ B. Christensen, Domestic Violence, A study of men's violence in close relationship, 2018, 19.

ება და, მით უფრო, ცნობილი ადამიანები (მაგ., სპორტსმენები) რეგულარულად გააკეთებენ განცხადებებს ოჯახში ძალადობაზე და აღიარებენ მას, როგორც „სამარცხვინო“ ქმედებასა და მახინჯი „ტრადიციის“ გადმონაშთს, ეს დაუკარგავს მოძალადეს პატივმოყვარეობის განცდას, რომელსაც იგი იღებს ოჯახის წევრისა და მოქალაქეობრივი ვალდებულებებისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. აგრეთვე, შემაკავებელი ეფექტის მქონე იქნება ოჯახში მოძალადისათვის იმის გაცნობიერებაც, რომ ძალადობის შემთხვევაში, შესაძლოა, ჩამოერთვას მშობლის უფლებები.

კოლბერგი¹⁰⁷ ქალთა მიმართ ძალადობას უკავშირებს მამაკაცის ფსიქიკურ დაავადებებს, ალკოჰოლის მოხმარებას, დაბალ თვითშეფასებასა და პიროვნულ აშლილობებს. ეკსელიუსი¹⁰⁸, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ ჭრილში, მამაკაცს განიხილავს, როგორც სუსტ ინდივიდს, რომელიც სოციალური გარემოსაგან საფრთხის აღქმას ძალადობამდე მიჰყავს. არასაკმარისობის, უძლურებისა და სასოწარკვეთილების განცდა ამცირებს სოციალური ნორმებისადმი კონფორმულობას და ზრდის აგრესიას. მამასადავს, მამაკაცები არასრულფასოვნების კომპლექსის განცდას საკუთარი შეუმდგარობის სხვებზე გადაბრალებით ებრძვიან, რასაც მოსდევს აგრესია და ძალადობა ოჯახის წევრების მიმართ (ოჯახის წევრის ქცევა „განტევების ვაცად“).¹⁰⁹ პრევენციული თვალსაზრისით, მაკკლენმა¹¹⁰ შეიმუშავა პოზიტიური ცვლილებების ტრანსთეორეტიკული მოდელი, რომელიც ხუთი ეტაპისაგან შედგება და მიზნად ისახავს, მოძალადე უარყოფითად განაწყოს საკუთარი ქცევისადმი და დაუკარგოს მოტივაცია იმ „სარგებლისადმი“, რასაც იგი აგრესიული ქმედებებისგან იღებს.¹¹¹

9. ოჯახში მოძალადის რეაბილიტაცია

ოჯახში ძალადობა ორ სუბიექტს შორის - მოძალადისა და მსხვერპლის ძალადობრივი ურთიერთობაა. მსხვერპლის დაცვასა და რეაბილიტაციასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოძალადის რეაბილიტაციას, რათა მოძალადის ქცევის შეცვლისა და კორექციის გზით მოხდეს ოჯახის წევრის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.¹¹² „სტამბოლოს კონვენციის“ რატიფიცირებით, მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, „შეიმუშავონ ან მხარი დაუჭირონ ისეთ პროგრამებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის აქტების ჩამდენ პირებს დაეხმარება არაძალადობრივი ქცევის შესწავლაში პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, მომავალში ძალადობის პრევენციისა და ძალადობრივი ქცევის ფორმების შეცვლის მიზნით“.¹¹³ პროგრამები საუკ-

¹⁰⁷ ლოურენს კოლბერგი(1927-1987) - ამერიკელი ფსიქოლოგი.

¹⁰⁸ ლიზა ეკსელიუსი - ფსიქიატრი, უფსალის უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁰⁹ B. Christensen, Domestic Violence, A study of men's violence in close relationship, Malmö University, 2018, 18.

¹¹⁰ ფაულ დონალდ მაკკლენი (1913-2007) - ამერიკელი ფიზიკოსი და ნეირომეცნიერი.

¹¹¹ B. Christensen, Domestic Violence, A study of men's violence in close relationship, Malmö University, 2018, 20.

¹¹² ლ. მეტრეველი, ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, ჟურნ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 61.

ეთესო პრაქტიკას უნდა ეფუძნებოდეს და ახალისებდეს მოძალადეებს, პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთ ქცევაზე.

ოჯახში ძალადობრივი მსჯავრდებული პირები შემდეგი სახის პროგრამებში შეიძლება ჩაერთონ: 1. „ჯანსაღი ურთიერთობების პროგრამა“ (HRP) - აღნიშნული პროგრამა ხორციელდება გაერთიანებული სამეფოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი მამაკაცების მიმართ იმ უნარ-ჩვევების განსავითარებლად, რომლებიც არაძალადობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში დაეხმარება მათ. 2. „ნივთიერების ბოროტად გამოყენების პროგრამა“ (OSAP) - მასში ჩართული არიან ის დამნაშავეები, რომელთა მიერ განხორციელებული ძალადობა გამოიწვია ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებამ და უვითარებს მავნე დამოკიდებულებების შესამცირებლად საჭირო უნარ-ჩვევებს. 3. „ბრაზის მართვისა და კონტროლის პროგრამა“ (CALM) - დამნაშავეს ეხმარება იმ მიზეზების გამოაშკარავებაში, რაც მათ აგრესიას აპირობებს და ასწავლის ემოციების მართვას. 4. „იფიქრე, პირველ რიგში“ (TF) - მოცემული პროგრამა მსჯავრდებულს ეხმარება ინტერპერსონალური პრობლემის გადაჭრის უნარების გამომუშავებაში.¹¹⁴ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - „გრევიო“) რეკომენდაციით, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განიხილონ და მხედველობაში მიიღონ ოჯახში ძალადობაში მსჯავრდებულთა პროგრამებში სავალდებულო ჩართვისა და დასწრების შესაძლებლობა. ამასთან, „გრევიო“ განმარტავს, რომ პროგრამებში სავალდებულო მონაწილეობა არ უნდა იქნას განხილული, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, იძულებითმა ჩაბმამ არ უნდა მოახდინოს გავლენა სისხლისსამართლებრივ დევნაზე, პირის მსჯავრდებაზე ან სასჯელზე.¹¹⁵

ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებს შორის მალა უკვე დავასახეულე ეკონომიკური ფაქტორები და განათლების დაბალი დონე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული პროგრამები, აგრეთვე, მოიცავდეს საგანმანათლებლო და სამუშაო უნარ-ჩვევების შესაძენად რელევანტურ ტრენინგებსაც, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ მათ არ გაუჭირდეთ საზოგადოებაში რეინტეგრაცია და თავიდან აირიდონ ეტიკეტირების რისკი, ამასთან, ახალი სოციალური გარემო და ვალდებულებები შემაკავებელი ეფექტის მატარებელი იქნება ძალადობრივი დანაშაულის პრევენციის მიზნებისათვის.

დამნაშავის რეაბილიტაციის უმთავრესი მიზანი დანაშაულის რეციდივის მინიმუმამდე დაყვანაა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებაზე, კერძოდ, მედიაციაზე, რომელიც საკმაოდ დადებით გავლენას ახდენს ოჯახური ძალადობის რეციდივის შემცირებაზე. ჩრდილოეთ კაროლინაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მედიაციით დასრულებული საქმეების შემთხვევაში, ოჯახური ძალადობის განმეორებით ჩადენის მაჩვენებ-

¹¹³ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ („სტამბოლის კონვენცია“), მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

¹¹⁴ იხ. Glossary of Programmes, Domestic Violence Programmes in the UK, Ministry of Justice, 3-10.

¹¹⁵ C. Oddone, Setting up Treatment Programmes for Perpetrators of Domestic Violence and Violence against Women, Analysis of the Kosovo Legal Framework and Good Practice Report, Council of Europe, 2021, 23.

ლი იყო საკმაოდ მცირე (4%), მაშინ, როცა ოჯახურ დანაშაულზე ერთხელ უკვე მსჯავრდებულთა 35%-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა რეციდივს.¹¹⁶ მედიაციის უპირატესობა დამნაშავის რეაბილიტაციის პროცესში იმითაც აიხსნება, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე დაზარალებულის დუმილს ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან გამამართლებელი განაჩენი მოსდევს, შედეგად, მოძალადე არც სინანულს განიცდის და არც პასუხისმგებლობას გრძნობს ჩადენილი ქმედების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, აუცილებელია რეაბილიტირებული დამნაშავეების შემდგომი ზედამხედველობაც პროგრესის მონიტორინგისა და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაშიც მნიშვნელოვანია პრობაციისა და სოციალური სამსახურების აქტიური ჩართულობა. რეგულარულმა შემომწებამ და კონსულტაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს მათ გრძელვადიან რეინტეგრაციას.

დასკვნა

იმ პირობებში, როდესაც პრეტენზიას ვაცხადებთ განვითარებულ, ტოლერანტულ და სტერეოტიპებისაგან დაცლილ სამყაროში ცხოვრებაზე, სადაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მთავარ ღირებულებას წარმოადგენს, ოჯახში ძალადობის ერთი კონკრეტული ოჯახის პრობლემად მიჩნევა, უდავოდ, წინააღმდეგობრივი იქნება გლობალური მსოფლიოს ჰუმანურ სულისკვეთებასთან.

ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების დახვეწასთან ერთად მნიშვნელოვანია საკითხის მრავალი ასპექტით განხილვა და იმ მიზეზებსა და გარემოებებზე დროული რეაგირება, რომლებიც ხელს უშლის ოჯახის კეთილდღეობასა და ახალგაზრდა თაობის უსაფრთხო გარემოში აღზრდას.

რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლის ნულამდე დაყვანა, თუმცა სახელმწიფოსა და საზოგადოების კოორდინირებულ და აქტიურ მოქმედებას, მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფებისათვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭებასა თუ სათანადო მარეაბილიტირებელ ღონისძიებებს მოძალადისა და მსხვერპლის მიმართ, შეუძლია ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას ჩვენი ქვეყნისა თუ მსოფლიოს რთულ სოციალურ-სამართლებრივ გამონკვევად ქცეული პრობლემა.

¹¹⁶ nb. D. Bryant, L. Jabbar, D. Seigle, N. McGEORGE, Meditating Criminal Domestic Violence Cases: How Much Is Too Much Violence?, J., International Perspectives in Criminology, Vol.5, No.1, USA, August 2010, 51-53.

განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა

თამარ ჩინჩალაძე*

* ვაკე-
საბურთალოს
რაიონული
პროკურატურის
პროკურორი,
აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტის
დოქტორანტი.

შესავალი

შეიძლება ითქვას, რომ „პასუხისმგებლობის აუცდენლობის“ პრინციპი სისხლის სამართლის საფუძველია. დროის სხვადასხვა პერიოდში სასჯელის მუქარით არაერთი სახელმწიფო იცავდა მართლწესრიგს. „რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ამერიკის სისხლის სამართლის ფილოსოფია „დამსჯელი მართლმსაჯულების“ იდეას ავითარებს და მიზნად ისახავს, დამნაშავე პროპორციული სასჯელით დასაჯოს. „მან პასუხი უნდა აგოს და ეს არა მხოლოდ პრაგმატული და მატერიალური მიზნების გამო უნდა მოხდეს, არამედ იმისთვის, რომ შემდეგში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.“ თუმცა, დღეს უკვე ცალსახად ვაღიარებთ, რომ მხოლოდ „შიში არ შეიქმს სიყვარულს“.¹

სასჯელი სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი საჯარო-სამართლებრივი იძულების ღონისძიება² და სისხლის სამართლის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია, ისევე როგორც დანაშაული. ეს ორი ცნება ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელიც კი არის. სასჯელი პირზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს. სისხლის სამართალი სასჯელის გარეშე არ არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია დანაშაულის ცნება, მაგრამ სასჯელის ცნება განმარტების გარეშეა დარჩენილი.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღო-

¹ ი. ჩხეიძე, „აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N5(48)‘15, გვ. 108;

² ი. ვარძელაშვილი, სასჯელის სახელმწიფოს იძულების სხვა ღონისძიებებისგან განსხვავების შესახებ იხილეთ „სასჯელის მიზნები“, თბილისი 2016, გვ. 33-36;

ნისძიებას.³ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ყველა ქმედება ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას კანონდამრღვევისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით გაუქმებულია ზოგიერთი ქმედების დასჯადობა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კანონი ადგენს არა სასჯელის ცნებას, არამედ მხოლოდ სასჯელის მიზნებს, კერძოდ:

- სამართლიანობის აღდგენა;
- ახალი დანაშაულის თავიდან აცილება;
- დამნაშავის რესოციალიზაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელი სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი საჯარო-სამართლებრივი იძულების ღონისძიებაა, რომელსაც მისი სახელით, გამამტყუნებელი განაჩენით ნიშნავს სასამართლო შესაბამისი სანქციის ფარგლებში და აღასრულებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. სასჯელი იწვევს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვას და ნასამართლობას.

სასჯელის დანიშვნისას ყველაზე მნიშვნელოვანი პროპორციული ღონისძიების განსაზღვრაა. ერთის მხრივ პროპორციულობა საკმაოდ შეფასებითი კატეგორიაა. მოსამართლეს უმთავრესი ვალდებულება აქვს, რომ პირს დააკისროს სასჯელის ის სახე იმ ვადით, რომელიც დანაშაულის სიმძიმის, დამნაშავის ბრალის, მისი ჩადენის მოტივის და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხის და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების - ნასამართლობის (მათ შორის გაქარწყლებულ), კანონმორჩილების ხარისხის, ქცევის ისტორიის და მოვალეობათა დარღვევის ხარისხისა და ხასიათის, პირად/ეკონომიკური პირობების, ქმედების განხორციელების შემდეგ ყოფა-ქცევის, სასამართლო სხდომებზე კანონშესაბამისი ქცევის, ბრალის აღიარების, მტკიცებულებების უდავოდ მიჩნევის, დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას. აღნიშნული კი საკმაოდ პრობლემური საკითხია პრაქტიკაში.

მოსამართლეს ერთი მხრივ კანონი აძლევს ლავირების შესაძლებლობას რიგ დანაშაულებში ბრალდებულ პირს გამამტყუნებელი განაჩენით ალტერნატიული სასჯელებიდან განუსაზღვროს ერთი ან რამდენიმე მათგანი. რიგ შემთხვევებში კი დანაშაულის სიმძიმის და მისი საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით კანონი მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას ადგენს - ამ შემთხვევაშიც კანონი სთავაზობს სასჯელის მინიმალურ და მაქსიმალურ ვადებს, აძლევს სასჯელის ნაწი-

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი;

ლობრივ ან სრულად პირობითად ჩათვლის შესაძლებლობას. კანონი ითვალისწინებს გარკვეული ვადის გასვლის შემდგომ პირობით ვადამდე გათავისუფლების, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ან სხვა ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის, გარკვეული ვადის გასვლის შემდგომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების, ან სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების შესაძლებლობას.

სასჯელის დანიშვნისას, სასამართლო სხვა ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, ხელმძღვანელობს სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებით. დანიშნულისთვის გათვალისწინებული სასჯელი კი აუცილებლად უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან.

სამართლიანი სასჯელის დანიშვნა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. პრაქტიკაში პრობლემურია განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრა. მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შესწავლილ და გამოკვლეული იქნას, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის პრობლემური საკითხები, რასაც პრაქტიკაში აქვს ადგილი და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

ნაშრომის კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია როგორც საკანონმდებლო ნორმების და საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, ისე მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა.

1. განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის ზოგადი წესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში - სსსკ-ის) 259-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპზე მითითებას აკეთებს ასევე, სისხლის სამართლის კოდექსი (შემდგომში - სსკ-ის) 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სამართლიანი სასჯელის დანიშვნის და ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენების პრიორიტეტულად განხილვის ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Olsson v. Sweden* დაადგინა: „აუცილებლობის ცნება გულისხმობს, რომ შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას და განსაკუთრებით კი, პროპორციული უნდა იყოს დასახულ კანონიერ მიზანთან“. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს, კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის და სასამარ-

თლო პრაქტიკის თანახმად, მოსამართლე ბრალდებულისთვის სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი სასჯელის გამკაცრების შესახებ და განმარტა, რომ „ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მსჯავრდებულს შეუფარდეს საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლების სანქციით გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე - თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩაეთვალი პირობით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სასჯელის მოხდის ფორმას, რომელსაც თან სდევს გამოსაცდელი ვადა და რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მას ნამდვილად გააჩნია მსჯავრდებულზე ინდივიდუალური ზემოქმედებისა და კერძო პრევენციის ეფექტი, რადგან საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოსაცდელ ვადაში განმეორებითი განზრახი დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და სასჯელის საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით დანიშვნის საფუძველს. ამდენად, სასამართლო არ იზიარებს პროკურორის არგუმენტს, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, პირობითი მსჯავრის არაეფექტიანობის შესახებ. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ „განმეორებითი დანაშაულის ჩადენის აბსტრაქტულ საფრთხეებზე მითითება არ ქმნის უფრო მკაცრი სახისა და ზომის სასჯელის დანიშვნის საფუძველს.“⁴

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, კერძო ნაწილის მუხლის სანქციით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს სსკ-ის 59-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს. სსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით: „თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება.“

საქართველოს სსკ-ის 53¹ მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ წესს სასჯელის დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია კონკრეტული ნიშნების და გარემოებების არსებობისას, თუ სახეზე არ არის ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება, ბრალდებულს დაუძიმოს სასჯელი სსკ-ით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობის დამძიმება გულისხმობს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას ნორმის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური ზღვრის სულ მცირე 1 წლით გაზრდას. აღნიშნული დანაწესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც სახეზეა სსკ-

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 მარტის №65აპ.-22 განჩინება, პუნქტი 5.5.

ის 55-ე და 63-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ან ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები არის ქმედების მაკვალიფიცირებელი ნიშანი.⁵

პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე შეფასების მიღმა ტოვებს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას განაჩენთა ერთობლიობისას და არ ნიშნავს სასჯელს ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სასჯელს ხდის უსამართლოს.

დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებული შეცდომები ნაკლებადაა სასამართლოს გადაწყვეტილებებში, მაგრამ პრობლემურია განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესი.

2. რეციდივი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის დროს

საერთო სასამართლოების მიერ მიღებულია არაერთი გადაწყვეტილება, რომელშიც მოსამართლე მსჯელობს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნაზე, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება რეციდივის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების არსებობა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 17 აგვისტოს №1/68-18 განაჩენით ბრალდებული ვ. ჩ. დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 177-2 „ბ“-3 „ბ“; 177-2 „ა“, „ბ“, -3 „ბ“; 177-2 „ა“, „ბ“-3 „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა, ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით. სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე უფრო მკაცრმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობლიობით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 აგვისტოს განაჩენით სსკ-ის 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული პირობითი მსჯავრი (2 წლით თავისუფლების აღკვეთა) ასევე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 06 თებერვლის განაჩენით სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით შეფარდებული პირობითი მსჯავრი (1 წლით თავისუფლების აღკვეთა). სსკ-ის 59-ე მუხლის

⁵ დამატებით იხ. ნ. გელოვანი, „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში“, ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“ N2(74)2022, გვ. 114-131;

მეხუთე ნაწილის საფუძველზე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის მიხედვით დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმალურ ვადას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლში, ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე. აგრეთვე, დანაშაულის რეციდივის დროს სსსკ-ის 55-ე და 63-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი. ამასთანავე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ 58-ე მუხლით სასჯელის დანიშვნა უფლებას არ აძლევს მოსამართლეს დანიშნოს ნორმის სანქციის მაქსიმალურ ზღვარზე მეტი.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით მსჯავრდებულის ქმედება ქურდობის ნაწილში დაკვალიფიცირებულია არაერთგზის დანაშაულად, მაგრამ მოსამართლემ შეფასების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული ნასამართლევი იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის (სსკ-ის 187, 344-ე მუხლები). ამ შემთხვევაში მოსამართლეს თითოეული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის სახის და ზომის განსაზღვრისას უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 58-ე მუხლით და მსჯავრდებულისთვის სასჯელად არა 4, არამედ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა დაენიშნა.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია რეციდივის გაუთვალისწინებლობის შემთხვევები, როგორც განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას, ასევე, ერთი დანაშაულებრივი ქმედებისთვის სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრისას.

3. განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას შთანთქმის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას შთანთქმის პრინციპთან დაკავშირებით პრობლემურია შემთხვევა, როდესაც წინა განაჩენით სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ახალი განაჩენით ინიშნება ჯარიმა. ამ შემთხვევაში კანონი არ აკეთებს დათქმას რომ მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქმოს ნაკლებად მკაცრი. აქ ამბობს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქმოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.⁶ პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც სასამართლომ იმსჯელა თუ რამდენად შეეძ-

⁶ დეტალურად ი.ხ., ი. ვარძელაშვილი, „სასჯელის მიზნები“, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 164-165;

ლო საბოლოო სასჯელის სახით განსაზღვრულ ჯარიმის დროს გამოყენებულიყო შთანთქმის პრინციპი წინა დანაშაულით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩათვლილი იყო პირობით.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ 2022 წლის 11 მარტის საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებით №1/95-2022 საქმეზე არ დააკმაყოფილა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა უსამართლო და უკანონო სასჯელის არსებობის მოტივით. მხარეები ითხოვდნენ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად 3100 ლარის ოდენობით ჯარიმის განსაზღვრას. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელის მიერ წინა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 ივნისის განაჩენით დანიშნული და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით შინაპატიმრობით შეცვლილი 2 წლის, 8 თვის და 17 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთის შთანთქმას და ი.ო-თვის სასჯელის სახედ და ზომად 3100 ლარის ოდენობით ჯარიმის განსაზღვრას. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას კონკრეტულად არის გათვალისწინებული უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრი სასჯელის, ან თანაბარი სასჯელებიდან ერთის მიერ მეორის შთანთქმის საკითხი. აღნიშნული ნორმისგან განსხვავებით, 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი არ შეიცავს პირდაპირ მსგავს მითითებას განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით, „თუმცა აღნიშნული ნაწილიც ითვალისწინებს სასჯელის შთანთქმის პრინციპს (ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელის მიერ წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის შთანთქმას), ხოლო ნორმის ლოგიკური და გრამატიკული (ლექსიკური) განმარტებების და სისხლის სამართალში მოქმედი შთანთქმის პრინციპის არსის საფუძველზე, სასამართლოს აზრით, ამ ნაწილშიც გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრი სასჯელის (ან თანაბარი სასჯელებიდან ერთის მიერ მეორის) შთანთქმის შესაძლებლობა. ამასთანავე, 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი გაგება, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს, რამდენადაც დანაშაულთა და განაჩენთა რეციდივის პირობებში უფრო მსუბუქმა სასჯელმა შეიძლება შთანთქმოს უფრო მკაცრი, მოუხდელი სასჯელი. მე-5 ნაწილის ჩანაწერის მსგავსი გაგება, საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაშიც, თეორიულად მაინც, უფრო მკაცრი სასჯელის მქონე მსჯავრდებულის მიერ (მაგ: თავისუფლების აღკვეთა) ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენითა (მაგ: დანაშაული, რაც სასჯელად ითვალისწინებს არასაპატიმრო სასჯელს) და მსუბუქი სასჯელის შეფარდების პერსპექტივით, შექმნის თავდაპირველი მკაცრი სასჯელისგან თავის არიდების შესაძლებლობას.

„მართალია საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლი (სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადე-

ბულია საპროცესო შეთანხმება.) აღნიშნული კი ითვალისწინებს სასჯელის შემცირების ან კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული ეხება კონკრეტული დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნას. არც სისხლის სამართლის კოდექსი და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაშიც, არ ითვალისწინებს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის კანონით გათვალისწინებული წესისგან ანუ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პრინციპისგან განსხვავებული პრინციპით საბოლოო სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას.⁷

საქართველოს სისხლის სამართალში არსებული სასჯელთა სისტემის და სახეების შესაბამისად (საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლი), ჯარიმა არის უფრო მსუბუქი სასჯელი ვიდრე თავისუფლების აღკვეთა და შინაპატიმრობა, შესაბამისად ჯარიმის მიერ შინაპატიმრობით შეცვლილი თავისუფლების აღკვეთის შთანთქმა, ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში მოქმედ პრინციპებსა და კანონს, ხოლო თუ სასჯელი დანიშნული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, არის როგორც უკანონო, ამავედროულად უსამართლოც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ნორმის ლოგიკური განმარტება და ნორმის მიზნებიდან უნდა ამოვიდეთ. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული შემთხვევა იქნება სახეზე მოსამართლემ უნდა გამოიყენოს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის სხვა გზა. თუ მაინც და მაინც შთანთქმის პრინციპის გამოყენებით უნდა სასჯელის დანიშვნა - ანალოგიით იხელმძღვანელოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილით ან/და მესამე ნაწილით გათვალისწინებული წესით „საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს“.

4. განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნა შეკრების პრინციპის გამოყენებით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით - „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.“ აღნიშნული დანაწესი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც წინა განაჩენით და განსახილველი განაჩენით სხვადასხვა სახის ძირითადი სასჯელებია განსაზღვრული. რა ხდება მაშინ, თუ წინა განაჩენით ძირითადი სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდა პირობითი მსჯავრი ერთი წლის გამოსაცდელი ვადით და განსახილველ შემ-

⁷ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის №1/95-2022 განჩინება

თხვევაში მოსამართლემ დაუნიშნა მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 საათი. რომ ყოფილიყო ორი იდენტური ძირითადი სასჯელი მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას მარტივად განსაზღვრავდა ერთ ძირითად სასჯელს, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში ორი ძირითადი, განსხვავებული სასჯელის შეკრება ხდება.

სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-7 ნაწილის დანაწესი - „დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომა“ და მე-8 ნაწილის ჩანაწერი - „დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად“ მიანიშნებს იმაზე, რომ შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთი ძირითადი სასჯელის დანიშვნა. აქვე, ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა, რამდენად კანონიერია განაჩენთა ერთობლიობით სასჯელების შეკრების წესის გამოყენებისას ორი ძირითადი სასჯელის დანიშვნა? თუ კი, მაშინ რა ფუნქცია აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის დანაწესს?

პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული ორი განსხვავებული ძირითადი სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს, რაც არ არის სამართლიანი - შინაპატიმრობის, გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსაზღვრის შემთხვევაში, რადგანაც როგორც ზემოაღნიშნული დანაწესი გვიჩვენებს კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ძირითადი და რამდენიმე დამატებითი სასჯელის განსაზღვრას (სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში). კითხვაზე თუ როგორ უნდა დაინიშნოს საბოლოო სასჯელი პასუხს გვაძლევს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება: - შინაპატიმრობის ორი დღე; - გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე; - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილით, კი ის საგამონაკლისო შემთხვევებია მოცემული, რომლის დროსაც თავად კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი ძირითადი სასჯელის დანიშვნას - ეს ეხება შემთხვევებს, როდესაც ერთ-ერთი ძირითადი სასჯელი ჯარიმა ან/და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევაა, ხოლო მეორე - შინაპატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელს აქვს ორმაგი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც რიგ შემთხვევებში არ შეიძლება სასჯელის სახით ორი ძირითადი სასჯელის დანიშვნა, გარდა ნორმით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა. რაც შეეხება სსკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილს, ის გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სსკ-ის 41-ე მუხლის, 59-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების დანაწესს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი ძირითადი სასჯელის დანიშვნაა შესაძლებელი.

5. რამდენიმე განაჩენის არსებობის შემთხვევაში, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის პრობლემატიკა

პრობლემატურია შემთხვევა, როდესაც ბრალდებულის მიმართ გამოტანილია მაგ. ორი განაჩენი და ბრალი ედება ახალი ქმედების ჩადენაში. მესამე განაჩენის დადგენისას მოსამართლემ იმსჯელა პირველი განაჩენით დანიშნულ სასჯელზე, მაგრამ მეორე განაჩენზე არც უმსჯელია. სასამართლო განსახილველ საქმეზე განაჩენის გამოტანისას ხშირად აღარ მსჯელობს მეორე განაჩენზე. საბოლოოდ, თუ მეორე განაჩენით და ბოლო განაჩენით პირობითი მსჯავრი აქვს დანიშნული, ან თუ თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, სსკ-ის 286-ე მუხლის საფუძველზე აღუსრულებელი განაჩენის არსებობისას, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის/დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის შუამდგომლობის საფუძველზე სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულისთვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის №665/გ პასუხით ირკვევა, რომ სასამართლოს საქართველოს სსკ-ის 286-ე მუხლის საფუძველზე განაჩენთა მიხედვით სასჯელის განსაზღვრისთვის 2018 წლიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით სასამართლოში შევიდა 86 შუამდგომლობა:

	2018	2019	2020	2021	2022 იანვარი- მარტი
სასამართლოში შესული შუამდგომლობების ოდენობა	14	18	23	24	7

განსახილველი შემთხვევები შეეხებოდა სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნებს. იყო შემთხვევები, როდესაც განაჩენებს შორის ერთ კვირამდე შუალედი იყო, ასევე შემთხვევები, როდესაც ბოლო განაჩენით მართალია იყო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელები დანიშნული, მაგრამ აღნიშნული განაჩენების მიღებამდე იყო აღუსრულებელი განაჩენი, რომლის ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადები არ იყო გასული. ზოგიერთ შემთხვევაში პირის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების შემდგომ დაადგინა სასამართლომ განაჩენი, რომელშიც არ იყო ნამსჯელი სასამართლოს წინა განაჩენზე, შესაბამისად არ იყო განსაზღვრული მსჯავრდებულის მიერ საბოლოოდ მოსახდელი სასჯელი. იყო შემთხვევები, რომლებზეც არსებითი განხილვის შემდგომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაიდო საპროცესო შეთანხმება, რომელშიც არ იყო ნამსჯელი წინა განაჩენით დადგენილ სასჯელზე. რამდენიმე განჩინებაში ირკვეოდა, რომ ორი დამოუკიდებელი განაჩენი მიღებული იყო არსებითი განხილვით, ისე, რომ

არ ჰქონდა სასამართლოს გამოყენებული სსკ-ის 59-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დადგენის წესი.

აღნიშნული მონაცემები მხოლოდ ნაწილია საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ პრაქტიკაში არსებული პრობლემები. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთი გზაა საერთო სასამართლოების ერთიანი ბაზის შექმნა, რომელშიც ავტომატურად იქნება ატვირთული ყველა მსჯავრდებულის მონაცემები და მათ მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სხვადასხვა ინსტანციის მიერ მიღებული განაჩენები და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი გამოყენებისთვის და მასზე წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა მოსამართლეს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

6. განაჩენთა ერთობლიობის დროს დამატებითი სასჯელთა შეკრებასთან დაკავშირებული პრობლემები

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას სასამართლო მსჯელობს ძირითად სასჯელებზე, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი ჯარიმა. აღნიშნული პრობლემა დგას არა მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის დროს, არამედ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში. კარგი იქნება თუ პრაქტიკაში აღარ მოხდება გადაუხდელ და მოუხდელ სასჯელებად დაყოფა, რადგანაც სასამართლო განსახილველ საქმეზე მიღებულ განაჩენში მსჯელობს წინა განაჩენით მოუხდელ სასჯელებზე, ხოლო ჯარიმა ყურადღების მიღმა რჩება.

აღნიშნული პრობლემიდან გამოსავალი ერთია, განაჩენთა ერთობლიობისას, მას შემდეგ, რაც მოსამართლე გააუქმებს წინა განაჩენს და გამოიყენებს შთანთქმის პრინციპს მიუთითოს იქვე, რომ განსახილველი დანაშაულისთვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმოს წინა განაჩენით მოუხდელი ძირითადი და დამატებითი სასჯელები. თუ განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელს ნიშნავს ნაწილობრივი შეკრების წესით, მაშინ ჩანეროს, რომ წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი ძირითადი და დამატებითი სასჯელებიდან დაემატოს (სრულად ან ნაწილობრივ). ამ გზით აღმოფხვრილი იქნება ის პრობლემა, რაც დამატებითი სასჯელის დანიშვნასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული გამოსავალი თანხვედრაშია ასევე სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის დანაწესთან, რომლის მიხედვითაც, „დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი. შეჯამებისას დანიშნული საბოლოო დამატებითი სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისათვის ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას.“ შესაბამისად, ნათელია, რომ დამატებითი სასჯელების შემთხვევაში შთანთქმის წესის გამოყენებას კანონმდებელი არ ითვალისწინებს და ადგენს, რომ შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი სასჯელების შეკრება.

7. ამნისტიით სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების გავლენა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის დროს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით - „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.“

რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ბოლო განაჩენით მოსამართლე ნიშნავს სასჯელს, რომლის მოხდისგანაც პირი გათავისუფლებულია „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე? მოსამართლეთა ნაწილი ამ შემთხვევაში ბოლო განაჩენით მოუხდელ სასჯელს სრულად/ნაწილობრივ უმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს და საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას მხოლოდ და მხოლოდ წინა განაჩენიდან დამატებული სასჯელი განესაზღვრება მსჯავრდებულს მოსახდელად.

ამ კუთხით პრობლემატურია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 59-ე მუხლის „მე-2 ან მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ“. ამ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა ბრალდებულმა ახალი დანაშაული, რომლის ჩამდენი პირიც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თავისუფლდება სასჯელის მოხდისგან, კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაადგინოს ის სასჯელი, რომლის მოხდისგანაც არ თავისუფლდება მსჯავრდებული.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ცნების არარსებობის მიუხედავად მას საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს მართლწესრიგის დაცვაში. დროის ცვლილებასთან ერთად იხვეწება საკანონმდებლო ნორმები, ვითარდება სასამართლო პრაქტიკა, ჩნდება ახალი შეხედულებები. მართალია არ არსებობს სრულყოფილი ნორმატიული აქტი, რომელიც ზედმიწევნით მოაწესრიგებს პრაქტიკაში არსებულ ყველა შემთხვევას, მაგრამ ნაშრომში მოტანილი მაგალითები და სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე ავტორის პოზიცია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგიის მოქმედების ფარგლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პერსპექტივიდან

თემურ ცინდელიანი*

* საქართველოს
გენერალური
პროკურატურის
პროკურორი;
ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
იურიდიული
ფაკულტეტის
დოქტორანტი.

თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია არის ერთ-ერთი უდიდესი ღირსშესანიშნაობა, რომელიც ადამიანის ცივილიზებულად ქცევისთვის ბრძოლის პროცესში შეიქმნა...

მეხუთე შესწორება (პრივილეგია) არის თავშესაფარი კლდე ქარიშხლის დროს... საზოგადოების უმაღლესი ზნეობრივი გრძნობის სიმბოლო, რომელიც იცავს ჩვენში საუკეთესო ღირებულებებს.

ერვინ გრისვოლდი,
აშშ-ს 34-ე გენერალური პროკურორი
(1967-1973 წ.)

შესავალი

ადამიანის უფლებათა კონცეფციის შინაარსობრივი პროგრესირების პარალელურად, სულ უფრო მეტად შეიმჩნევა კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსის ინდივიდის სასარგებლოდ გადაწყვეტის ტენდენცია. სამართლებრივი აზროვნების განვითარების ახალ საფეხურზე ასვლამ წარმოქმნა პრინციპი, რომ ადამიანი არ უნდა იქნეს გამოყენებული საკუთარი თავის წინააღმდეგ იარაღად, იგი არ უნდა იყოს იძულებული, გასცეს საკუთარი თავის საზიანო ინფორმაცია ან მტკიცებულება. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში - ევროპული სასამართლო) პრაქტიკა, რომელიც იქნება წინამდებარე სტატიის განხილვის საგანი. უფრო ზუსტად, სტატიაში განხილული იქნება თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგიის (შემდგომში - პრივილეგია) არსი ევროპული სასამართლოს გაგებით, პრივილეგიის ფარგლები, პრაქტიკაში იდენტიფიცირებული ძირითადი პრობლემური საკითხები და პრივილეგიის დაცვის ძირითადი მექანიზმები.

1. პრივილეგიის არსი და მისი ბუნება

სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ნებისმიერ პირს აქვს დუმილის უფლება და უფლება, არ გასცეს საკუთარი თავის მამხილებელი მტკიცებულება.¹ მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლში არ არის პირდაპირი მითითება დუმილის უფლებასა და პრივილეგიაზე, ორივე აღნიშნული კომპონენტი არის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი პროცედურის ცნების ქვაკუთხედს. ბრალდებულის არასათანადო იძულებისგან დაცვის გზით, აღნიშნული გარანტიები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების შეცდომების თავიდან აცილებას და კონვენციის მე-6 მუხლის მიზნების რეალიზებას.²

პრივილეგია წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ კომპონენტს, იცავს რა პირს საკუთარი თავის წინააღმდეგ მაინკრინინირებელი ჩვენების რაიმე ფორმით მიცემის დავალდებულებისა და იძულებისაგან. ხსენებული უფლება მჭიდრო კავშირშია არა მარტო სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა კომპონენტებთან, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება, არამედ რიგ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებთან. თვითინკრინაციის იძულებისაგან დაცვა წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პრინციპის გამოძახილს, რომლის თანახმადაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ იგი თავად უნდა იყოს ის მიზანი, ორიენტირი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით.³ პრივილეგია სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში მოქმედ ფუნდამენტურ უფლებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ გარანტიას წარმოადგენს. ამასთან, თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია საკუთარ თავში, ასევე, მოიაზრებს, „დუმილის უფლებას“ ან „საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან დაცვის უფლებას“. ეს გარანტია გულისხმობს ადამიანის უფლებას, არ აიძულონ საკუთარი თავის ბრალეულად აღიარება და დაცული იყოს ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ზეწოლისგან.⁴

¹ O'Halloran and Francis v. the United Kingdom [GC], 15809/02, ECHR, 2007, § 45

² Bykov v. Russia [GC], 4378/02, ECHR, 2009, § 92.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809, II. პ. 41.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1542.

2. პრივილეგიის მოქმედების ფარგლები

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს პრივილეგიის მოქმედების ფარგლები. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები მისი მოქმედება, ასე ვთქვათ, *Ratione materiae* და *Ratione personae*. *Ratione materiae* იგი მოქმედებს მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში. სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება და ამ ინფორმაციის მიწოდებას შესაძლებელია უარყოფითი შედეგიც მოჰყვეს, მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციის შემთხვევაში და ა.შ. ეჭვგარეშეა, რომ პრივილეგია არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს გარეთ, ამაზე მიუთითებს თვითონ ტერმინიც - თვითინკრიმინაცია. SAUNDERS-ის საქმეში⁵ სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ განმცხადებლის ვალდებულება, პასუხი გაეცა სამინისტროს ინსპექტორთა კითხვებზე, *per se*, არ იყო პრობლემური კონვენციის თვალსაზრისით. რაც შეეხება მის მოქმედებას *Ratione personae*, მხოლოდ დანაშაულში ბრალდებული პირი⁶ სარგებლობს ამ პრივილეგიით. ნიშანდობლივია, რომ ე.წ. „პირადი გასაუბრების“ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება და ამ ღონისძიების ფარგლებში გამოკითხული პირი სრულად აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პირობებს და მთელ ასეთ პროცესზე ვრცელდება თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვის პრივილეგია (დეტალურად იხ. ქვემოთ).⁷

პრივილეგია არ შემოიფარგლება მხოლოდ ვერბალური ასპექტით. როგორც ევროპის სასამართლოს პრაქტიკიდან ჩანს, პრივილეგია ასევე იცავს ადამიანს დანაშაულში მისი მამხილებელი მტკიცებულებების წარმოდგენასთან დაკავშირებული ზეწოლისგან.⁸ მტკიცებულების გაცემის ნაწილში ევროპული სასამართლოს მიდგომა ინფორმაციის გაცემისგან დიფერენცირებულია. კერძოდ, პრივილეგია არ იცავს ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ ისეთი მტკიცებულების მოპოვებას, რომელიც მისი ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. მაგალითისთვის, პრივილეგიის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი, სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირისგან მოხდება რაიმე დოკუმენტის, სისხლის, შარდის ან სხვა ნიმუშის იძულებით მოპოვება.⁹ ამდენად, პრივილეგია ძირითადად იცავს ბრალდებულს იმ კონტექსტში, რომ მას ვერ დაეკისრება ვალდებულება, თავად წარმოადგინოს და სამართალდამცავ ორგანოებს ჩააბაროს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

⁵ Saunders v. the United Kingdom [GC], 19187/91, ECHR, 1996.

⁶ ავტორის შენიშვნა: ბრალდებულის სტატუსს ევროპული სასამართლო განსაზღვრავს ავტონომიურად. შესაბამისად, დეფაქტო ბრალდებულსაც აქვს უფლება, ისარგებლოს პრივილეგიით (ვრცლად იხ. ქვემოთ).

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის №1542 გადაწყვეტილება.

⁸ იქვე.

⁹ Saunders v. the United Kingdom [GC], 19187/91, ECHR, 1996, § 69.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებით, პრივილეგია თანაბრად ვრცელდება ყველა დანაშაულთან მიმართებით, მიუხედავად მათი სიმძიმის მიხედვით გრადაციისა.¹⁰ ამასთან, არსებითად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა მომენტიდან იწყება თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის მოქმედება. ევროპული სასამართლოს მიდგომის თანახმად, პირს დუმილის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მისი ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის/გამოკითხვის მომენტიდან.¹¹ აღნიშნული ეხება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პირს სამართალწარმოების პროცესში ოფიციალურად ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სტატუსი არ აქვს, მაგრამ გამოკითხვის შინაარსიდან, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ქცევიდან და საქმის სხვა გარემოებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ მის მიმართ არსებობს ეჭვი დანაშაულის ჩადენის თაობაზე.¹² ამასთან, დუმილის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია პირს განმარტება მიღებული ჰქონდეს სწორედ ამ უფლების თაობაზე. განმარტება, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია მის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული სასამართლოში, კონვენციის მიზნებისთვის ვერ ჩაითვლება დუმილის უფლების თაობაზე სათანადო განმარტებად.¹³

აღსანიშნავია ისიც, რომ პრივილეგია არ ირღვევა, როდესაც პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის პროცედურების ფარგლებში გაცემული ინფორმაცია გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას.¹⁴ პრივილეგია ასევე არ იცავს პირის მიერ მისი ნებით მამხილებელი ინფორმაციის გაცემას (თუ აღნიშნული განპირობებული არ არის იძულების გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის გაბათილების აუცილებლობით), არამედ მოქმედებს მხოლოდ ინფორმაციის ან მტკიცებულების იძულებით მოპოვების შემთხვევაში. ეს მოცემულობა განპირობებულია იმით, რომ სწორედ ძალადობის ელემენტი აჩენს უფლებაში არალეგიტიმური ინტერვენციის საფრთხეს. ამდენად, სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს იძულების ხასიათი და ინტენსივობა.¹⁵

3. ევროპული სასამართლოს მიერ იდენტიფიცირებული პრობლემური შემთხვევები

ევროპული სასამართლოს მიერ განხილულია არაერთი ისეთი საქმე, სადაც მწვავედ იდგა პრივილეგიის შესაძლო დარღვევის საკითხი. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ სამი შემ-

¹⁰ Saunders v. the United Kingdom [GC], 19187/91, ECHR, 1996, § 74.

¹¹ John Murray v. the United Kingdom [GC], 18731/91, ECHR, 1996, § 45,.

¹² Simeonovi v. Bulgaria [GC], 21980/04, ECHR, 2017, § 110.

¹³ Stojkovic v. France and Belgium, 25303/08, ECHR, 2011, § 54.

¹⁴ H. and J. v. the Netherlands (dec.), 978/09 and 992/09, ECHR, 2014.

¹⁵ Ibrahim and others v. the United Kingdom [GC], 50541/08, 50571/08, 50573/08 and 40351/09, ECHR, 2016, § 267.

თხვევა, რომლებიც დუმილის უფლებისა და პრივილეგიის დარღვევის კონტექსტში ყველაზე ხშირად იდენტიფიცირდება და წარმოადგენს არასათანადო იძულების კლასიკურ შემთხვევებს. პირველი ასეთი შემთხვევაა, როდესაც პირი მოსალოდნელი სანქციის შიშით იძულებულია სამართალდამცავებს მიაწოდოს ინფორმაცია ან გადასცეს მტკიცებულება, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, მის მიმართ ხდება სანქციის გამოყენება. მეორე შემთხვევაში, ჩვენების ანდა მტკიცებულების მოსაპოვებლად ხდება პირზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც, როგორც წესი, იმავდროულად არღვევს კონვენციის მე-3 მუხლსაც. მესამე შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იყენებენ გარკვეულ ხრიკებს იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რასაც სხვაგვარად პირი არ გასცემს.

3.1. სანქციის გამოყენება

ჩვენების მიცემაზე ან მტკიცებულების გადაცემაზე ბრალდებულის მიერ უარის თქმის შემთხვევაში მის მიმართ რაიმე სანქციის გამოყენება, ისევე, როგორც თავად ასეთი სანქციის საკანონმდებლო იმპლემენტაცია, არღვევს კონვენციის მე-6 მუხლს, თუკი ამგვარი იძულებითი მექანიზმის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ან მტკიცებულება გამოყენებული იქნება სამართალწარმოების ფარგლებში. უფრო ზუსტად, სანქციის შიშით ბრალდებული იძულებული ხდება პრივილეგიის არსის და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გასცეს ინფორმაცია ან მტკიცებულება, ხოლო აღნიშნულზე უარის შემთხვევაში ხდება მისი სანქცირება. შედეგად, იქმნება მდგომარეობა, როდესაც პირი იძულებულია გასცეს ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომლის გამოყენებაც ხდება სამართალწარმოების ფარგლებში მისივე წინააღმდეგ, რაც იმთავითვე არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებრივ კონცეფციას.

3.2. ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა

როგორც წესი, პრივილეგიას არღვევს ისეთი შემთხვევა, როდესაც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ ხდება მტკიცებულების მოპოვება და შემდგომ მისი სამართალწარმოების ფარგლებში გამოყენება. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, იმავდროულად ირღვევა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიც (არასათანადო მოპყრობის აკრძალვა). ამ კუთხით, მტკიცებულებები იყოფა ორ ასპექტად: ა) თუკი ჩვენება მოპოვებულია ნებისმიერი სახის არასათანადო მოპყრობის შედეგად, ასეთი ჩვენების სამართალწარმოებაში გამოყენება ავტომატურად არღვევს კონვენციის მე-6 მუხლს; ბ) თუკი სამართალწარმოების ფარგლებში ხდება წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება, აღნიშნულით იმთავითვე ირღვევა კონვენციის მე-6 მუხლი; გ) ევროპულ სასამართლოს დღემდე არ გაუკეთებია ცალსახა განმარტება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად მიღებული მტკიცებულების (გარდა ჩვენებისა) სამართალწარმოებაში გამოყენება ავტომატურად არღვევს თუ არა კონვენციის მე-6 მუხლს. აღნიშ-

ნულ საკითხზე სასამართლო მსჯელობს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, საქმის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.¹⁶

არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა ეროვნული სამართლის რეგულირების სფეროა და ეროვნული სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებში ექცევა. კონვენცია არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს, არამედ განსაზღვრავს კონკრეტული მტკიცებულების მოპოვების ხერხმა და ასეთი მტკიცებულების გამოყენებამ მთლიანად სამართალწარმოება გახადა თუ არა უსამართლო.¹⁷ განსახილველ ასპექტში იმის დასადგენად, იყო თუ არა პროცესი მთლიანობაში სამართლიანი, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული, დაცულია თუ არა დაცვის მხარის უფლებები. კერძოდ, უნდა შემოწმდეს, მიეცა თუ არა ბრალდებულს მტკიცებულების ავთენტურობის გასაჩივრების და მისი გამოყენების შეზღუდვების შესაძლებლობა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მტკიცებულების ხარისხი, მათ შორის, ეჭვქვეშ აყენებს თუ არა მის სანდოობასა და ავთენტურობას ის გარემოებები, რომლებშიც იგი იქნა მოპოვებული. ამასთან, რაც უფრო მყარია მტკიცებულება, მით ნაკლებია სხვა მტკიცებულებით მისი გამყარების საჭიროება.¹⁸ ამასთან, სამართალწარმოების სამართლიანობა შესაძლებელია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირისგან მტკიცებულების ან ინფორმაციის მიღება ხდება არასათანადო მოპყრობის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფორმით მოპოვებული მტკიცებულება შესაძლებელია არ იყოს ძირითადი ან ერთადერთი მტკიცებულება განაჩენის გამოსატანად.¹⁹ საერთო ჯამში, კონკრეტულმა ქმედებებმა დაარღვია თუ არა პრივილეგიის არსობრივი ბუნება, ევროპული სასამართლო ადგენს იძულების ხარისხისა და ხასიათის, შესაბამისი თვითდაცვის მექანიზმების არსებობისა და ასეთი იძულების შედეგად მოპოვებული მასალების შემდგომში გამოყენების არსის ერთობლიობაში ანალიზის საფუძველზე.

3.3. ცალკეული ხრიკების გამოყენება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში იდენტიფიცირდება შემთხვევები, როდესაც პირი არ გასცემს ინფორმაციას ანდა მტკიცებულებას, რის შემდგომაც სამართალდამცავი ორგანოები იყენებენ გარკვეულ შემოვლით მეთოდებს ასეთი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ამგვარი ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება პრივილეგიის დარღვევის არსებით საფრთხეს ქმნის. ასეთ მექანიზმებს შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადია ე. წ. პირადი გასაუბრება, რა დროსაც, პირს არ განემარტება მისი უფლებების, მათ შორის, დუმილის უფლებისა და ადვოკატის ყოლის უფლებების თაობაზე. მართალია, ასეთ შემთხვევაში პირი ინფორმაციას ნებაყოფლობით გასცემს, თუმცა, გარემოებების არცოდნის და უფლებების თაობაზე განმარტების არარ-

¹⁷ Council of Europe, Guide on article 6 - Right to a fair trial (criminal limb), 2022, §220-221.

¹⁸ Jallo v. Germany [GC], 54810/00, ECHR, 2006, § 96.

¹⁹ Koç v. Turkey (dec.), 55532/09, ECHR, 2003.

სებობის პირობებში. მათ შორის, არ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს მისი საუბრის ვიდეოჩანერა, რაც შემდგომში სასამართლოში შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ე.წ. “პირადი გასაუბრება” ტარდება დაკითხვისათვის ჩვეულ გარემოში, უმეტესწილად, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ დაკითხვის ოთახებში. სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ასეთ გარემოში ჩატარებული არაფორმალური დაკითხვის პირობებში, საკუთარ უფლებებში გაუთვითცნობიერებელი, პოტენციური ბრალდებულის ნების თავისუფლება, ყოველგვარი დაცვითი გარანტიების გარეშე, ფაქტობრივად სრულადაა მოქცეული გამოცდილი გამომძიებლის კონტროლის ქვეშ, რაც, თავის მხრივ, ქმნის ნების თავისუფალი გამოვლენისათვის იმდენად არაშესაფერის გარემოს, რომ ზრდის ოპერატიული მუშაკის/გამომძიებლის მხრიდან, სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად, არაჯეროვანი ზეწოლის განხორციელების საფრთხეს. გარდა ამისა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ცალსახად გამომდინარეობს, დუმილის უფლების დარღვევის თვალსაზრისით, პრობლემურია არა მხოლოდ მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მიცემა, არამედ, მათ შორის, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეკითხვებიც კი. როგორც უკვე ითქვა, „იძულებით მიცემული ჩვენება, რომელსაც ერთი შეხედვით, არ აქვს თვითინკრიმინაციის ნიშნები, როგორიცაა თავის გამამართლებელი გამონათქვამები ან უბრალოდ ინფორმაცია ფაქტობრივ საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება მომავალში გამოყენებული იქნეს სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდების არგუმენტების გასამყარებლად, მაგალითად, ბრალდებულის სხვა განცხადებების ან სასამართლო განხილვაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დასაყენებლად ან, სხვაგვარად, მისი სანდოობის შესაღახად. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, როდესაც ბრალდებულის სანდოობა ნაფიც მსაჯულთა შესაფასებელია, ასეთი ჩვენებების გამოყენება შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს. შესაბამისად, მოცემულ კონტექსტში არსებითია ის, თუ რა გამოყენება ექნება სისხლის სამართლის საქმეში იმ მტკიცებულებებს, რომლებიც იძულებით იქნა მოპოვებული.²⁰

4. პრივილეგიის დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმები

ევროპული სასამართლოს თვალთახედვით, ადვოკატზე ადრეული ეტაპიდან წვდომა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც ახდენს პრივილეგიის დარღვევის პრევენციას. აღნიშნული ასპექტის არსებობას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, როდესაც აფასებს პრივილეგიის სავარაუდო დარღვევის შემთხვევებს. იმისთვის, რომ კონვენციის გაგებით, მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება იყოს “პრაქტიკული და ეფექტური”, ეჭვმიტანი-

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1542.

ლის სახით პირის პირველივე დაკითხვის მომენტიდან, მას უნდა ჰქონდეს ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალკეულ საქმეში არსებობს აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვის ვარგისი მიზეზები (როგორიცაა ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის შექმნილი საფრთხე, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სხვა).²¹ ამასთან, არსებითია, რომ პრივილეგიის სათანადო დაცვის თაობაზე არსებობდეს მყარი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს არასათანადო იძულებისგან პირთა დაცვას. ამასთან, სამართალწარმოების განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ სათანადო და სრულფასოვანი ცოდნა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება დაარღვიონ პრივილეგია ანდა მასში მოაზრებული გარანტიები.

დასკვნა

აღნიშნულ სტატიაში განხილული საკითხების ანალიზმა აჩვენა, რომ პრივილეგიის არსი კომპლექსურია და არ შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე ცალკეული, შაბლონური ასპექტით. ევროპული სასამართლოს რელევანტური პრეცედენტების შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სასამართლოს მიერ ექსპლიციტურად არის განსაზღვრული პრივილეგიის არსი, მისი მოქმედების ფარგლები და დაცვის მექანიზმები. ასევე განსაზღვრულია ის უმთავრესი პრობლემური საკითხები, რომლებიც პრაქტიკაში ყველაზე ხშირად იდენტიფიცირდება. ამასთან, ევროპულ სასამართლოს ზუსტად აქვს განსაზღვრული ის პირთა წრე, რომლებსაც შეუძლიათ პრივილეგიით სარგებლობა და აღნიშნულ პირთა განსასაზღვრად იყენებს ბრალდებულის ავტონომიურ განმარტების მეთოდს. ევროპულ სასამართლოს მკაცრად აქვს განსაზღვრული პრივილეგიის დარღვევის ის შემთხვევები, რომელთა საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებაც ავტომატურად დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით, მხოლოდ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად მიღებული მტკიცებულების (გარდა ჩვენებისა) სამართალწარმოებაში გამოყენების პრივილეგიასთან შესაბამისობის ნაწილში არის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა შედარებით არამკაფიო. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, აქტის კონსტიტუციურობის საკითხის შეფასებისას, არსებითად იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და დადგენილ სტანდარტებს და სწორედ აღნიშნულის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, რაც ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია.

²¹ Ibrahim and Others v. the United Kingdom [GC], 50541/08, 50571/08, 50573/08 and 40351/09, ECHR, 2016, § 256; Saldüz v. Turkey [GC], 36391/02, ECHR, 2008, §§ 54-55.

წამების რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში

დავით ხურციძე*

*** იურიდიული
ფაკულტეტის
დოქტორანტი
(თსუ),
სპეციალური
საგამოძიებო
სამსახურის
გამოძიების
ხარისხის
მონიტორინგისა
და ანალიტიკური
დეპარტამენტის
თანამშრომელი.**

შესავალი

წამების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საერთაშორისო სივრცეში მრავალი წელია აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად აღიარებს წამების ნეგატიურ შედეგებს როგორც ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსათვის და მთლიანად დემოკრატიული წყობილებისთვის.

როგორც საერთაშორისო კანონმდებლობა, ასევე ეროვნული სისხლის სამართლის სისტემები მუდმივად იხვეწება, რათა წამებას ეფექტიანად ებრძოლოს. დემოკრატიული საზოგადოებებისთვის მიუღებელია მსგავსი ქმედებები და შესაბამისად, კანონმდებლობა წამების აკრძალვასა და დასჯას განამტკიცებს.

წამების, როგორც არასათანადო მოპყრობის ფორმის აკრძალვა, აბსოლუტური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს არცერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც წამების გამოყენება გამართლებული იქნება.

წამების წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი შეიქმნა, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი ქვემოთ იქნება განხილული.

ნაშრომში, ასევე, გაანალიზებულია, რამდენად შესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირებული წამების განსაზღვრება საერთაშორისოდ დამკვიდრებულ განმარტებებს.

1. წამების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

წამების, როგორც არასათანადო მოპყრობის ფორმის აკრძალვა, აბსოლუტური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს არცერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც წამების გამოყენება გამართლებული იქნება. წამების აკრძალვა დიდი

ხანია დადგენილია როგორც *jus cogens*, ანუ, მას აქვს უმაღლესი პოზიცია და იმდენად ფუნდამენტურია, რომ ყველა სხვა ხელშეკრულებასა თუ კანონზე მაღლა დგას. დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც აღიარებულია როგორც *jus cogens*, ექვემდებარება საყოველთაო იურისდიქციას.¹

მოცემულ თავში მიმოხილული იქნება წამების წინააღმდეგ შემუშავებული რამდენიმე ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (“ნელსონ მანდელას წესები”), გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის დეკემბერში მიიღო.² მანამდე არსებობდა პატიმართა მოპყრობის შესახებ სტანდარტული მინიმალური წესები, რომელიც გაეროს 1955 წლის დოკუმენტს წარმოადგენს.³ „მანდელას წესები“ ამ დოკუმენტის განახლებული ვერსიაა.⁴ „ნელსონ მანდელას წესების“ პირველი წესის მიხედვით, „ყველა პატიმრის მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობის პატივისცემას. ნებისმიერი პატიმარი უნდა იყოს დაცული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისაგან, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს გამართლება არცერთ შემთხვევაში.“⁵

1973 წლის იანვარში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია (73)5 - მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ.⁶ ეს წესები, როგორც თავად დოკუმენტშია აღნიშნული, თანამედროვე აზროვნების საერთო კონსენსუსის და დღევანდელი ყველაზე ადეკვატური სისტემების არსებითი ელემენტების საფუძველზე ცდილობს ჩამოაყალიბოს ის, რაც ზოგადად მიღებულია, როგორც კარგი პრინციპი და პრაქტიკა პატიმართა მოპყრობის საქმეში.⁷

1979 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო 690-ე რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, სიკვდილით დასჯა, წამება და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმები აკრძალულია ნებისმიერ ვითარებაში.⁸ პოლიციის ოფიცერი ვალდებულია არ დაემორჩილოს ან უგულებელყოს ნებისმიერი ბრძანება ან მითითება, რომელიც მოიცავს ასეთი ზომების გამოყენების მოთხოვნას.⁹

¹ Human Rights Watch, The Legal Prohibition Against Torture, <<https://www.hrw.org/news/2003/03/11/legal-prohibition-against-torture#What>> (უკანასკნელად ნანახია: 07.07.2023)

² K. McCall-Smith, United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (Nelson Mandela Rules), 2017, 16.

³ S. A. Rodriguez, The Impotence of Being Earnest: Status of The United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners in Europe and the United States, 2017, 61.

⁴ Penal Reform International, გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“), სახელმძღვანელოს შემოკლებული რედაქცია, 2016, 3.

⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) (2015), წესი 1.

⁶ Annuaire Européen, vol. XXI, 1975, 323.

⁷ Resolution (73)5 Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners, Preliminary observations 1.

⁸ G. Kurian, Declaration on the Police, Resolution 690.

⁹ Council of Europe, Declaration on the Police, Resolution 690, 1979.

1979 წლის 17 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 34/169.¹⁰ ამ რეზოლუციის მიხედვით, სამართალდამცავმა ორგანოებმა მუდმივად უნდა შეასრულონ კანონით დაკისრებული მოვალეობა, ემსახურონ საზოგადოებას და დაიცვან ყველა პირი უკანონო ქმედებებისგან. სამართალდამცავი ორგანოს არცერთ თანამდებობის პირს არ შეუძლია განახორციელოს, წაახალისოს ან მოითმინოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი. არცერთ სამართალდამცავ პირს არ შეუძლია გამოიყენოს უმაღლესი ბრძანებები ან განსაკუთრებული გარემოებები, როგორცაა საომარი მდგომარეობა ან ომის საფრთხე, საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის, პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საჯარო საგანგებო სიტუაცია, როგორც წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამართლება.

კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახვი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ,¹¹ რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წელს,¹² წამებას განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია“.¹³

1988 წლის 9 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაქვეყნა რეზოლუცია (43)173, რომელიც წარმოადგენს პრინციპების ერთობლიობას პირის ნებისმიერი სახით დაპატიმრებასთან და ციხეში მოთავსებასთან დაკავშირებით.¹⁴ აღნიშნული დოკუმენტის მე-6 პრინციპის მიხედვით, დაკავების ან პატიმრობის ქვეშ მყოფი არცერთი პირი არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. არავითარი გარემოება არ შეიძლება იყოს წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამართლება. ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრო-

¹⁰ Code of Conduct for Law Enforcement Officials, <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/code-conduct-law-enforcement-officials> (უკანასკნელად ნანახია: 10.07.2023)

¹¹ R.St.J Macdonald, F. Matscher, H. Petzold (eds.), The European System for the Protection of Human Rights, 1993, ch. 11.

¹² H. Burgers, H. Danelius, The United Nations Convention against Torture, A handbook on The Convention against Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 1988, 1.

¹³ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) (2015), წესი 1.

¹⁴ G. Kirk McDonald, O. Swaak-Goldman, Substantive and Procedural Aspects of International Criminal Law, 2000, 275.

ბა ან სასჯელი“ უნდა იქნეს განმარტებული ფართოდ და უნდა ემსახუროდეს პირის დაცვას ძალადობისაგან, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს უფლება აქვთ, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში, მიმართონ დაკავების ადგილის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოებსა და ზემდგომ ორგანოებს.¹⁵

1990 წლის 14 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 45/113, რომელიც აერთიანებს წესებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვასთან დაკავშირებით.¹⁶ აღნიშნული წესების მიხედვით, საპატიმრო დაწესებულებების პერსონალმა თავისი მოვალეობის შესრულებისას პატივი უნდა სცეს და დაცვას ყველა არასრულწლოვანის ღირსება და ადამიანის ძირითადი უფლებები. საპატიმრო დაწესებულების არცერთ წევრს ან დაწესებულების პერსონალს არ შეუძლია განახორციელოს, წაახალისოს ან მოითმინოს წამების ან რაიმე სახის მკაცრი, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, დასჯა, გამოსწორება ან დისციპლინა რაიმე საბაბით ან გარემოებით.¹⁷

1989 წლის ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის საფუძველზე დაარსდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტი, მართალია არ წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოს, მაგრამ იგი იყენებს არასამართლებრივ აღმკვეთ მექანიზმებს, რათა დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირები წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან.¹⁸ კომიტეტი შედგება იმდენი ექსპერტისაგან, რამდენი მხარე სახელმწიფოც არსებობს. კომიტეტი ახორციელებს როგორც პერიოდულ, ასევე ad hoc ვიზიტებს კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებში.¹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იცავს ადამიანის უფლებებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში.²⁰ კონვენცია კაცობრიობის ისტორიაში იყო პირველი იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.²¹ კონვენციას ხელი 1950 წლის 4 ნოემბერს,

¹⁵ Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment: resolution/adopted by the General Assembly, 9 December 1988.

¹⁶ G. Van Bueren, United Nations Rules for the protection of juveniles deprived of their liberty defense for children International.

¹⁷ United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty, adopted 14 December 1990 by General Assembly resolution 45/113.

¹⁸ ინფორმაცია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის შესახებ, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, სტრასბურგი, საინფორმაციო ფურცელი.

¹⁹ ა. რეიდი, წამების აკრძალვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2005, 110.

²⁰ Equality and Human Rights Commission, What is the European Convention on Human Rights?, <<https://www.equalityhumanrights.com/en/what-european-convention-human-rights>> (უკანასკნელად ნანახია: 14.07.2023)

²¹ კ. კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, 2007, 6.

რომში მოეწერა. იგი სამართლიანად ითვლება ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.²² კონვენცია აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად და მისი შესრულება იურიდიულად სავალდებულოა ეროვნულ დონეზე.²³ კონვენციამ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.²⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) მიხედვით, „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.“ კონვენციის მიხედვით, წამების აკრძალვას აქვს აბსოლუტური ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს არცერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც წამების გამოყენება გამართლებული იქნება.²⁵

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრი სახელმწიფოს ვალდებულება მოიცავს ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტებს. ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ დაუქვემდებაროს პირი არასათანადო მოპყრობას, ხოლო, პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას პირი და აწარმოოს ქმედითი გამოძიება.

იმისათვის, რომ ქმედება წამებად დაკვალიფიცირდეს, მან უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. სისასტიკის მინიმალური ზღვარი დგინდება შემდეგი კრიტერიუმებით: მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მოპყრობის ინტენსივობა, მოპყრობის შედეგები მსხვერპლისათვის (როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური), აღსრულების მეთოდი და რიგ შემთხვევებში, მსხვერპლის ასაკი, სქესი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.²⁶

2. წამების განმარტება

ლიტერატურაში წამების არაერთი განმარტება არსებობს, თუმცა საერთაშორისო სამართალში, წამების შედარებით ზუსტი განსაზღვრებისთვის აქცენტი კეთდება კონვენციაზე წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ,²⁷ რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წელს.²⁸

²² D. Schindler, *European Convention on Human Rights in Practice*, Washington University Law Review, 1962.

²³ კ. კორკელია, ი. ქერაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, 42.

²⁴ თ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, 2015, 72.

²⁵ Labita v. Italy, 26772/95, ECHR, 2000, § 119.

²⁶ Ireland v. the United Kingdom, 5310/71, ECHR, 1978; Soering v. the United Kingdom, 14038/88, ECHR, 1989, §100.

²⁷ R.St.J. Macdonald, F. Matscher, H. Petzold (eds.), *The European System for the Protection of Human Rights*, 1993, ch. 11.

²⁸ H. Burgers, H. Danelius, *The United Nations Convention against Torture, A handbook on The Convention against Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment*, 1988, 1.

აღნიშნული კონვენცია წამებას განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ქმედებას, რომელითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია“.²⁹

აღნიშნული განმარტებიდან შეიძლება წამების სამი ძირითადი ელემენტი გამოიყოს: ძლიერი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტანჯვის განზრახ მიყენება, მოძალადის სტატუსი (ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა)³⁰ და კონკრეტული მიზანი³¹ (ინფორმაციის მოპოვება, აღიარება და სხვ).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, წამება განიმარტება, როგორც განზრახი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც ძალზე მძიმე და სასტიკ ტანჯვას იწვევს და მიზნად ისახავს პირის დასჯას ან დამცირებას, მტკიცებულებების მოპოვებას.³²

3. წამების ფორმები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია მე-3 მუხლთან მიმართებით. სხვადასხვა გადაწყვეტილებებში სასამართლომ დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა პირი, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ და ამ პირობებში, სამართალდამცავების მხრიდან განხორციელდა მისი ცემა.

საქმეში *Aksoy v. Turkey*, ერთ-ერთი მომჩივნის მიმართ გამოყენებულ იქნა ზურგს უკან შეკრული ხელებით დაკიდება და ცემა (პალესტინური დაკიდება), რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წამებად შეაფასა.³³

²⁹ კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, მუხლი 1.

³⁰ N. Rodley, *The Definition (s) of Torture in International Law*, Current Legal Problems, 2002, 467-493.

³¹ მ. კვაჭაძე, ე. მამალაძე, ნ. დათეშიძე, წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2019, 14.

³² *Ireland v. the United Kingdom*, 5310/71, ECHR, 1978.

³³ *Aksoy v. Turkey*, 21987/93, ECHR, 1996, §14.

საქმეში *Ilhan v. Turkey*, სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა წამებას, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს სასტიკად სცემეს დაკავებისას ქამრის ბალთებით და საკმაოდ დიდი დრო გავიდა მანამ, სანამ მას საშუალება ექნებოდა, შეხვედროდა ექიმს.³⁴

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია წამების საქმეებთან მიმართებით. სასამართლო ცალსახად წამებად მიიჩნევს პალესტინურ ჩამოკიდებას,³⁵ გაუპატიურებას თავისუფლების აღკვეთისას,³⁶ პატიმრის იძულებით კვებას დაუშვებელი მეთოდებით,³⁷ ორგანოს ამოკვეთა/დაკარგვას,³⁸ ე.წ. კონვერტს,³⁹ ე.წ. სპილოს⁴⁰ და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წამება ყოველთვის არ არის დაკავშირებული ფიზიკურ ტკივილთან. წამებად შეიძლება შეფასდეს სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ისეთი ქმედებებიც, რომელთაც თან ახლავს მძიმე ფსიქოლოგიური ტანჯვა.

„ფსიქოლოგიური წამების“ ზუსტი განმარტება, ლიტერატურაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.⁴¹ 2005 წელს მოხსენებამ, რომელიც წარმოადგინა PHR-მა (ექიმები ადამიანის უფლებებისათვის) საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიური წამების განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ეს არის ძლიერი ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა, გამოწვეული მუქარით ან ისეთი ქმედებით, რომელიც მიზნად ისახავს პირის გრძნობების ან პიროვნულობის უხემ ხელყოფას.⁴²

სასამართლო პრაქტიკით, წამებად შეფასდა სულიერი ტანჯვა, რომელიც გამომდინარეობს ფსიქოლოგიური ძალადობისგან და რომელიც ერთობლიობაშია ფიზიკურ ტკივილთან იმ შემთხვევებში, როდესაც პირი დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდათ პატიმრობაში თვალეხახვეული,⁴³ აიძულებს შიშველს გაევიდოს ხალხის წინაშე,⁴⁴ დაექვემდებარა სიკვდილით დასჯის სიმულირებას,⁴⁵ დაემუქრნენ ოჯახის წევრისთვის ზიანის მიყენებით,⁴⁶ გაუპატიურებით⁴⁷ და სხვ.

³⁴ *Ilhan v. Turkey*, 22277/93, ECHR, 2000.

³⁵ *Aksoy v. Turkey*, 21987/93, ECHR, 1996.

³⁶ *Aydin v. Turkey*, 23178/94, ECHR, 1997; *Zontul v. Greece*, 12294/07, ECHR, 2012.

³⁷ *Nevmerzhiysky v. Ukraine*, 54825/00, ECHR, 2005; *Ciorap v. Moldova*, 12066/02, ECHR, 2007.

³⁸ *Virabyan v. Armenia*, 40094/05, ECHR, 2012.

³⁹ *Ochelkov v. Russia*, 17828/052, ECHR, 2013; *Salikhov v. Russia*, 23880/05, ECHR, 2012.

⁴⁰ *Mutayev and Tatayev v. Russia*, 29924/07, ECHR, 2013.

⁴¹ H. Reyes, *The worst scars are in the mind: psychological torture*, Volume 89, Number 867, 2007, 595.

⁴² *Break Them Down*, Report by Physicians for Human Rights (hereinafter PHR report), Washington, D.C., 2005.

⁴³ *Aydin v. Turkey*, 23178/94, ECHR, 1997.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ *Ilascu et al. v. Moldova and Russia*, 48787/99, ECHR, 2004.

⁴⁶ *Akkoc v. Turkey*, 22947/93 and 22948/93, ECHR, 2000.

⁴⁷ *Menesheva v. Russia*, 59261/00, ECHR, 2006.

ფსიქოლოგიური ძალადობა, ხშირად, ფიზიკური ძალადობისაგან განსხვავებით, ხილულ კვალს არ ტოვებს. შესაბამისად, საკმაოდ რთულია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენა. სტამბოლის პროტოკოლი, რომელიც 1999 წელს შეიქმნა,⁴⁸ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება.

4. წამების რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლით განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი დასჯადობა წამებისათვის. მუხლის მიხედვით, წამება არის „პირისთვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.“

განსახილველი მუხლი მოქცეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავში (დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ). აღნიშნული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

წამება მატერიალური დანაშაულია. სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მიხედვით, წამების დროს სახეზე უნდა იყოს ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება „პირობების შექმნასა“ და „მოპყრობაში“. პირობების შექმნაში შეიძლება მოიაზრებოდეს, მაგალითად, პატიმრისთვის თავისუფლების აღკვეთის ადგილზე შექმნილი ისეთი პირობები, რაც მასში იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას; ასევე, ის შემთხვევები, როდესაც დაკავებული პირი ვერ იღებს საჭირო და სათანადო მკურნალობას, როდესაც პირს უწევს შიშველ მდგომარეობაში ყოფნა ხალხის თანდასწრებით⁴⁹ და სხვ.

მოპყრობაში კი შეიძლება მოვიაზროთ აქტიური მოქმედებები. მაგალითად, გაუპატიურება თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში,⁵⁰ ელექტროშოკის გამოყენება,⁵¹ სისტემატური ცემა და სხვ.

იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს წამებად, იგი უნდა გამოირჩეოდეს მისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით. ხასიათში იგულისხმება ის, თუ რა სახის ქმედება იქნა განხორციელებული (მაგ., გაუპატიურება, ორგანოს ამოკვეთა,

⁴⁸ R. Haar, J. Lin, J. Modvig, J. Nee, V. Iacopin, The Istanbul Protocol: A global stakeholder survey on past experiences, current practices and additional norm setting, TORTURE, Volume 29, Number 1, 2019, 70.

⁴⁹ Aydın v. Turkey, 23178/94, ECHR, 1997.

⁵⁰ Zontul v. Greece, 12294/07, ECHR, 2012.

⁵¹ Mukayev v. Russia, 22495/08, ECHR, 2017.

სისტემატური ცემა). ინტენსივობაში იგულისხმება ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა.⁵² ხოლო, ხანგრძლივობაში მოიაზრება ის შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა არ გამოირჩევა ხასიათითა და ინტენსიურობით, მაგრამ მას აქვს ხანგრძლივი ხასიათი და სწორედ ამიტომ, იგი მსხვერპლს აყენებს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.

როგორც აღინიშნა, წამება მატერიალური დანაშაულია და წამების დროს პირს უნდა მიადგეს ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა. მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ძლიერი ფიზიკური ტკივილი სახეზეა მაშინ, როდესაც აუცილებელი გახდება ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტის გამოყენება, ასევე, ტკივილი, რომელმაც მსხვერპლი გონების დაკარგვამდე მიიყვანა.⁵³

რაც შეეხება ფსიქიკურ ტანჯვას, მას ზოგჯერ სამედიცინო ლიტერატურაში ფსიქიკურ ტკივილსაც უწოდებენ. ფსიქიკური ტანჯვა ეხება დისკომფორტს, დისფუნქციას ან გონების დისტრესს - ჩვეულებრივ ისეთს, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ტკივილით ან ტრავმით. ის, ასევე, ეხება ემოციურ ტკივილს და ტანჯვას (მათ შორის, ძალიან უსიამოვნო ემოციებს, წუხილს, მწუხარებას, შიშს. . .) და გამოწვეულია გარემო პირობებით ან სხვა პირის ქმედებით.⁵⁴ ფსიქიკური ტანჯვა დაკავშირებულია ნერვული სისტემის მოშლასთან. რაც შეეხება მორალურ ტანჯვას, ეს არის ტანჯვა, რომელიც წარმოიქმნება მორალური უბედურების საპასუხოდ⁵⁵ და პირში იწვევს ღირსების დაკნინებასა და არასრულფასოვნების განცდას.

სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილის ამსრულებელი შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი. რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, აღნიშნულ დანაშაულს გააჩნია კონკრეტული მიზანი: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით განზრახი დანაშაულია. აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მოცემულია დამამძიმებელი გარემოებები. მაგალითად, 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დასჯადია წამება ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული წამების დისპოზიციის შედარებით საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ წამების განმარტებასთან, გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება, რაც ამ ორ განმარტებას ერთმანეთისაგან განასხვავებს.

⁵² მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2016, 290.

⁵³ იქვე.

⁵⁴ Mental suffering, Legal Information Institute, <https://www.law.cornell.edu/wex/mental_suffering> (უკანასკნელად ნანახია: 25.07.2023)

⁵⁵ C. Hylton Rushton (ed.), Moral Resilience: Transforming Moral Suffering in Healthcare, 2018.

წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს 1984 წლის კონვენციაში მოცემული წამების განმარტებისაგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის წამების დისპოზიცია არ უთითებს დანაშაულის ჩამდენ სპეციალურ სუბიექტზე და საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი წამება დამამძიმებელ გარემოებად არის წარმოდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 პუნქტში. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლი არ მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა წამების ჩადენა წაქეზებით ან თანხმობით ან დუმილით გამოხატული თანხმობით. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის დისპოზიცია არ მოიცავს დისკრიმინაციას, როგორც განზრახ ტანჯვის მიყენების მიზანს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა არ გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიმართ.⁵⁶

დასკვნა

ნაშრომიდან ირკვევა, რომ წამება, როგორც არასათანადო მოპყრობის ფორმა, დაგმოიბილია საერთაშორისო საზოგადოების მიერ და საერთაშორისო სამართალში განმტკიცებულია წამების აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი.

როგორც ვნახეთ, წამების მრავალი ფორმა არსებობს. იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ფორმით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წამება ყოველთვის არ არის დაკავშირებული ფიზიკურ ტკივილთან. წამებად შეიძლება შეფასდეს ისეთი ქმედებებიც, რომელთაც თან ახლავს ძლიერი ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული წამების დისპოზიციის შედარებით საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ წამების განმარტებასთან, გამოიკვეთა რამდენიმე განმასხვავებელი გარემოება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის წამების დისპოზიცია არ უთითებს დანაშაულის ჩამდენ სპეციალურ სუბიექტად საჯარო მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს. საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი წამება დამამძიმებელ გარემოებად არის წარმოდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 პუნქტში. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლი არ მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა წამების ჩადენა წაქეზებით ან თანხმობით ან დუმილით გამოხატული თანხმობით. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის დისპოზიცია, ასევე, არ მოიცავს დისკრიმინაციას, როგორც განზრახ ტანჯვის მიყენების მიზანს.

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 27.06.2024, 71-ე მუხლის მე-5 პრიმა ნაწილი.



0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, # 6284; #6278
www.press.tsu.ge